ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით (№64 (1694)) 3 – 9 ნოემბერი. 1998წ. ● ფასი 50 თეთრი



## რას ვაშენებთ — ისევ ბაბილონის გოდოლს, თუ ეროვნულ სახელმწიფოებს?

მე-2 გვერდი

*ხმა ხალხიდან*



## მაშ, საქართველო „უკაცურ კაცებს“ უნდა დარჩეთ?!

*ღია წერილი ბ-ნ აკაკი ბაქრაძეს*

მე-2 გვერდი

*ინტერვიუ*

## რას ხედავს დღევანდელ საქართველოში მწერალი რევაზ მიშველაძე?



მე-10 გვერდი

გულაბერ კლარჯი

## ქართველებმა დღესაც მიწა ვჭამოთ და ბალახი ვძოვოთ?

მე-2 გვერდი

## ერთად ვუშველოთ ქვეყანას! ანუ რაღას ველოდოთ?! „მეფე შიშველია“!




მე-3 გვერდი



## სასამართლოს გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდად არ უნდა დარჩეს, ანუ გაამრუდებს თუ არა სამართალს აღმასრულებელი ხელისუფლება?

მე-3 გვერდი

## სამოსი საქართველოში

(უძველესი დროიდან დღემდე)

მე-6 გვერდი



## თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო (ისტორია და შედეგები)

მე-7 გვერდი

## შვილმკვდარი მშობლები პროკურატურის წინააღმდეგ



მე-3 გვერდი

# რას ვაშენებთ — ისევ ბაბილონის გოდოლს, თუ ეროვნულ სახელმწიფოებს?

ხელმოცარულის უკანასკნელი თავშესაფარი პატრიოტიზმიაო — ამბობენ, თუ იმეორებენ ვილაცის ნათქვამს ამ ბოლო დროს ჩვენში და ყველამ, ვისაც უნდა, როგორმე ხელი მოიმართოს ამ დაქცეულ ქვეყანაში, უკვე იცის, რომ სირცხვილია პატრიოტობა და საერთოდ — არა ვართ კარგი ხალხი ქართველები. ხომ გახსოვთ, აკაკიმ რა თქვა — ფურთხის ღირსი ვართ, კი, ნამდვილად ასე არის საქმეო. აკაკი, ცხადია, არ იყო ცუდი კაცი, არც ესენი არიან და არც ჩვენ ვიქნებით, ესე იგი, თუ ასე ვიფიქრებთ და ვილაპარაკებთ, აკაკის ლექსების ბარე ნახევარზე მეტი მზამზარეული ჰიმნია საქართველოსი, მაგრამ ჰიმნზე როცა მიდგება საქმე, აკაკი აღარავის აგონდება. ილიას „ჩემო კარგო ქვეყანავ" ხომ უკვე იჰიმნა ერთი პირობა, მაგრამ ნამეტანი პატრიოტული გამოდგა ესეც და კინაღამ მოგვჭრა თავი მთელს მსოფლიოში.

ვილაცას ძალიან უნდა, როგორც ჩანს, დაგვარწმუნოს, რომ ის ორი რამ, რაც ათადან და ბაბადან ყველაზე დიდ სირცხვილად მიიჩნეოდა, ახლა დემოკრატიის დაუწერელი კანონებით არის დაცული და ამავე კანონების თანახმად, ყველაზე დიდი სირცხვილი სწორედ პატრიოტობაა ჩვენს დროში.

ხელმოცარულებს ხელმოცარულ ქვეყანაში პატრიოტიზმზე გაცილებით უფრო საიმედო თავშესაფრისაკენ აკვალიანებენ — ქვეყნის ბედი რა თქვენი საკითხავია, თქვე უბედურებო, თქვენ თავს მიხედეთო. „მეტეხი-პალასში" კი ამ დროს რომელიმე შემთხვევით იქ მოხვედრილმა ხელმოცარულმა ხელმომართულთა ასეთ საუბარსაც შეიძლება მოჰკრას ყური — არ წაილეს ტვინი ამ თავიანთი საქართველოთი, დიდი-დიდი ათ ოჯახს ეყოს, მეტს არაო. ყოფნაზე თუ მიდგა საქმე, ათს კი არა, ორ ოჯახსაც არ ეყოფა მალე ეს ჩვენი საქართველო, მერე — ერთს და ბოლოს — არც იმას.

არ ეყოფოდათ, ცხადია, და უეჭველად საყოველთაო ხელის მოცარვის ჟამს უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, მაგრამ ერთი თხილის გული მაინც ცხრა ძმამ გაიყო, მოგეხსენებათ. „თუ ეყოთო" — ვინც ამას იკითხავს, აი, ის არის სწორედ ის ნეკა თითი, რომელიც იმიტომ იყო ყოველთვის ყველაზე პატარა, რომ — „მოვიპაროთო" — თქვა, ახლა კი ისეა გაზრდილი და დავაჟკაცებული, ავ თვალს არ დაენახვება.

ოთარ იოსელიანს წამოსცდენია თურმე სადღაც, საფრანგეთში — მეშინია, კაპიტალიზმმა ჩვენს ხალხს უანგარობა არ დააკარგვინოსო — და არ პატიობენ ამას — ეგ, როგორო, მარტო ქართველია უანგარო და, ვთქვათ, მონღოლი არ არისო?



„ქვეყანაში, სადაც არავინ არავის არ ენდობა, ყველა ქურდიაო" — ამას შარლ ბოდლერი („მწარე და ძვირფასი") წერდა თავისი დროის ბელგიის გამო. კაპიტალიზმისა ეშინოდა იმასაც, ბურჟუებისა და ამერიკანიზაციისა.

ჩვენ სხვა დროში და სხვა ვითარებაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმს თავის დროზე ვერ გავუფცქვენით გემო და ახლა, ცხადია, მთელს ჩვენს იმედებს სწორედ კაპიტალიზმზე და აშშ-ს მხარდაჭერაზე ვამყარებთ, მაგრამ ფაქტია — აღარ ვენდობით ერთიმეორეს და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ უანგარობას ვკარგავთ.

თავიდან, ძალიან რომ გაგვიჭირდა, ვისაც როგორ შეგვეძლო და როგორ არ შეგვეძლო ისე გავუმართეთ ერთიმეორეს ხელი ყოვლად უანგაროდ, მაგრამ მერე და მერე, ველარ გავისტუმრეთ ეს ვალები, ერთიმეორის „გადაგდებას" მივყავით ხელი, ვხოცეთ ერთმანეთი და ბოლოს აგერ, ერთ ყოვლად ცივილიზებულ საშუალებასაც მივაგენით თურმე, ადამიანის სიცოცხლის უფლება რომ დაგვეცვა — ახლა ცოლები ნატურით უსტუმრებენ თურმე ვალებს ქმრების მეგობრებს, ქმრები ამაზე თვალებს ხუჭავენ და ამგვარად, ყოვლად ნებაყოფლობითა და დიდი სიამტკბილობით ხდება თურმე ეს ამბები. ასე არა სჯობიაო — ამბობენ თურმე — როდემდე უნდა ვხოცოთ ერთმანეთი ქართველებმაო.

მე არ გამოვრიცხავ და ძალიანაც მინდა მჯეროდეს, რომ ტყუილია ეს ამბავი, მაგრამ ტყუილიც რომ იყოს, რაკი ეს ტყუილი ჩვენს გაზეთებში იბეჭდება, ვილაცას ძალიან უნდა, რომ კაი კაცობის ეს გზა და საშუალებაც დაგვანახოს და აკი დაგვანახა კიდეც. სექსუალური რევოლუციის ზღვარდაუდებელი პროპაგანდა და იმპორტი, როგორც ხედავთ, ამ შემთხვევაში ის ფონი გამოდგა, რამაც ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვაში უნდა შეგვიწყოს ხელი, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება — ამას მეგობრები სჩადიან, მეგობრები, რომელთაც, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დიახაც ძალიან უყვართ და არ ეთმობათ ერთიმეორე. კაპიტალიზმის ფუძემდებლური პრინციპი — „ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმებად დარჩნენო" — განვითარების ამ პირველივე ეტაპზე თუ ასეთ უკიდურეს ფორმას იღებს, მომავალში რაღას უნდა ველოდოთ? უანგარობას ვინლა ჩივის, ანგარიშში ხომ არ ვტყუვდებით?

მიგვითითეს და მივხვდით, დინების საწინააღმდეგოდ ცურვა რომ ყოვლად უპერსპექტივო საქმე იყო. ახლა დინებას მივყვებით და „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი" პირდაპირ ზღვებისა და ოკეანეებისაკენ მიგვაქანებს. მშობლიური ნაპირებისაკენ ერთი გამოხედვაც კი, თუნდაც საფრანგეთიდან, დიდად სამარცხვინო საქმედ მიიჩნევა, ორი და მეტი გამოხედვა ხომ, მეტადრე ხელმოცარულთა მხრიდან, უკვე აშკარად „ფაშისტური ცნობიერების" გამოვლინებაა. ფონის ძიებაზე ფიქრი, უნდა ვიგულისხმოთ, ალბათ, რომ დიდ პოლიტიკურ უგუნურებად ჩამოერთმევა როგორც ხელისუფლებას, ასევე მის ოპოზიციასაც. რა, მარტო ქართველები ხომ არა ვართ, მართლა და მართლა, უანგარონი ამ ქვეყანაზე?

სსრკ, როგორც ჩანს, იმიტომ დავანგრიეთ, რომ გვეპატარავა, მალე მთელი დედამიწა იქნება ჩვენი სამშობლო და დადგება ის სანატრელი დრო, როდესაც „თხა და მგელი ერთად მოძოვს".

სამოქალაქო საზოგადოებაზე ჩვენში ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ და ბევრ შემთხვევაში მე პირადად ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ შიგადაშიგ ზოგიერთები ისეთ დახვეწილ „ახალ ქართულს" გამოურევენ ხოლმე, სახტად ვრჩები, რადგან არ მესმის კარგად, რისი თქმა უნდათ.

ქართველები ათადან და ბაბადან სოფელს ვეძახდით მთელს ქვეყანას. მოგვიანებით დაინერგა ჩვენში ეს ტერმინი — „მოქალაქე", რაც ამა თუ იმ ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას უნდა გულისხმობდეს თითქოს — არიან მოქალაქეები და არიან ემიგრანტები, ანუ სხვა ქვეყნების მოქალაქენი. საფრანგეთის მოქალაქე, მაგალითად, ყველა ფრანგია, მიუხედავად იმისა, თუ სად არის

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

## ხმა ხალხიდან

# მაშ, საქართველო „უკაცურ კაცებს" უნდა დარჩეთ?!

### ღია წერილი ბატონ აკაკი ბაქრაძეს

„ჩვენი ინტელექტუალური თუ მორალური ცხოვრების წიაღში არ არის ცოცხალი ნაკადი. ეს უფრო ხავსმოდებულ გუბურას ჰგავს, ვიდრე მჩქეფარე წყაროს. შიგ რომ ქვა ჩააგდო, ოდნავ თუ შეარხევს მის ზედაპირზე ლემნას, ანდა ფსკერიდან თუ წამოშლის ლამს და წყალს აამღვრევს. ასე რომ, ძილისმომგვრელი ატმოსფეროს მიღმა გადაჭიმულია სულიერი უდაბნო, შემზარავი უნაყოფობა, არსად არ იგრძნობა სიგრილე და სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი. არ არის ახალგაზრდობა... ჩვენი საზოგადოება ღრმა კრიზისს განიცდის, მის წიაღში ხდება შიდა შეთანხმებები, თანამდებობის პირთა ხშირი გადანაცვლება-გადმონაცვლება. ამას ემატება დაყოფადაქუცმაცებისაკენ ჩვენი მიდრეკილება და ბოლოს ყოველივე ეს უიმედო მარაზმითაა დაღდასმული. ასეთი კრიზისის ვითარებაში მხოლოდ ჭეშმარიტ ეროვნულ ხასიათს შეუძლია დაძაბუნებულ ერში გაძლება და გამომჟღავნება".



ბატონო აკაკი, გამარჯობა!

მიგელ დე უნამუნოს, ესპანელი საზოგადოების კრიზისზე რომ წუხდა, იმისთვის კი არ დავესესხე, თავი დავიიმედო, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობის მსგავსი სხვებსაც გაუვლიათ, არ დაღუპულან და ქართველობასაც უბრძოლველ-უშრომელად თავად ცხოვრება გამოგვიყვანს ამ კრიზისიდან-თქო, არამედ იმიტომ, რომ უდიდესი ავტორიტეტით ზურგგამაგრებულმა თავშივე გითხარით, მამულისათვის თავგამოდებულ ქართველებთან ერთად, თქვენ მეგულვებით ჭეშმარიტ ეროვნული ხასიათის მატარებელ მოქალაქედ, რომელმაც ასეთ კრიზისულ ვითარებაში დაძაბუნებულ ერში გაძლო და გამომჟღავნდა, რომელსაც თავისი მთავარი სათქმელი ჯერ არ უთქვამს და ვისითაც შეგნებულ ქართველობას ეიმედება.

მოკლე დროში ცხოვრებამ განსაცდელისთვის მოუმზადებლებს იმდენი გამოცდა მოგვიწყო, ისედაც დაბნეულები უფრო დავიბენით. ანალიზისა და განსჯის უნარი დავკარგეთ. დამოკლეს მახვილივით ჩვენზე აღმართული გაფრთხილება. „უფსკრულის პირას ვდგავართ", არად ჩავაგდეთ და მანამ არ მოვისვენეთ, სანამ ფსკერზე არ აღმოვჩნდით, სადაც უკეთური ვნებით ატანილნი მშვენივრად განვაგრძობთ ქვეყნისა და ერის დამანგრეველ ქმედებას. თავბრუდამხვევი სისწრაფით მივექანებით საბედისწერო მიზნისკენ, რაც შეიძლება მალე გავინადგუროთ თავი. როგორ, განა არ გვქონდა მსგავსი ისტორიული გაკვეთილები სულ ახლო წარსულში, საიდანაც ამდენი სისხლის, ცრემლის, ტანჯვის გარეშეც შეიძლებოდა საჭირო დასკვნების გამოტანა? რა თქმა უნდა, გვქონდა, მაგრამ ეს რომ გაგვეკეთებინა, რაღა ქართველები ვიქნებოდით.

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

14

თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს **«საქართველო» - მერაბ კოსტავას საზოგადოება»!**

ბლოკში გაერთიანებულნი არიან:

**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია**
**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**
**მერაბ კოსტავას საზოგადოება**
**საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი**

## გულაბერ კლარჯი

# ქართველებმა დღესაც მიწა ვჭამოთ და ბალახი ვძოვოთ?

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერი ყოველი მხრიდან მტრის ურდოებით იყო გარემოცული. ვინაიდან ეს მტრული გარემო მაჰმადიანური იყო, ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფალნი ცდილობდნენ მოკავშირე, მფარველი მოეძებნათ ქრისტიანულ სამყაროში. ჩვენი წინაპრები ხომ ქართველობას და ქრისტიანობას ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებდნენ, აიგივებდნენ კიდეც ამ ორ ცნებას ერთმანეთთან და გვიან შუა საუკუნეებში თითქმის მთელ საქრისტიანოს ქართველთა მოკეთედ, მოძმედ აღიქვამდნენ. ასე უცქერდა ქართველი ერი მეზობელ, ერთმორწმუნე რუსეთსაც XV-XVIII საუკუნეებში, მაგრამ რუსეთის იმპერიამ სულ სხვა თვალით შეხედა საქართველოს. იგი მუშტრის თვალით უმზერდა ჩვენს ქვეყანას. რუსეთში არაფრად ეპიტნავებოდათ საქართველო თავიანთ მოკავშირედ გამხდარიყო, მისთვის მფარველობა გაეწიათ. საქართველო კი გვჭირდება, მაგრამ იგი რუსეთის რიგით გუბერნიად უნდა ვაქციოთო, დაასკვნეს „უფროსმა ძმებმა", ფეხქვეშ გათელეს 1783 წლის ტრაქტატი, წყალში ჩაუყარეს ერეკლე მეორეს წლიანი ტიტანური გარჯა და სამიათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა მოტყუებით, ვერაგულად თავზე დაგვამხეს 1801 წელს.

უძველესი კულტურის, ქრისტიანობისთვის წამებული საქართველო ერთმორწმუნე რუსეთმა თავის კოლონიად აქცია, ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი კოლონიური რეჟიმი დაამყარა.

ქართველ ერს არცერთი დამპყრობლის წინაშე ქედი არ მოუხრია. რუსეთის იმპერიის ანტიქართული გეგმების, ქართველთა გარუსების პოლიტიკის განხორციელებასაც ათასწლეულთა ქარცეცხლში გამოვლილი ქართველობა წინ აღუდგა. XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართველი ერი მრავალჯერ აჯანყდა ერთმორწმუნის, მოყვრის, მოკეთის ნიღბით მოსული, დამპყრობლად ქცეული რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ამ აჯანყებათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი



უჭირავს კახეთის 1812 წლის ამბოხებას. „უფროსი ძმები" ქართველებს, კერძოდ, კახელებს ადამიანებად არ თვლიდნენ: „ორი დღით რომ წაგვიყვანდნენ ბეგარაზე, სამ თვეს გვტოვებდნენო, — აცხადებდნენ აჯანყებულები, — ნებას არ გვაძლევდნენ საქონელი ურმებიდან გამოგვეშვა საბალახოდ ან ჩვენ წავსულიყავით ხოლმე საჭმელის საშოვნელად, ვიხოცებოდით შიმშილით და როცა ვთხოვდით — ან პური გვაჭამეთ ან გაგვიშვით სოფლად საგზლის საშოვნელად-თქო, მიწაზე მიგვითითებდნენ ხოლმე — ჭამეთო", ანდა ბალახი ძოვეთო. ამ ხალხს აჯანყების მეტი რაღა დარჩენოდა. მთავარმართებელი (ეს თანამდებობა მეფისნაცვლობის ადრინდელი ნაირსახეობაა) დაემუქრა ამბოხებულებს: „რას ჩადიხართ თქვენ! რამ დაახშო თქვენი ჭკუა და რა არის თქვენი მიზანი... ნუთუ დაგავიწყდათ ქრისტეს სარწმუნოება (როცა საქართველოს იპყრობდნენ, მაშინ არ გახსენებიათ რუსებს ერთმორწმუნეობა — გ. კ.) და ვერ ხედავთ, რომ ღვთის ხელი მზადაა შეგმუსროთ თქვენ, როგორც ფიცის გამტეხნი. გახსოვდეთ, რომ თქვენ გაბედეთ იარაღის აღება მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჯარების წინააღმდეგ." მართლაც, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ისეა ამ შემთხვევაშიც. რუსეთი 1783 წლის ტრაქტატით საქართველოს მეგობრობას, ძმობას ეფიცებოდა, მაგრამ სწორედ მან გატეხა ფიცი, ყოველი ღონით შეეცადა ჩვენი ქვეყნის მიწასთან გასწორებას, რათა ამის შემდეგ გაადვილებოდა მისი კლანჭებში ჩაგდება, ხორცის შესხმა ფორმულისათვის — „საქართველო ქართველების გარეშე." ამ გეგმის შესაბამისად დაპყრობილ ქართველებსაც პირუტყვებად, ხოლო ქართულ ენას ძაღლების ენად აცხადებდნენ. მძლავრისათვის, არავითარი მნიშვნელობა და ფასი არ ჰქონდა იმას, რომ მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურის შედევრი „ვეფხისტყაოსანი" XII საუკუნეში ქართულ ენაზე შეიქმნა და არა რუსულად.

რუსეთის იმპერიის დიდმოხელის, მთავარმართებლის მუქარას აჯანყებულმა ქართველებმა ასეთი პასუხი გასცეს: „ვიცით, რომ ჩვენ

გაგრძელება მეხუთე გვერდზე

# ერთად ვუშველოთ ქვეყანას! ანუ რაღას ველოდოთ?! SOS! „მეფე შიშველია“!

საქართველოში დღეს განსაკუთრებით მოდაშია საშინაო პრობლემების ინტერნაციონალიზაციისაკენ სწრაფვა(?!), ხოლო ამ პრობლემებზე სწორედ საშინაო ძალების მობილიზებას რატომღაც ვერ ვახერხებთ.

ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება რჩება, თორემ ეს რომ მთლად ასე იყოს, ხომ დაიღუპება ქვეყანა! შევეხოთ ამ თემის ერთ რეგიონალურ ასპექტს.

არის აზრი, რომ ერთობ მიზანმიმართულად და შეგნებულად ფერხდება ქვეყნის საშინაო თუ საგარეო არენაზე აჭარის ფაქტორის დაუყოვნებლივ ამოქმედება (გამოყენება) სრულიად საქართველოს აღორძინების (მისი გამთლიანების) მიმართებით.

პრობლემას (შექმნილ სიტუაციას) მთლიანად ვერ მოვიცავთ, მაგრამ შევეცადოთ ერთი რამ გაირჩეს ცალსახად: რა მეტ სარგებელს თუ ზიანს აძლევს ან მოუტანდა ქვეყანას. ამ საქმეში აჭარის და ვთქვათ პირდაპირ — მისი ლიდერის არ ჩართვა, იგნორირება თუ მისი აქტიური ძალისხმევით ცალკეული ინიციატივების მხარდაჭერა, თანადგომა და ე. ი. საბოლოო ჯამში, ცენტრთან ერთობლივი მოქმედება? უკვე ვგრძნობთ, როგორ მყისიერად წამოიმართნენ „შტატიანი ოპონენტები“ კითხვის პირველი ნაწილის „გასაცამტვერებლად.“ დავფიქრდეთ

— ნუ ავჩქარდებით. ავმაღლდეთ საქვეყნო ინტერესებამდე, ორივე მხარე მიცნობთ და ვერც ერთი ვერ დამწამებთ არაობიექტურობას. ალბათ, არც იკადრებთ.



ეს თუმცა ცალკე და ძალზე სერიოზული თემაა, მაგრამ მაინც აქვე გვინდა დავაფიქსიროთ, რომ აჭარამ და მისმა მრავალჭირნახულმა მოსახლეობამ (დიახ, სწორედ ბრძენმა მოსახლეობამ) უახლოეს წარსულშიც — 1989-90-91 წლებში ბეწვის ხიდზე გაიარა და გადაარჩინა საქართველო (თითქოსდა ძნელი წარმოსადგენია) აფხაზეთზე გაცილებით უფრო საშიშ აფეთქებას და ბარაქალა მის სიბრძნეს. ეს ბევრს

არც შეუმჩნევია და არც იცის საქართველოში ბევრმა იმ მუხანათური პროვოკაციების შესახებ. იყო სერიოზული პროვოცირების მცდელობანი ამ ბოლო წლებშიც (გარედანაც და ალბათ შიგნიდანაც ადვილად მიუწვდებათ ხელი). კვლავ გაუძლო აჭარამ გამოცდას, არ წამოეგო პროვოკაციებს, თორემ ალბათ ყველაზე „ადვილად“ შეიქმნებოდა კიდევ ერთი „საპრეზიდენტო რესპუბლიკა“. ეს მართლაც სასიკვდილო ლახვარი იქნებოდა ქვეყნისათვის! ეს იქნებოდა დასასრულის დასაწყისი. ვისი დამსახურებაა ეს?

...ალბათ სადავოა მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენამდე გადადება ქვეყნის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპული საკითხებისა და სანამ მთლად გვიან არ არის, შესავსებია საკანონმდებლო ვაკუუმი ამ მიმართებით.

გადასახედია საკუთარი სახელმწიფოებრივი არასრულფასოვნების კომპლექსის,

გაგრძელება მეშვიდე გვერდზე

# სასამართლოს გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდად არ უნდა დარჩეს, ანუ გაამრუდებს თუ არა სამართალს აღმასრულებელი ხელისუფლება?



*ჩვენს გაზეთში და საერთოდ, ქართულ მასმედიაში არაერთხელ დაიწერა ბუნების დაცვის საზოგადოების გასაჭირზე, ანუ იმაზე, რომ სიგუას პრემიერობის ჟამს ამ საზოგადოების კუთვნილ შენობას სახელმწიფოს სასარგებლოდ რეკვიზირება გაუკეთეს და საზოგადოების წევრები ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ. (არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თვით შენობა გაიძარცვა, ქართული ფლორისა და ფაუნის უნიკალური მუზეუმი განადგურდა).*

*სხვადასხვა ინსტანციებში, სასამართლოებში მრავალწლიანი ქანცგამწყვეტი მარათონის შემდეგ, ბუნების დაცვის საზოგადოებამ, როგორც იქნა, სამართალი იპოვა, ანუ ამ ცოტა ხნის წინათ მთაწმინდის რ-ნის სასამართლომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა და გამოიტანა გადაწყვეტილება საზოგადოებისათვის სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ (თანხებში), ან მისთვის შესაბამისი (ტოლფასი) შენობის გამოყოფაზე ქალაქის ცენტრში.*

*სასამართლომ კი აპოვნინა სამართალი ბუნების დამცველებს, მაგრამ რას იზამს აღმასრულებელი ხელისუფლება — ისევ, კვლავ მერამდენედ, გაამრუდებს ამ სამართალს თუ სისრულეში მიიყვანს სასამართლოს დადგენილებას და ამით მართლაც შექმნის იმის პრეცენდენტს, რომ კანონმა იკანონოს და სასამართლოს დადგენილება ფარატინა ქაღალდად არ დარჩეს.*

*მითუმეტეს, რომ სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებიდან სამ თვეზე მეტი გავიდა და მერიამ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის წინაშე უკვე დასვა საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მაგრამ ბატონი მიხეილ უკლება, რატომღაც, ფეხს ითრევს.*

*ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ მოახლოებული არჩევნების წინ მაინც გადადგამს ხელისუფლება გონივრულ ნაბიჯს და ხალხს დაანახებს, რომ ამ ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიულობის გარკვეული პრეტენზიები გააჩნია, სრული განუკითხაობა არაა და მართალი კაცი სამართალს იპოვის.*

*თუ ხელისუფლება ამას არ იზამს, მაშინ საზოგადოება იძულებული გახდება საერთაშორისო სასამართლოს მიმართოს და ნებსით თუ უნებლიედ, მსოფლიოს დაანახოს ქართული დემოკრატიის ნამდვილი სახე.*

*იმედია, საქმე აქამდე არ მივა და ბუნების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე, ბ-ნი ომარ ჯანელიძეც ამას ბრძანებს ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.*

— ბატონო ომარ! ბუნების დაცვის საზოგადოების მუზეუმ-ლექტორიუმის შენობის რეკვიზირების ერთობ გახმაურებული პროცესებიდან მთაწმინდის რაიონის სასამართლოს ერთმა მოსამართლემ (ვ. თალაკვაძე) იურიდიული დავა თქვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა (თავის უფლებებში აღადგინა რა თბილისის ექსმერის მიერ გაუქმებული ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულება), ხოლო მეორე მოსამართლემ (ზ.

გაგრძელება მეხუთე გვერდზე

თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს **«საქართველო» – მერაბ კოსტავას საზოგადოება»!**

ბლოკში გაერთიანებულნი არიან:

**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია**
**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**
**მერაბ კოსტავას საზოგადოება**
**საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი**

14

# შვილმკვდარი მშობლები პროკურატურის წინააღმდეგ

28 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ინიციატივით მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელიც ბორჯომელმა შვილმკვდარმა მშობლებმა, თემურ და დალი სუპატაშვილებმა, გაზეთ „საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა და ჟურნალისტმა კობა კაპანაძემ გამართეს, მხილებულ იქნა სამცხე-ჯავახეთის სამართალდამცავი ორგანოები მთელ რიგ დანაშაულებრივ ქმედებებში.

კერძოდ, ჟურნალისტმა კობა კაპანაძემ განაცხადა: „როგორც წინასწარი გამოძიების მასალებიდან ირკვევა, გიორგი თემურის ძე სუპატაშვილის სიკვდილის შემთხვევა 1996 წლის 4 აგვისტოს მოხდა. მას შემდეგ, წინასწარი გამოძიებიდან დაწყებული, საქმის მასალები ბორჯომი-ახალციხე-ხაშურის მარშრუტით უაზრო ვოიაჟის შემდეგ ადგილიდან არ იძვრის.



მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე არასწორად იქნა ძიება წარმართული, ადგილი აქვს მთელ რიგ პროცესუალურ დარღვევებსა და პროკურატურის გამომძიებელთა პროფესიონალიზმის დაბალ დონეს. იმთავითვე კარგად ჩანს, რომ საქმე შავით თეთრზეა ნაკერი და „თაროზე შემოსადებადაა“ გამიზნული. სიკვდილის ფაქტის დაფიქსირებისთანავე ბორჯომის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა მაღრაძემ საქმეს არასწორი მსვლელობა მისცა. კერძოდ, ვერ იქნა ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზა, არ გაიკვეთა გვამი. დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად შეწყდა საქმის წარმოება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მითითებით საქმის წარმოების ვადები გაგრძელდა. მართალია, საქმის წარმოება ცოტა მოგვიანებით სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურის მაშინდელმა სტაჟიორ-გამომძიებელმა ჭუმბურიძემ გააგრძელა, მაგრამ როგორც ჩანს, არც აქ უნდა იყოს საგამოძიებო საქმე მაღალ დონეზე წარმოებული. მშობლების მოთხოვნით, რადგანაც საჭირო იყო მთელი რიგი გარემოებების დაზუსტება, ჩატარდა გვამის ექსგუმაცია. გამოძიება კი შეწყდა ისევ დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

რა თქმა უნდა, ეს ასეც მოხდებოდა, რადგანაც საქმე აღძრული იყო საქართველოს სისხლის სამართლის 109-ე მუხლით, თვითმკვლელობამდე მიყვანით. ბუნებრივია, ამ მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა სახეზე არ იქნებოდა, რადგანაც უკეთეს შემთხვევაში გამოძიებას შეეძლო ძიება წარემართა განზრახ მკვლელობის მუხლით. გამომძიებელმა კი სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილების სამოტივაციო ნაწილში მხრის ძვლის ცეტრიფუგაში აღმოჩენილი დიატომური პლანქტონი მიიჩნია რა იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ სუპატაშვილმა წყალი ჩაყლაპა და ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა ასფიქსიას, მაშინ, როდესაც იგივე გამომძიებლის მიერ დაკითხული ზანგურიძე, რომელმაც გვამს ბალზამირება გაუკეთა, აღნიშნავს, რომ ბალზამი ონკანიდან აღებულ წყალში გავხსენით. არა გვგონია ბორჯომში იმ დონეზე იფილტრებოდეს წყალი, რომ მასში პლანქტონი არ აღმოჩნდეს. საინტერესოა, რატომ გაიზიარა გამოძიებამ მხოლოდ პირველი ვერსია და ხაზი არ გაუსვა მეორეს. ეს ხავსზე ჩაჭიდების მეთოდს ჰგავს.“

პრესკონფერენციაზე დაზარალებულის მამამ, თ. სუპატაშვილმა თავისი შვილის მკვლელობაში მისი მეგობარი, მაისურაძე დაადანაშაულა და ისაუბრა სხვადასხვა მოტივებზე. ჩამოაყალიბა ვერსიები და ჟურნალისტებს თხოვა დახმარება.

ჟურნალისტმა კობა კაპანაძემ, რომელმაც გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში შემოსული წერილის საფუძველზე ჩაატარა ჟურნალისტური მოკვლევა, ჩამოაყალიბა ის საკითხები, რომლის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა იქნეს გაუქმებული. კერძოდ: „გამოძიებას მხედველობიდან გამორჩა, თუ რატომ შეიძლება აღმოჩენილიყო ის ცელოფნის პარკი შემთხვევის ადგილზე, რომელშიც გარდაცვლილის ტანსაცმელი მაისურაძემ მდ. მტკვარში შემთხვევის ადგილის გასწვრივ, 30 მეტრის დაშორებით, ქვის ლოდების ქვეშ მოათავსა. მეორეც: წინასწარი გამოძიების დროს ყურადღება არ იქნა გამახვილებული მაისურაძის მიერ მიცემულ განმარტებებზე.

დაკითხვის ოქმებში ვაწყდებით მთელ რიგ გაუგებრობებს, რომელიც გადამოწმებასა და დაზუსტებას მოითხოვს.“

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საზედამხედველო წესით, გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ქალბატონი თამარ ყრუაშვილი.

პრესკონფერენციას ესწრებოდა სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებული, ბატონი დავით კუპრეიშვილი, რომელმაც დიდი ყურადღება გამოიჩინა ამ საქმისადმი და გულთან მიიტანა შაოსნების ტკივილი.

**ნ. ჭანტურია**

# საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნებათაშორისი ურთიერთობების დარგში, ბ-ნ ა. გერასიმოვს

ბატონო ალექსი, თქვენთვის კარგად არის ცნობილი საინგილოში (აზერბაიჯანის ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონები) მცხოვრები ქართველების და ძალით გამაჰმადიანებული ქართველების (შემდგომში ხმარებულია მხოლოდ ქართველები) მძიმე ცხოვრების შესახებ, რაზედაც მეტყველებს ისტორიულ ჰერეთში ქართული წიგნების, გაზეთების, (იგულისხმება საზღვარზე გადატანა) ქართული ტელევიზიის გადაცემის შეზღუდვა და ზოგიერთი სასკოლო აუცილებელი საგნის (საქართველოს ისტორია) სასწავლო პროგრამიდან ამოღება, ასევე შოვინისტური პოლიტიკის გატარება ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში თათრების მიერ. სიმართლის თქმა არ უნდა გასალდეს სეპარატიზმად და შოვინიზმად, ომის პროპაგანდად ან პროვოკაციად. ამ წერილის დაწერა განაპირობა ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტების მეგობრულმა დამოკიდებულებამ და ამ ფონზე სადაო საკითხების მშვიდობიანად გადაწყვეტის შესაძლებლობამ.



ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 1921 წელს მოქცეულ ჰერეთში მცხოვრები ქართველებისათვის თათართა მიერ შექმნილი გაუსაძლისი პირობების შესახებ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქართულ პრესაში მრავალი ფაქტი დაიბეჭდა. (თუმცა პრესაში ერთხელ საწინააღმდეგო ინფორმაციაც იყო), მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელია. პრაქტიკული დახმარების გარეშე რჩებიან ის პირებიც, რომლებიც ცდილობენ ჰერეთში მცხოვრები ქართველების კანონიერი უფლებების დაცვას, რელიგიური რწმენის ხელშეუხებლობას და ა. შ. ამით გაამაყებული თათრები უფრო აძლიერებენ ქართველთა შევიწროება-ჩაგვრას. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია 15.09.98 წ. ვ. ნადირაშვილის, გაზეთ „საქართველო“-ში, 22.09.98 წ. ზ. ბალიაშვილის აზერბაიჯანის და საქართველოს პრეზიდენტების სახელზე გამოქვეყნებული განცხადება ამავე გაზეთში, მ. ყველაშვილის, ი. დათუნაშვილის განცხადებები და საგაზეთო წერილები და სხვა.

როგორც ზაქათალის რაიონში, ასევე კახის რაიონშიც ზოგიერთი მოსახლე ისეა დაშინებული, რომ ჩვენს საგაზეთო თუ პირად განცხადებაზე პროტესტს გამოთქვამენ. მათ დასამშვიდებლად ადრეც ვთქვი და აქაც ვიმეორებ: მე ვლაპარაკობ და ვწერ იმ ხალხის სახელით, ვინც მე მომმართავს დახმარებისათვის, როდესაც მათ თათრები ჩაგრავენ. ისტორიულ ჰერეთში კარგად რომ ყოფილიყვნენ, იქ ქართველი ერის რაოდენობა კი არ იკლებდა, არამედ გაიზრდებოდა, როგორც ეს საქართველოში ხდება აზერბაიჯანელებად წოდებულ თურქმან ტომებში.

ისტორიული ჰერეთის ქართველობა დღეს-დღეობით ცალკეულ აღიარებულ მამულიშვილთა დახმარების ანგარიშზე და მათ იმედად ცხოვრობს. ბოდიშს მოვიხდი სასიქადულო მამულიშვილთა გვარების ჩამოუთვლელობისათვის, იქნებ გამომრჩეს ერთ-ერთი მათგანი და გული ვატკინო. ისინი ყოველნაირად და ყოველთვის საქმით ეხმარებიან ჰერეთელ ქართველებს თავიანთი მდგომარეობის საფრთხეში ჩაგდებითაც კი, და არა ლიტონი სიტყვიერი დაპირებებით, რომ არა ასეთი მამულიშვილების დახმარება, ჰერეთში დიდი ხნის წინათ გაქრებოდა ქართველთა შთამომავლობა.

ბატონებო, ყველა სახის თანამშრომლობა მაშინ არის სასარგებლო, თუ ის თანასწორ პირობებზე, უფლებებზეა დამყარებული და ცალმხრივ ინტერესებს არ აძლევს პრივილეგიას. ჩემი აზრით, საქართველოში უნდა შეიქმნას საინგილოს საკითხების მარეგულირებელი ცენტრალიზებული ორგანო, რომელსაც ექნება სათანადო უფლებებიც.

მარტო ქადაგება და „მალე გამოსწორდებას“ ძახილი ვერაფერს შველის. კარგად ხედავთ ამას თქვენ.

ჰერეთში ქართველი ქართველს აღარ ენდობა, ეკონომიკურად სიდუხჭირეშია, ხოლო საქართველოდან გამოყოფილი საბიუჯეტო თუ ჰუმანიტარული დახმარება როგორ ხმარდება და აღწევს იქაურ მოსახლეობამდე, კონტროლს გარეშეა. ქართველი ობოლი ბავშვებისათვის წართმეული ლუკმით ვილაც არამზადები არ უნდა გამდიდრდნენ.

ქართველთა უფლებები ჰერეთში ნაწილობრივ მაინც დაიცვან თათრებმა, ამას გთხოვთ თქვენ და ველით თქვენს მხარდაჭერას. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს გასაჭირს პრეზიდენტის ყურამდე მიიტანთ და ბატონი ედუარდიც შეეცდება მდგომარეობის გამოსწორებას.

ბატონო ალექსი, პირადად გთხოვთ, როგორც პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნებათშორისი ურთიერთობების დარგში, რეაგირების გარეშე არ დატოვოთ ეს ჩვენი განცხადება და მოგვწეროთ პასუხი, რომელშიც მითითებული იქნება ის ღონისძიებები, რომელთა ჩატარებასაც აპირებთ ჰერეთში ქართველთა დასახმარებლად.

პატივისცემით
**კ. ფოლადაშვილი**
თბილისი, ც. დადიანის ქ. №259

***რედაქციისაგან:*** **ქართულ პრესაში არაერთხელ დაიწერა საინგილოს პრობლემებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან ამას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ეს გასაგებიცაა: ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის შიგნით ვერ აწესრიგებს პრობლემებს და კაცმა რომ თქვას, ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გაკოტრებულია, ქვეყნის გარეშე მოქცეულ ქართველობაზე ზრუნვით ხომ საერთოდ არ შეიწუხებს თავს.**

# კომენტარი პრეზიდენტის 27 ოქტომბრის რადიოინტერვიუზე

**უცნაური თემა**

ინტერვიუს დიდი ნაწილი სენაკის 19 ოქტომბრის ეპიზოდს ეხება. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მცდელობა გამოიწვია მტრების შურმა საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებების გამო და მათმა შიშმა, რომ ჩვენს სასიკეთოდ მიმართული „მრავალი პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებდა". თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის წარმატებები მხოლოდ პრეზიდენტის წარმოსახვაში არსებობს და რომ ჩვენგან მიტაცებულ ტერიტორიაზე მტრების თანდათანობითი დამაგრებისა და ფესვების გადგმის პროცესის „შეუქცევადობა" ჩვენს სურვილთა რიცხვში არ შედის. შეგვიძლია მოვლენათა ეს პრეზიდენტისეული ინტერპრეტაცია ეჭვის ქვეშ დავაყენოთ. პრეზიდენტი გვაცნობებს, რომ მოსახდენი ამბების შესახებ მას სიგნალი „ინტუიციამ" მისცა, რომელიც თურმე არასოდეს ჰღალატობს, მით უფრო, რომ ინტუიციის სიგნალს ობიექტური ინფორმაციაც დამთხვევია, რომ „რაღაცა სერიოზული შეიძლება მოხდეს". თუ რატომ არ შეახსენა პრეზიდენტს მისმა ინტუიციამ უფრო ადრე, რომ ქვეგამხედვარი ბატონი ელიავა შეიარაღებულ ძალებში საპასუხისმგებლო ადგილზე არ დაენიშნა, ამაზე ისტორია დუმს. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტის ამავე ინტერვიუში შემოთავაზებული ვერსია, რომ მან ეს ბატონ ელიავას მრავალრიცხოვანი მომხრეების გულის მოსაგებად და დასაშოშმინებლად ქმნა, მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ ჟღერს. თუ პრეზიდენტს ძმათა სისხლისღვრის ესოდენი შიში ჰქონდა, როგორ დაუშვა (ვერიდებით გამოთქმას: „გააჩაღა") მან მართლაც მასშტაბური ძმათა ომი დასავლეთში და რატომ არ ისურვა მიელო (ან სერიოზულად განეხილა მაინც) 1992 წელს რეალურად არსებული წინადადება პრეზიდენტი გამსახურდიას შეიარაღებულ მომხრეთა ბანაკიდან, საპარლამენტო არჩევნები უკანონო „სახელმწიფო საბჭომ" და კანონიერმა, მაგრამ ძალაუფლებაგამოცლილმა უზენაესმა საბჭომ ერთობლივად დავნიშნოთო?



პრეზიდენტის ლიტერატურული სტილის თავისებურებაა ალბათ, რომ სენაკელ მეამბოხეებთან ბრძოლისათვის მზაობაზე იგი საგმირო პოემის ტონალობაში მსჯელობს. აფსუა და ოსი სეპარატისტების მოსაგერიებელ თუ ვერმოსაგერიებელ ოპერაციათა ხსენებისას მას ეს ჰეროიკული პათოსი არ ახასიათებს. რატომღაც იგი თვლის, რომ მტერს ჩვენზედ „არც ოდეს გაუხარია", თუმცა, ალბათ, მოეხსენება, რომ სულ ამ 60-70 თვის წინ მან ოცდაათი ათასი ადამიანი დაგვიხოცა და ისე „გაიხარა" ჩვენ ზედა, როგორც არავისზე გაუხარია თავის ისტორიაში. ამ ცოტა არ იყოს ცალმხრივი სულისკვეთებით ჰკიდებს პრეზიდენტი ხელს თავის მთავარ თეორიულ ამოცანას ამ ინტერვიუში — 19 ოქტომბრის ინციდენტის შესახებ მოსახლეობაში არსებული შეხედულებების სტატისტიკურ (პროცენტულ) დახასიათებას და პირუთვნელი მეცნიერული სიდინჯით მათი ერთი ნაწილის განქიქებას. აი, ეს შეხედულებები: ელიავა უცხო ძალების კარნახით მოქმედებდა, -ნავთობპროექტის ჩაშლის მიზნით; იგი მოქმედებდა „ზვიადისტთა" ხელისუფლების აღსადგენად; იგი მოქმედებდა სსრკ-ს აღსადგენად; იგი მოქმედებდა არსებული ხელისუფლების დავალებით, არჩევნების გადადებისათვის საბაბის შესაქმნელად (ამ ვერსიას, პრეზიდენტის აზრით, ამბოხების წინააღმდეგ სწრაფი ზომების მიღებას ფაქტი არღვევს); იგი მოქმედებდა ამავე ხელისუფლების დავალებით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის საბაბის შესაქმნელად (პრეზიდენტის აზრით, ამ ვერსიას აბათილებს ის ფაქტი, რომ საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდა); როგორც ვხედავთ, 19 ოქტომბრის მოვლენათა ამხსნელი ვერსიების ეს ჩამონათვალი ლოგიკურად სრული არ არის. მაგალითად, აქ არაა განხილული ვერსია, რომ ყაზარმიდან რაზმის გამოსვლა სტიმულირებული იყო ხელისუფლების მიერ ნავთობპროექტის ხელშეშლის მიზნით (რუსების საამებლად), რომ იგი შეწყდა იმიტომ, რომ ხალხი ანკესს არ წამოეგო და ნავთობპროექტის შემაფერხებელი ძმათა ომი არ გააჩაღა, რომ დასავლურ-აღმოსავლურმა მეგობრებმა, რომლებმაც, პრეზიდენტის სიტყვით, მალე თანაგრძნობის გამოსაცხადებლად დაურეკეს (თუმცა თანაგრძნობის ღირსად არ ჩათვალეს მაშინ, როცა აფსუებმა და რუსებმა 30 ათასი მოქალაქე დახოცეს), მას ესეც წასჩურჩულეს, სხვათა შორის, „აბა ჩქარა, მორჩი გართულებას და ნავთობსადენის ზონაში თოფის გავარდნა არ გავიგონოთო".

**შემაშფოთებელი მინიშნება**

რადიომსმენელს ცუდად აქვს დაცდილი პრეზიდენტის მიერ ისეთ საშიშროებათა ხსენება და მათი დაძლევის დაქადნება, რომლებიც წესით არც უნდა არსებობდნენ. ამ სამი კვირის წინ მან ბრძანა ინტერვიუში, ვაი, თუ ქართველთა უბედური ტრადიციისამებრ, „ფეხი დაგვისხლტა" და თითქმის ბოლომდე ჩემი შრომით მოყვანილი ნავთობპროექტი გაგვიხუნდაო. თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით და პრეზიდენტის სასწაულებრივი ინტუიცია კინაღამ ახდა კიდეც. ახლა იგი სერიოზულად ლაპარაკობს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროებაზე, თუმცა მას ვერაფერი დაემუქრება, თუ ხელისუფლება ერთგული იქნა. კვლავ ახალ გართულებას ხომ არ გვიქადის პრეზიდენტის სასწაულებრივი ინტუიცია, რომელსაც, როგორც უკვე ვიცით, ცუდი ფეხი აქვს?

**ეკონომიკის თემა**

იმ სარეკორდო ცხრა საგაზეთო სვეტში, რომელიც პრეზიდენტის ინტერვიუს ბეჭდურმა გადმოცემამ ამჯერად დაიკავა, ერთი მეოთხედი ეკონომიკურ თემას უჭირავს. ტრიუმფალურ კილოზე განწყობილ ჩვეულებრივ ფუჭსიტყვაობაში, რომელსაც აქ ვხედავთ, ყურადღებას ორი მომენტი იმსახურებს: პირველი. პრეზიდენტს რატომღაც უხარია, რომ 700 ჰექტარი ვენახი უცხოელებმა შეიძინეს და ახლა მას ამუშავებენ (ნეტა სად წავა ქართველი ერი, თუ მისი დანარჩენი 70 ათასი კვ. კმ. ტერიტორიაც უცხოელებმა შეიძინეს და მისი დამუშავება დაიწყეს?).

მეორე. პრეზიდენტი ბრძანებს: მე კიდევ ერთხელ მინდა შევუთვალო ძმური მადლობა ჩემი ხალხის სახელით ჰეიდარ ალიევს, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სწორედ საქართველო იყოს ენერგიაშემცველების ტრანსპორტირების ძირითადი ქვეყანა.

ძალიან კარგია, რომ საქართველოს პრეზიდენტს საფუძველი აქვს აზერბაიჯანის პრეზიდენტის მადლიერი იყოს (ღმერთმა მოგვცეს ჰარმონიული ურთიერთობა აწ და მარადის). მაგრამ რატომ უნდა იყოს ეს მადლიერება ნახევარგამტარივით ცალმხრივი? უფრო რეალისტი იქნება საქართველოს პრეზიდენტი, თუ გაიცნობიერებს, რომ საქართველოზე აზერბაიჯანის ნავთის გამოტარება მხოლოდ ერთი ქვეყნისათვის კი არაა სასარგებლო, არამედ ორივესთვის.

რაკი სოციოლოგიური გამოკითხვა შემოვიდა საქმეში, „მასაში" ანუ ხალხში გავრცელებული ერთი აზრიც ვახსენოთ. არის ეჭვი, რომ ბიუჯეტიდან 100 მილიონი დოლარის გაცემა ტურიზმის განვითარებაშიც ერთი მორიგი „პანამის" (დიდი ფინანსური აფიორის) მომზადებაა ჩვენს ქვეყანაში (მივაქციოთ ყურადღება: ლაპარაკია ბიუჯეტიდან ჩადებაზე და არა უცხოურ ინვესტიციაზე). საკითხავია: ამ პანამის ხელშემწყობი ხომ არ იქნება (თუკი პროექტი შედგა) მისი ქებით მოხსენიება პრეზიდენტის მიერ?

**ზნეობის თემა**

პრეზიდენტი ქუთაისში გამეფებულ „საზეიმო განწყობილებას" ახსენებს ევროპის რეგიონულ ასამბლეაში საქართველოს ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის გაწევრიანების გამო. კითხვა დგას: ხომ არ არის ეს „განწყობილება" (ისევე, როგორც „თბილისობის" არც თუ მაღალი გემოვნებით მოწყობილი „ზეიმი") რბილად რომ ვთქვათ, უტაქტობა მგლოვიარე სოხუმისა და ცხინვალის მიმართ?

**შემატკივარი**

# რას ვაშენებთ — ისევ ბაბილონის გოდოლს, თუ ეროვნულ სახელმწიფოებს?

მეორე გვერდიდან

და რომელია მისი ისტორიული სამშობლო. ასეა ეს თურქეთშიც — თურქები არიან, მაგალითად, დღეს თურქეთის საზღვრებში მოქცეულ, თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველებიც. საქართველოს მოქალაქეც, ამ ლოგიკით, თითქოს ყველა ქართველი უნდა იყოს, მაგრამ არ არის ასე და როგორ უნდა იყოს, ამას რატომღაც გარკვევით ვერ, თუ არ გვეუბნებიან.

იმირა მამედოვს ააშენებს ღმერთი — პირდაპირ და გულახდილად გვეუბნება ყველაფერს, რასაც ფიქრობს: „ერთი შეხედვით თითქოს სამოქალაქო სახელმწიფოს ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხები და პიროვნების ეროვნულობის პრობლემა არც უნდა აწუხებდეს, რამეთუ სახელმწიფო, რომელიც თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიოს ძირითად ტენდენციებს აღიარებს და ცდილობს ცივილიზებული მოდელი მოირგოს, ადამიანებს განიხილავს როგორც მოქალაქეებს და თავის მხრივ პიროვნებაც მასთან მოქალაქეობრივ მიმართებაშია, ეროვნულობა კი სოციალური მოვლენაა და არა სახელმწიფო".

იქ, სადაც პატრიოტიზმი ხელმოცარულთა თავშესაფარია, ცხადია, ეროვნულობა სოციალური მოვლენა უნდა იყოს. ამას აბა, რა დიდი მიხვედრა უნდოდა, მაგრამ მე პირადად, უნდა გამოვტყდე, რომ აქამდე ვერა ვხვდებოდი, რაზე იყო ლაპარაკი.

სსრკ-ში ჩვენ ყველანი, რა თქმა უნდა, საბჭოთა მოქალაქეები ვიყავით, მაგრამ — „ეროვნულობა სოციალური მოვლენააო" — ეს დღემდე არავის უთქვამს ჩვენთვის — პირიქით,



„ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური" საზოგადოება ვართო, გვეუბნებოდნენ. აი, ამ „სოციალისტურმა შინაარსმა", ვიდრე ჭირს მოგვჭამდა, ეროვნული უმცირესობები აქცია „სოციალურ მოვლენად" მეტნაკლებად ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, ახალი შინაარსი კი, თურმე ნუ იტყვით, მკვიდრი ერის ეროვნულ უმცირესობებთან, ვითარცა „სოციალურ მოვლენასთან", გათანაბრებასა და, ესე იგი, იმ საბჭოური „ეროვნული ფორმის" დასამარებასაც მოითხოვს ახლა იმისათვის, რომ „ცივილიზებული" მოდელი მოვირგოთ. კარგი რა, ხალხო პატიოსანო, პატრიოტობის გარდა აღარაფერი აღარ არის სირცხვილი ამ ქვეყანაზე?

სიტყვა „უცხო" „ცხებულის" ანტონიმია ქართულში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველობა, მოგეხსენებათ, ყოველთვის საუცხოოდ იყო განწყობილი და ასეა ეს დღესაც. ხომ ცხადია, რომ ეს განწყობა ყოველგვარ აზრს კარგავს და ყოვლად შეუძლებელია იმის გარეშე, რასაც ჩიტიც კი გამუდმებით ჩაგვძახოდა ყურში — „ნუ გათათრდები", ანუ ეროვნულობას სოციალურ მოვლენად ნუ მიიჩნევო. სხვაფრივ აბა, რა იყო ცუდი გათათრებაში? გათათრდებოდი და უმალვე ხელი მოგემართებოდა.

„ცივილიზებული მოდელისა" რა მოგახსენოთ — შედარებითია ჯერჯერობით ყველაფერი, მაგრამ „თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიოს ძირითადი ტენდენციებიდან" თუ რომელიმე

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს **«საქართველო» - მერაბ კოსტავას საზოგადოება»!**

ბლოკში გაერთიანებულნი არიან:

**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია**
**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**
**მერაბ კოსტავას საზოგადოება**
**საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი**

*ხმა ხალხიდან*

# მაშ, საქართველო „უკაცურ კაცებს" უნდა დარჩეთ?!

## ღია წერილი ბატონ აკაკი ბაქრაძეს

მეორე გვერდიდან

ბატონო აკაკი, ჩვენს თანამედროვე იმ ქართველებთან ერთად, რომლებიც დიდი წინაპრების, 60-იანელების იდეურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ, თქვენც დაუღალავად გვაფხიზლებთ, მოსალოდნელ საშიშროებასა და საფრთხეზე მიგვანიშნებდით, მათგან თავდახსნის გზებსაც გვიჩვენებდით, მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო, იმათ, ამბიციურ, ხელისუფლებაში მარადიულადმყოფობის პრეტენზიის მქონე ქართველობაგამოცლილ ჩვენს სისხლსა და ხორცს ვერ ვაჯობეთ, როგორც ჩანს, მათი პრაგმატული მისწრაფებანი უფრო შემაკავშირებელი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა დანარჩენთათვის ეროვნული ინტერესები.

დღეს თუ ჩვენს სამშობლოში სიკეთე დამარცხებულია, ეს პირველ რიგში არც ჩვენი „დიდი მეზობლის", არც მასონური ლოჟებისა თუ ათას რელიგიურ სექტასა და ვითომ საქველმოქმედო ორგანიზაციას ამოფარებულ ძალთა ბრალია. თავსდატეხილი კატასტროფის მიზეზი ჩვენვე ვართ და ამას თვითგვემის სიამოვნება არ მალაპარაკებს. ეს რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ ყველამ, თითოეულმა იმ ქართველმა, რომელმაც თავის თავმდაბლობის, ადამიანური ღირსების ვერღალატის, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს" თუ სხვა მიზეზთა გამო მოქალაქეობრივი პასიურობა არჩია და ნებით დაუთმო ასპარეზი იმათ, ვისაც ქვეყანაში ყველაზე პროგრესულად მოაზროვნედ მიაჩნიათ თავიანთი თავი და პარტია, სინამდვილეში კი მათი ფსიქოლოგია შუასაუკუნეების სიუზენურ-ვასალურ ფეოდალურ აზროვნებას ვერ გაშორებია და სამშობლო ერთმანეთისა და მათთვის არასასურველი ქართველების წინააღმდეგ საბრძოლო-საჯირითო ასპარეზად მიუჩნევია.

ბატონო აკაკი, საზოგადოების უმრავლესობამ საკუთარი ნებით აირჩია გზა, რომელიც ერის სიკვდილამდე მიდის და ახალი დარდისაგან, უძალობისა და შიმშილისაგან ინდიფერენტულ მასად ქცეული გულგრილად შესცქერის მარიონეტების ერთმანეთთან გამართულ შინაომებს. ჯერ კიდევ უკვირს, რომ ხელისუფლების ურცხვობას საზღვარი არ ჰქონია და ეჭვობს, ასე თავგანწირვით რომ ჩასჭიდებიან სახელისუფლებო სავარძლებს, უკვდავების ელექსირი ხომ არ შეუსვამთ.

ქვეყანაში არსებულ უიმედობასა და უპერსპექტივობას საუარესოდ აძლიერებს ისიც, რომ ახლა მთელი სიმძაფრით გამოჩნდა შედეგი იმისა, რასაც მეთოდურად საზოგადოებისათვის თითქმის ყველა ეროვნული ავტორიტეტის მოსპობა ისახავდა მიზნად.

სულაც არ მინდა, ბატონო აკაკი, თქვენი ყურადღება მოვაცდინო საზოგადოებაში პიროვნების როლზე საუბრით, მაგრამ ვინც ჯერ კიდევ საზოგადოებას არქმევს ობიექტური თუ ხელოვნური მიზეზებით დაქუცმაცებულ ადამიანთა ჯგუფებს და თავადაც ამ საზოგადოების ნაწილად აღიქვამს თავს, მას არაფერი დავიწყნია. მით უფრო თქვენი მოღვაწეობა (მე მას დამსახურებას ვერ დავარქმევ, რადგან თქვენ თქვენს უმაღლეს მოქალაქეობრივ მოვალეობას იხდიდით ისე, როგორც შეგეძლოთ და გეკადრებოდათ) დასრულებულად არ მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ თავად ბრძანებთ: „პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას არ მივიღებ, არჩევნებში ორჯერ დავმარცხდი და ეს სრულიად საკმარისია დასკვნების გასაკეთებლად. არ მინდა, აბეზარი ბუზივით ვინმე შევაწუხო, მით უფრო მთელი ხალხი". არადა, როცა გაგახსენდება, რომ ეს „მთელი ხალხი" ისე დაჩლუნგდა თუ დააჩლუნგეს, თითქმის არაფერზე რეაგირებს და ითმენს: ომში სამარცხვინო დამარცხებას,

გაგრძელება მეხუთე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულაბერ კლარჯი

# ქართველებმა დღესაც მიწა ვჭამოთ და ბალახი ვძოვოთ?

მეორე გვერდიდან

ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით, არ გვაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვინდა მათ გავგულიტონ." მრავალსაუკუნოვანი ავბედობის, შავბედობის ვითარებაში ქართველი ერის საუკეთესო, მოწინავე შვილები ყოველთვის ცხოვრობდნენ, ილწვოდნენ იმ პრინ-



ციპით, რომელიც აფორიზმად ჩამოასხა შოთა რუსთაველმა — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი." ამ შეგნებით შეებრძოლნენ 1812 წელს აჯანყებული, ერთი მუჭა კახელებიც უზარმაზარ ბოროტების იმპერიას.

ქართველი ერის უმრავლესობას, საუბედუროდ, ჩვილ ბავშვებსაც, მოზარდებსაც, დღესაც, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზეც, აშიმშილებენ. ამასთანავე, ქართველთა უმცირესობა თაღლითობით, ცუღლუტობით, ქვეყნისა და ერის ღალატით გამდიდრებას ახერხებს. როგორც ვნახეთ, რუსეთის ბატონობა საქართველოში დაიწყო იმით, რომ დამპყრობელმა ქართველი ერი დაამშია და მას მიწის ჭამასა და ბალახის ძოვას სთავაზობდა, ხოლო ჩვენი ქვეყნის დოვლათს თვითონ ითვისებდა. დღეს, თითქოს, მოვლენების განვითარებას ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთის იმპერიის ბატონობა საქართველოში ბოლოს და ბოლოს უნდა დასრულდეს, ამოიძირკვოს, მაგრამ გველეშაპი კუდის მოქნევის გარეშე არ დაგვეხსნება.

მხცოვანი დიმიტრი ყიფიანი, ახალი დიმიტრი თავდადებული, რუს ეგზარქოსს ქართველი ერის დაწყევლა რომ არ შეარჩინა და საქართველოდან გადასახლება მიუსაჯეს (როგორც ჩანს, მაშინვე გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი მოკვლაც და ეს ბინძური ჩანაფიქრი დამპყრობელმა განახორციელა კიდეც), სამშობლოსგან მოკვეთის წინა დღეებში აკაკი წერეთელმა ინახულა მშობლიურ სოფელ ქვიშხეთში. ენაწყლიან აკაკის სიტყვები ველარ მოუძებნია გმირი მოხუცის სანუგეშებლად. მაშინ თვით ღვთაებრივ დიმიტრის მოუხერხებია დაძაბულობის განმუხტვა ამ სიტყვებით: ერთი იმ თავით და მეორე — ამთავითო. შეგნებული ცხოვრება 1832 წლის რუსეთის ბატონობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობით და გადასახლებით დავიწყე და ამგვარადვე ვასრულებო. მსგავსად ამისა, რუსეთის საქართველოში დამკვიდრება საშინელებებით დაიწყო, ორასი წლის განმავლობაში მრავალი უბედურება გადავიტანეთ და დღეს, როდესაც რუსეთის ბატონობას, თითქოს, ბოლო უნდა მოეღოს, ქართველი ერი ფიზიკური და ზნეობრივი დაღუპვის საფრთხის წინაშე დააყენეს. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ და მისმა საზღვარგარეთელმა მხარდამჭერებმაც მოახერხეს ის, რომ ახლანდელ საქართველოს კომუნისტური და ამდენად არაეროვნული ხელისუფლება ჩაუყენეს სათავეში. ამგვარი პოლიტიკის, ქართული ეროვნული სულის ჩაკვლის შედეგად კი ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო აღმავლობის, წინსვლის ნაცვლად ყოველმხრივ დაცემას განიცდის. მოსალოდნელია, რომ ხალხი, რომელსაც 5-6 თვე ისედაც მათხოვრულ ხელფასს, პენსიებს არ აძლევენ, თუ გაბედავს და პროტესტს გამოთქვამს, ჩვენი პოლიციური სახელმწიფოს წარმომადგენლები მას დღესაც ისევე მიუთითებენ მიწაზე და ბალახზე, როგორც ორასი წლის წინ რუსი დამპყრობლები სთავაზობდნენ მიწას და ბალახს საკვებად.

გავრცელებული აზრის თანახმად, ყველა ხალხი ღირსია იმ ხელისუფლებისა, რომელიც ყავს. როგორც ჩანს, დღევანდელმა ქართველობამაც დავიმსახურეთ ახლანდელი ხელისუფლება. მაგრამ იმაზე მაინც ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, საქართველოს მომავალი ვიხსნათ მიწის ჭამისა და ბალახის ძოვისაგან!!!

# სასამართლოს გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდად არ უნდა დარჩეს, ანუ გაამრუდებს თუ არა სამართალს აღმასრულებელი ხელისუფლება?

მესამე გვერდიდან

ესებუა) რეკვიზირებული შენობის ღირებულების ასანაზღაურებლად აღმასრულებელ ხელისუფლებას თქვენს სასარგებლოდ 2.9 მლნ. ლარის გადახდა დააკისრა. ამ ეფექტური წარმატების ფონზე, როგორ ფიქრობთ, რომ განაპირობა ძირითადად თქვენი გამარჯვება?)

— საქართველოში, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ ტრადიციად იქცა საუბრები საყოველთაო განუკითხაობასა და ტოტალურ კორუფციაზე. საოცარია, მაგრამ ამას შეეჩვია მოსახლეობაც, ვის კისერზეც ძირითადად გადადის ეს მანკიერება. აღარავის უკვირს, რომ სახელმწიფო მოხელეს თვითმიზნის რანგში ჰყავს აყვანილი ძირითადი კეთილდღეობა; მიზანი, რომელიც (მის თვალში) ამართლებს ყველა საშუალებას. ასეთ პირობებში, სახელმწიფო მოხელისაგან საუბარი სამშობლოზე, სამშობლოს ინტერესებისათვის პირადულის დათმობაზე, საერთოდ, კანონიერებაზე და მით უფრო, კანონის უზენაესობაზე, ცოტა არ იყოს, ცინიკურად ჟღერს. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობის თითქმის სრულმა შეცვლამ ხალხს იმედის მარცვალი გაუღვივა. ჩვენდა საბედნიეროდ, მათ შორის მართლაც აღმოჩნდა რამდენიმე დიდმოხელე, ვისთვისაც „კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია".

ახლადმოსული აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც ჩვენი საქმე სამსახურებრივი მოვალეობის გამო შეისწავლეს, ამოსავალ წერტილად კანონი მიიჩნიეს. მათი ხედვით, არა აქვს მნიშვნელობა ხაზინაში რამდენი ლარია ან არის თუ არა თბილისში თავისუფალი შენობა; არა აქვს იმიტომ, რომ სახელმწიფომ, რომელმაც ბუნების დაცვის საზოგადოებას ჩამოართვა საზოგადოებრივი საკუთრება, კეთილი უნდა ინებოს და აუნაზღაუროს კიდეც მას ჩამორთმეული შენობის ღირებულება, ან საკუთრებაში გადასც-



ეს ამ ღირებულების ტოლფასი სხვა რომელიმე შენობა. ეს არის ერთადერთი გზა საკითხის სამართლებრივად გადაწყვეტისა და მას ალტერნატივა არა აქვს. უნდა ითქვას, რომ საკითხისადმი ასეთმა პრინციპულმა მიდგომამ აიძულა აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ხელმძღვანელები თავი შეეწუხებინა და მოეძებნა ჩვენთვის მისაღები ვარიანტი.

მიმაჩნია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ახალი თაობის ზოგიერთ ხელმძღვანელთა ქმედება სასიკეთო იყო ზოგადად ქვეყნისათვისაც, ვინაიდან ამით კერძო მესაკუთრეებმა ანუ ძირითადად საქმიანი წრის ხალხმა ცოტათი მაინც ირწმუნა ჩვენს ქვეყანაში კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, რაც სამეურნეო აღმავლის ერთ-ერთი ცენტრალური პირობაა.

— ქვეყანაში, სადაც არ სრულდება პრეზიდენტის განკარგულება, უფრო მეტიც, სადაც იგი შეიძლება გააუქმდეს თბილისის მერის მიერ, რა გარანტია გაქვთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები შესრულდება? ღმერთმა ნუ ჰქნას, მაგრამ თუ მაინც არ შესრულდება, რაღას მოიმოქმედებთ?

— არა მგონია, რომ ასე მოხდეს; მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, ჩვენ უკვე, ყოველი შემთხვევისათვის, ინგლისურად ვთარგმნით სასამართლოში არსებული საქმის ქსეროასლს. საქმე იმაშია, რომ საქართველოს მოქალაქეებს, მით უფრო მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს (როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყნის წარმომადგენლებს), უფლება აქვთ მიმართონ საერთაშორისო სასამართლოებს. პარალელურად, მთაწმინდის რ-ნის სასამართლოს აღმასრულებელი ამზადებს მასალებს ხაზინის ანგარიშზე ყადაღის დასადებად. მაგრამ, ვფიქრობ, ეს არის უფრო იმ ფსიქოლოგიური კომპლექსის გამოვლინება, რომელიც მრავალწლიანმა განსაცდელმა დაგვიტოვა და არა რეალობა. როგორც მოგახსენეთ, აღმასრულებელი ხელისუფლების ახალი თაობის ის ხელმძღვანელები, რომლებიც ჩვენ საქმესთან შეხებაში იყვნენ, კანონის, საკუთრების, მეწარმეობის და დემოკრატიის თავგადადებული გულშემატკივარნი გამოდგნენ და ჩვენც, მათთან ერთად ღრმად გვწამს, რომ მხოლოდ ეს გზა მიგვიყვანს საქართველოს სათნოყოფასთან.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს «საქართველო» – მერაბ კოსტავას საზოგადოება»!

ბლოკში გაერთიანებულნი არიან:

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი

ხმა ხალხიდან

# მაშ, საქართველო „უკაცურ კაცებს" უნდა დარჩეთ?!

## ღია წერილი ბატონ აკაკი ბაქრაძეს

მეოთხე გვერდიდან

ლტოლვილობას, დების და დედების შეგინებასა და გაუპატიურებას, მოწამლულ პურსა და წყალს, მიწის, ზღვის, ტყის გაყიდვას, თავისი ახალგაზრდების ნებაყოფლობით გასაუცხოებლად გაწირვას. გამომთვრალი გადამთიელისაგან დედაქალაქის ცენტრში ორი ახალგაზრდის მკვლელობას. სახელმწიფოს პირველი პირებისაგან „მეზობელი სახელმწიფოების", აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების პირზე კოცნით შეხვედრას (თუმცა ამ უზნეობას დიპლომატიად ნათლავენ), თითქმის ყოველ კვირაში რუსეთიდან ჩამოსვენებულ სალსალამათ ახალგაზრდათა ოჯახების უბედურებას. ჯერ დაუბადებელი ქართველების ვალებს, მუნიან და ტილიან ჯარისკაცებს, ასაფეთქებლად გამზადებულ ჯავახეთში განვითარებულ მოვლენებზე



უსუსურ კომენტარებს, ყველა ახალგაზრდის გასტუდენტებას, საშოვარზე გადაკარგულ მამებს, თურქეთსა და საბერძნეთში გადახვეწილ ოჯახის ქალებს და ითმენს იმასაც, როცა თითქმის ყველაფერი ამის სულისჩამდგმელნი მუქარაგარეული ხმით გვამადლიან: „უმადურნო, წინსვლას ვერ ამჩნევთ, ღამე ქუჩაში ხომ მშვიდად დადიხართ. დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, ქვეყანა აღმავლობის გზაზე დავაყენეთ, მართვის სადავეებს არავის დავუთმობთ, ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო". იქნებ, ამდენი რამის მომთმენი ხალხი უკეთესი მდგომარეობისა და ხელისუფლების ღირსი მართლაც არ იყოს, მაგრამ, ბატონო აკაკი, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ხომ იმ სისტემის ნაყოფია, რომელ სისტემაშიც ქვეყნის დღევანდელი მესვეურნი მათ ასეთებად აყალიბებდნენ, ამიტომ ისინი თქვენ გზას ვერ გაჰყვებოდნენ. ჩვენი ხალხი რომ სწორი არჩევანისთვის ყოფილიყო მზად, არც ამდენის გადატანა მოგვიხდებოდა და დღეს ხელისუფლებისათვის ბრძოლა არც ასეთ გაფთრებულ ხასიათს მიიღებდა.

მაგრამ არიან „მთელი ხალხიდან" ისინიც, რომლებიც დამარცხებისდა მიუხედავად ორივეჯერ თქვენ გენდნენ, მათი ყურადღება ყოველთვის თქვენკენ იყო მომართული და რომლებსაც თქვენი ამდენი ხნის დუმილით კინალამ იმედი გაუცრუეთ. არადა, ისინი ცოტანი როდი არიან. თუ უხერხული პარალელი არ იქნება, ხელისუფლებაში გასულ ზოგიერთ პრივილეგირებული პარტიის წევრებს აჭარბებენ რაოდენობით. თქვენ კი ისინი მიატოვეთ შუა გზაზე, ვინც ნდობას გიცხადებთ, მოგყვებოდათ და ვისაც დღემდე სჯერა, რომ ეროვნული ძალების გაერთიანებამ და ქვეყნის გადარჩენის წინასწარ შედგენილმა პროგრამამ შეუძლებელია არ გასჭრას და ნაყოფი არ გამოიღოს. თქვენი და ეროვნული ლიდერების ძალთა გარეშე უკეთესი მომავლისაკენ გზა უფრო დაგრძელდება. ჩვენ, უჩინო ქართველებს, მალე იქნებ ხმის ამოღებაც სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებად ჩაგვითვალონ. თქვენს ავტორიტეტს კი, უნდათ არ უნდათ, ანგარიშს გაუწევენ. თქვენ ჩვენს წინაშე ვალდებულიც ხართ, ისევე, როგორც ჩვენ ვართ ვალდებულნი ქვეყნისა და იმათ წინაშეც, ვისიც გვჯერა.

დღევანდელმა ხელისუფლებამ საკუთარ თავს შეფასება თავისივე საქმიანობის შედეგით მისცა. მიღებული კანონ-პროექტების სიმრავლითა და ეკონომიკური პოლიტიკის ციფრობრივი მაჩვენებლებით თავის მოწონება რომ არ კმარა, განა თავად არ იცის? განა ამდენი პრობლემები უნდოდა? მაგრამ მათი ძალა მეტს არ გაწვდა. ამას კი ისინი არასოდეს აღიარებენ. მართალია, გვყავს თვითანალიზისა და თვითკრიტიკას მოკლებული ხელისუფლება, მაგრამ არიან ქვეყნის უკეთესი შვილები, რომელთა არსებობაც განსაზღვრავს ერის სახეს და მომავლის იმედს არ აქრობს, თუმცა ისინი უმრავლესობას არასოდეს წარმოადგენდნენ. ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში დიდ რუსს ნიკოლაი ბერდიაევს, როცა აღნიშნავდა: „ერის სული ყოველთვის გამოიხატება პიროვნებათა თვისობრივი შერჩევით, რჩეული პიროვნებების მეშვეობით. ერის ნება გამოუთქმელია არითმეტიკულად რაოდენობებში, იგი არ არის უმრავლესობის ნება, მის ნებაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ცოცხლები, არამედ გარდაცვლილნიც. მონაწილეობს დიდი წარსული და ჯერ გამოუცნობი მომავალიც".

ბატონო აკაკი, ნუთუ ასე „გათითოკაცებულნი", ყელში მოწოლილი ცრემლითა და გულში საკუთარი უძალობის ბოღმით უნდა ვუცქერდეთ ქვეყნის დაღუპვას. ნუთუ, კარგი ქართველები ვერ უნდა შეურიგდნენ და მორიგდნენ, თუ საქართველო ისევ „უკაცურ კაცებს" უნდა დარჩეთ?!

ზემოთ ვთქვი, ხელისუფლებაში მოსულმა ქართველებმა რაც შეეძლოთ, ის მოიმოქმედეს, ანუ ხალხისა და ქვეყნისათვის არაფერიც არ და ვერ გააკეთეს. ვერც გააკეთებდნენ, მათგან ნებსით თუ უნებლიეთ წამოსულ სხვათა უბედურებებზე თავად არც გული აუჩუყდებათ და არც სინდისი დაუწყებთ ქენჯნას. ისინი მხოლოდ ერისათვის თავდადებულ შვილთა გაერთიანებულ ძალასა და ჭკუას ვერ დაუპირისპირდებიან. წასვლა ყოველთვის მტკივნეულია, მაგრამ ისინიც იძულებით შეეგუებიან იმას, რომ არაფერი გამოუვიდათ. თავიანთი თავი ამოწურეს.

ჩვენი ერთ ადგილზე მდგომი თუ სულ უკან და უკან მიმავალი სამშობლო კი ცვლილებებს ითხოვს, გადამწყვეტი მოქმედების დროა, თქვენი და თქვენი თანამოაზრეების, ეროვნული ძალების ასპარეზზე გამოსვლის დრო.

ბატონო აკაკი, თქვენ პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებთ. მე თქვენი არჩევანის გამო ვერც საყვედურს შეგკადრებთ და მით უფრო, რაიმესაკენ მოწოდებას, მაგრამ იმ წერილის ფრაგმენტს კი მოგაგონებთ, ილიამ რომ მისწერა ქართველ საზოგადოებაზე გულაყრილ ნიკო ნიკოლაძეს:

„ძმაო, ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, წავიკითხე, მაგრამ წაკითხული აქამდისაც არ მჯერა... ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებსა და იმათ ბზუილზე გაფრთხი? განა წინადვე არ იცოდი, რომ მაგ გზაზედ, რომელსაც შენ დაადგე, ათასი ვაი-ვაგლახი, ბეზღი, ცილი, ლანძღვა და თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენს შრომასა და მოღვაწეობას? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. ვითომ რად გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად არ გიხარიან, იმდენი ძალა გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყაყანე. ექცევი რასა და ვის? შენ ქვეყანას, შენ შრომას, შენს მეგობრებსა და თანამოაზრეებს. რას შვრები... რასა? თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად ილწვოდი. დარჩი მაგ უბედურ ქვეყანაში, დარჩი და იშრომე და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურს უნდა შველა და არავის სხვას. კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსან საქმეს, თუ ამას არა იქმ, მაშინ გეტყვით, „ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და ისევ ქარმა წაგიღო", გეტყვით მას, მაგრამ გულში ერთი ძარღვი ჩაგვწყდება".

ბატონო აკაკი, მეტს ვერაფერს გეტყვით.

არც ჩვენ (ვისაც თქვენი გვჯერა) ვართ ის ხალხი, მუხლზე დაჩოქილმა დაბრუნება გთხოვოთ და არც თქვენ ის კაცი, აივანზე გადმომდგარმა, ჩვენი ასეთი ყოფნის შემხედვარემ, გადაწყვეტილება შეიცვალოთ, მაგრამ სიტყვა მაინც თქვენზეა.

**იმედითა და ულრმესი პატივისცემით**

**ლია კუხიანიძე**

# რას ვაშენებთ — ისევ ბაბილონის გოდოლს, თუ ეროვნულ სახელმწიფოებს?

მეოთხე გვერდიდან

„ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარებას ცალკეული ქვეყნების სამოქალაქო საზოგა-



დოებათა ძალისხმევის გაერთიანებითა და ამ გაერთიანებული მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების ეგიდით ვარაუდობს, მაშინ სრულიად აშკარაა, რომ ამგვარ ტენდენციას გამოდევნებულ ადამიანთა გულის ნადები და სულისკვეთება არსებითად არაფრით განსხვავდება იმისაგან, რასაც გულისხმობდა ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი ლოზუნგი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით." ხსნის გზას ახლა ყველა ქვეყნის ხელმომართულები ხედავენ, როგორც ჩანს, იქ სადაც მანამდე ქვეყნის ხელმოცარულებმა დაინახეს და პროლეტარების ნაცვლად ახლა „შეგნებულ" მოქალაქეებს მოუწოდებენ — შეერთდითო. „ახალი ადამიანი", როგორც ჩანს, დედამიწის ამ მეექვსედზე ახლა „მოქალაქეებისაგან" უნდა გამოიძერწოს. მიზანი და უპირველესი ამოცანა, როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში ერთია — ეროვნული ცნობიერების მოშლა და გაცამტვერება, ერისაგან მისი „პროგრესული" ნაწილის გამორჩევა, „გაახლება" და მერე სხვა „გაახლებულებთან" ერთად შეერთება სამოქალაქო სახელმწიფოებში. ლენინსაც უეჭველად ეს ჰქონდა უზურში რომ ამბობდა — ჩვენ უნდა გავიყოთ, რომ შევერთდეთო.

სტალინი, რა თქმა უნდა „ლენინი იყო დღეს" და მისი საქმის გამგრძელებელი, მაგრამ ლენინის ანდერძი, როგორც ჩანს, ბოლომდე მართლა ვერ, თუ არ შეასრულა — სსრკ, ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ მაინც „ფორმით ეროვნული" და ფორმით სუვერენული რესპუბლიკების კავშირად ჩამოყალიბდა და არა სოციალისტური შინაარსის აშშ-დ. ანტისტალინიზმის საფუძველი მავანთათვის, როგორც ჩანს, სწორედ ეს გარემოება დღესდღეობით და არა ის ჯოჯოხეთი, რაც მან, ვითარცა ლენინის საქმის გამგრძელებელმა, დაათენა იმისათვის, რომ თავისი „შესაძლებლის მაქსიმუმისათვის" მიეღწია. ნიშანდობლივი არ არის განა, რომ დღეს სწორედ სტალინის სურათებს დააფრიალებენ ქუჩებში რუსი ხელმოცარულები? აი, ეს „ეროვნული ფორმა" არ ეთმობათ არც რუსებს, თორემ იმათზე უკეთ ვინ უწყის ამ ქვეყანაზე, რომ სსრკ იმდენადვე იყო რუსეთის იმპერია, რამდენადაც საქართველო იყო საქართველო სსრკ-ში? ეროვნული არსებობის ფორმად რუსებს, სამწუხაროდ, დღესაც მხოლოდ იმპერია ესახებათ, როგორც იდეალი, ჩვენ — „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა." აი, ამ სიბრტყეზე გვმტრობენ დღეს ჩვენ რუსები და ამ სიბრტყეზე ვცდილობთ ჩვენც გაძალიანებას, მაგრამ ეს იმედი თუ ორივეს ერთნაირად გადაგვეწურა, მაშინ, ცხადია, ისევ სსრკ-ში დაბრუნების შესაძლებლობებზე



დავფიქრდებით ყველა. არ ვიცი, სხვაგან როგორ არის საქმე, მაგრამ რუსეთშიც და ჩვენშიც ბევრს გადაეწურა უკვე ეს იმედი, თუ იმედები. ვახტანგ გოგუაძე, მე ვფიქრობ, სწორედ ამას გულისხმობს, რომ აცხადებს — შეიძლება მე და შევარდნაძე კვლავ ერთად დავდგეთო.

შეიძლება ასეც მოხდეს, სულაც არ იქნება ეს გასაკვირი, თუმცა ცხადია ისიც, რომ „ერთ წყალში მეორეჯერ ვერავინ შევა."

ხელმოცარულთა შესაძლებლის მაქსიმუმი, ცხადია, დიქტატურაა ყოველთვის და ღმერთმა ყველა დაგვიფაროს ამისაგან, მაგრამ ყველანაირი დიქტატურა ერთად აღებული მონაგონი იქნება, ბაბილონის გოდოლის მშენებლობაზე ფიქრი თუ არ ამოიგდო თავიდან ერთხელ და სამუდამოდ კაცობრიობის ხელმომართულმა ნაწილმა.

ნებისმიერი სახელმწიფო და, მით უმეტეს — იმპერია, რა თქმა უნდა, ძალადობაა და ამ ძალადობის გადამკიდე ბაბილონისაკენ მიდის, მაგრამ პირდაპირ ბაბილონში თავის ამოყოფას ისევ ამ შუა გზაზე გაჩერება უჯობს მაინც ყველა ერს. სხვა გზა და სახიდებელი თუ არ გამოუჩნდა.

აი, სწორედ ამაზეა ლაპარაკი ქართული ზღაპრის ამ ერთი შეხედვით თითქოსდა მართლაც ყოვლად პარადოქსულ ბოლოთქმაშიც — „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო."

დიდი ქვაბი აბა, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ბაბილონი? ჩიტი, მოგეხსენებათ, თავისუფლების სიმბოლოა. აი, ეს ჩიტი, ანუ თავისუფლება კვდება სწორედ და ველარ ეტევა იმ დიდ ქვაბში, საითკენაც მიისწრაფვის ზუსტად ისევე, როგორც ფარვანა ეტანება შუქს, ხოლო პატარაში, რა თქმა უნდა, რომ არასოდეს არ არის საკმარისი.

ასეა, ბავშვი სტუმრად ყოველთვის უფრო ატანს გემოს საჭმელს, ვიდრე საკუთარ სახლში. თავისუფალი ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, ყოველთვის სხვაგან არის თავისუფალი. სხვა არის ყოველთვის სხვის ომში ბრძენი, რადგან ომია თავისთავად ყოველთვის სხვისი.

ახლა ძნელი სათქმელია თითქოს — კარგი იყო თუ ცუდი, ერი და ერები რომ შეიქმნა თავის დროზე; თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ღმერთმა მხოლოდ მამაკაცებად და დედაკაცებად შეგვქმნა ადამიანები, „სახედ თვისად და ხატად ღმრთისა", მაშინ უნდა ვიგულისხმოთ თითქოს, რომ ერიცა და სხვა ყველაფერიც თავად ჩვენი მოგონილია და ამდენად ღმრთის უნებური წამოწყება გახლავთ, მაგრამ პირველი ერიც ხომ სწორედ „ღმერთის რჩეულია"? რჩეულობაა ამიტომ ნებისმიერი ერის



მთავარი და მთავარზე უმთავრესი თვისება, უამისოდ არ არსებობს ერი — ყველა ერს თავისი ფუნქცია და დანიშნულება აქვს ამ ქვეყანაზე. ზოგადად ეროვნულობის მთავარი და მთავარზე უმთავრესი დანიშნულება კი, როგორც ჩანს, მაინც ის არის, რომ არ დაუშვას ახალი ბაბილონის გოდოლის მშენებლობა დედამიწაზე, არ დაუშვას საყოველთაო გასხვავება და გაუცხოება კაცობრიობისა.

თავიდან, მოგეხსენებათ, ყოფილა ერთი ღმერთი და ერთი ენა, მაგრამ როგორც ჩანს, სწორედ იმ ერთმა ენამ არ გაამართლა და იმ ერთმა ღმერთმა თავად აურია ადამიანებს ენები. ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა ბაბილონის გოდოლის მშენებლობა წამოიწყეს და დაისაჯნენ ამის გამო, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებმა კი ერები შექმნეს და იმ პირველი, „ღმერთის რჩეული" ერის წამხედურობით ყველამ თავისი „აღთქმული ქვეყანა" მოიძია და შემოიღობა სათავისოდ. ბოლოსდაბოლოს, უკვე მერამდენედ, კვლავ მოიძია და შემოიღობა სათავისოდ ეს „აღთქმული ქვეყანა" იმ პირველმა „ღმერთის რჩეულმა" ერმაც.

ყოვლად შეუძლებელია, რომ ულრმეს თანაგრძნობას არ იწვევდეს ამ ერის გამუდმებული კირთებით აღსავსე თავგადასავალი, ყოვლად შეუძლებელია, რომ არ აღაფრთოვანებდეს მისი ეროვნული სიმტკიცე ამ თანაგრძნობით გამსჭვალულ ყველა ადამიანს, ყველა, თავისებურად „რჩეულ", ერსა და ზოგადად კაცობრიობას.

სწორედ ამ ერს უნდა უმადლოდეს კაცობრიობა იმ მოდელსაც, რომელიც ყველაზე ადამიანურად და ყველაზე გონიერულად აწესრიგებს მკვიდრი ერისა და ეროვნული უმცირესობის



ურთიერთობებს. ებრაელობას არსად და არასდროს არ მოუთხოვია ტერიტორიული ავტონომია, კულტურულ ავტონომიას კი ყველგან ინარჩუნებდა და ყველგან მკვიდრი ერის სახელს ურთავდა წინ თავისას. ყველაზე დიდი წარმატებით ეს მოდელი, როგორც ირკვევა, სწორედ საქართველოში განხორციელდა და ჩვენს დროში ამას სხვათათვის ცოტა არ იყოს საკვირველი „ქართულ-ებრაული ფენომენი" ეწოდა.

ბაბილონის გოდოლის მშენებელთა სამწუხარო გამოცდილება სწორედ ამიტომ უნდა იყოს საგულისხმო დღეს და ყოველთვის ყველასათვის — ღმერთმა „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა", მსოფლიო წესრიგი ამ უთვალავ ფერთა ერთობას შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ და არავითარ შემთხვევაში ერთფეროვნებას.

ბიბლიის კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ჩვენს, „აბელურ" ცივილიზაციას ოდესღაც, როგორც ჩანს, წინ უსწრებდა კაენური, რომელიც იმიტომ დაიღუპა, რომ ბოლოსდაბოლოს პირწმინდად ქალაქურ ცივილიზაციად იქცაო.

სამოქალაქო საზოგადოება და მისი, ასე ვთქვათ, წამყვანი როლი, ცხადია, მეტნაკლები რეალობაა დღეს ყველა ქვეყნის ცხოვრებაში, მაგრამ რაოდენ დიდი, მნიშვნელოვანი და, თუ გნებავთ,



გადამწყვეტიც არ უნდა იყოს ეს როლი, სამოქალაქო საზოგადოება თავისთავად, რა თქმა უნდა, სწორედ სოციალური მოვლენაა და როგორც სწორედ ერთი სოციალური ჯგუფი ნაწილია ერის, ქვეყნისა და სახელმწიფოსი. ეროვნული წარმომავლობის თვალსაზრისითაც, ცხადია, მეტნაკლებად ჭრელია იგი ყველა ქვეყანაში, მაგრამ ამის გამო ეროვნულობას თუ გამოვაცხადებთ სოციალურ მოვლენად, მაშინ გამოვა, რომ ყველა ქვეყანა და ყველა სახელმწიფო ყველასი იქნება და, ესე იგი, არ იქნება არავისი, ანუ აქამდე თუ სსრკ იყო ჩვენი სამშობლო, ამიერიდან მთელი დედამიწა იქნება. მთელი დედამიწა იქნება, ესე იგი, სამოქალაქო საზოგადოების სამშობლო. დანარჩენებმა რა ქნან? სამოქალაქო საზოგადოებებს შეუერთდნენ და პირწმინდად სამოქალაქო ცივილიზაციად გარდაქმნან ეს ჩვენი ცივილიზაციაც? ავყაროთ ეს ჩვენი, აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი გლეხობა, ყველას ქალაქში მოვუყაროთ თავი, რათა მერე ეს გამოთავისუფლებული მიწები ქალაქური ცნობიერების მქონე ფერმერებს მივყიდოთ განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ანუ ეროვნულობისა, რაც თურმე ერთი და იგივე ყოფილა? თუ ასეა, რატომ არ ეკუთვნით ვითომ ნობელის პრემია, მაგალითად, იმ ადამიანებს, ვინც ერთი ხელის დაკვრით აგერ, ლამის მთელი აფხაზეთი და მთელი შიდა ქართლი ჩამოგვისახლა უკვე ქალაქში?

ამბობენ, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მხოლოდ ოთხი პროცენტია დაკავებული სოფლის მეურნეობაში და ის ოთხი პროცენტი აჭმევს პურს დანარჩენ ოთხმოცდათექვსმეტსო. როგორია ეს თანაფარდობა დღეს მთლიანად მთელს მსოფლიოში? კაცობრიობის რამდენი პროცენტი რამდენის გამოკვებას შეძლებს, ან მოინდომებს? როგორი იქნება იმ საკვების ხარისხი? ვისთვის როგორი?

ვის როგორ გვჭირს, თუ გვილხინს, ეს სახელმწიფოს საქმე არ არისო, ჩვენ ყველანი მოქალაქეები ვართ და ჩვენს თავს ჩვენ თვითონვე



უნდა მივხედოთო, უნდა მივდგეთ-მოვდგეთ და უნდა ვიჩალიჩოთო, აბა, როგორ გინდათო? სახელმწიფომ რაღაც უნდა ქნას და — ჭკუით უნდა იყოსო. თქვენც ჭკუით იყავით, ხელმოცარულები, თუ გინდათ, რომ შიმშილით სული არ გაგძვრეთო. ისევ ერთი ჭკუა იგულისხმება, როგორც ჩანს, ამჯერადაც, მაგრამ ჯერჯერობით ინკოგნიტოა ამ ჭკუის პატრონი.

ვაზვიადებ, რა თქმა უნდა, მაგრამ ეროვნული სახელმწიფოს ალტერნატივა დღესდღეობით დაახლოებით ასე გამოიყურება.

აი, ამ ალტერნატივისაგან დაიცვა თავის დროზე და თავისი ჭკუით სტალინმა საბჭოური ეროვნულობა, როდესაც უარი უთხრა ჩინელებს სსრკ-ს შემადგენლობაში შემოსვლაზე ერთ-ერთი რესპუბლიკის უფლებით. ამ ალტერნატივას შეუშინდა, ეტყობა, მაშინაც, როდესაც შეეძლო და არ გაანითლა ევროპის დასავლეთი ნაწილიც. ამ ალტერნატივაზე ფიქრობს უეჭველად დღეს ყველაზე ნაკლებად ეროვნული, ყველაზე უფრო სამოქალაქო, ყველაზე უფრო დემოკრატიული სუპერსახელმწიფოც და ამიტომ აჭიანურებს, მაგალითად, პუერტო რიკოს პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას.

რაღა თქმა უნდა, რომ ყველა სახელმწიფო თავისებურად უფრთხის და არ შეიძლება, რომ არ უფრთხოდეს ამას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეროვნული სახელმწიფოს ამ ალტერნატივას ჩვენშიც და მთელს მსოფლიოშიც, როგორც ჩანს, იმაზე გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა. განსხვავება შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ ჩვენში ეს საჩვენოდ ეოცნებება ზოგიერთს, სხვაგან კი სასხვისოდ და, ესე იგი, იქაც საჩვენოდ. კორუფცია გვჭამს, გამოსავალს კი იმაში ვხედავთ, რომ ხაზინის ქურდებს მოპარული ფულები დავუკანონოთ. განახევრდა ქვეყანა და ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების ლიდერები პატივს თურმე იმიტომ გვცემენ, რომ ვეგუებით ამას

გაგრძელება მერვე გვერდზე

თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს

**«საქართველო» – მერაბ კოსტავას საზოგადოება»!**

ბლოკში გაერთიანებულნი არიან:

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი

14

---

გაგრძელება. დასაწყისი №62

# სომხები საქართველოში (უძველესი დროიდან დღემდე)

სომეხი ხალხის გაერთიანება და თავმოყრა ირანის სამფლობელოებიდან დაიწყო ქართლ-კახეთის სამეფოს ინიციატივით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, რომელმაც ალმავლობა განიცადა რუსეთთან მიერთების შემდეგ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ცარიზმს თავისი ანექსიური პოლიტიკური მიზნების განხორციელების ერთ-ერთ დასაყრდენ ძალად ქართლ-კახეთში სომხების ჩამოსახლება მიაჩნდა. სამწუხაროდ, ამ საქმეში ერეკლე II რუსეთის ამ შორსგამიზნული პოლიტიკური გეგმის განხორციელების უნებლიე მონაწილე გახდა.

ალა-მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ ყარაბაღიდან ლტოლვილმა სომეხთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა „დროებით" თავი შეაფარა საქართველოს. მაგრამ შემდეგ ისინი არათუ უკან დაბრუნდნენ, არამედ სხვა ყარაბაღელი სომხებიც თავიანთ მელიქებიანად გამოიქცნენ საქართველოსა და განჯაში. (იხ. პ. გუგუშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 375).

ყარაბაღელმა სომეხმა მელიქებმა: მელიქ აბოვმა, მელიქ ჯიმშიდიმ და მელიქ ფრიდონმა თავიანთ ქვეშევრდომებიანად თავი შეაფარეს საქართველოს. მელიქ აბოვმა ერეკლე II-ისაგან მიიღო მეტად ხელსაყრელი პრივილეგიები და დასახლდა მეფისაგან ნაბოძებ ბოლნის-დმანისთან, სადაც ჩამოიყვანა 700-ზე მეტი ყარაბაღელი კომლი სომეხი. ეს მელიქები ფაქტობრივად საქართველოს თავადებად იქცნენ. მათი უფლებრივი მდგომარეობა ამ დროს ერევნის სახანოში არსებული მელიქების უფლებაზე გაცილებით დიდი იყო. მელიქ აბოვი ხშირად ადგენდა რაზმებს, თავს ესხმოდა ჯავახეთს, მოჰქონდა იქიდან ნადავლი და მოყავდა ხალხი, რომელსაც ასახლებდა თავის სათავადოში (იხ. АКАК т. I. с. 698). როგორც პროფ. შ. ლომსაძე მიუთითებს, შესაძლებელია გრიგორიანულ სარწმუნოე-



გაგრძელება მეცხრე გვერდზე

# თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო
## (ისტორია და შედეგები)

*გაგრძელება (დასაწყისი № 57, 62)*

როგორც წინამორბედ თურქ მომთაბარეებს, თემურ-ლენგსაც მასობრივად შემოჰყავდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და საქართველოს მიწა-წყალზე თურქი მომთაბარენი. იგი აქტიურად მოქმედებდა არამუსლიმი მიწისმფლობელებისა და მათი ყმა-გლეხების გამაჰმადიანება-გათათრებისათვის ანუ ყიშლაღებითა და იალაღებით უზრუნველყოფისათვის. საქართველოს მონაპირე მხარეებში ქართველი გლეხობის გამუსლიმება, „გათათრება" ძირითადად ძალდატანებით ხდებოდა, სამაგიეროდ მცირე აზიაში ბერძენი გლეხობა, როგორც დ. ავჯიოღლუ წერს, გაურბოდა თავის ბატონს, ე. ი. ფეოდალურ ექსპლოატაციას და გადადიოდა სელჩუკებში, სადაც იგი მუსლიმდებოდა და იქაური თემის თანასწორი წევრი ხდებოდა. ამიერიდან, როგორც მუსლიმი გლეხი, იხდიდა შემოსავლის მეათედს „უშრს" (დ. ავჯიოღლუ, I წიგნი, გვ. 141), რაც თავისთავად იწვევდა განვითარებული ფეოდალური მეურნეობის აღმოფხვრას, ე. ი. ჩვენი ქალაქებისა და სოფლების დანგრევას და ბაღ-ვენახების გაჩეხვას (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 220-221).

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ (1405 წ.) სწრაფად დაიშალა ძალით შეკოწიწებული იმპერია. სამაგიეროდ ამ იმპერიის ნანგრევებზე, საქართველოს მეზობლად, ზედიზედ აღმოცენდა მომთაბარე თურქთა ორი ყაჩაღურ-ბარბაროსული ქვეყანა: შავბატკნიან და თეთრბატკანიან (ყარაყოიუნლუსა და აღყოიუნლუს) თურქ-მომთაბარეთა სახელმწიფო (რადგან თურქ-მომთაბარეები არაბულად ლოცვებს ვერ იზეპირებდნენ და არც მაინც და მაინც დიდ სურვილს ამჟღავნებდნენ ამისათვის. როგორც სავარაუდოა, სასულიერო წრეები მდგომარეობის გასაადვილებლად, ხალხს სთხოვდნენ მხოლოდ პირით ყიბლასაკენ (მექა და მედინისაკენ) დადგომას, თავის დედა-ენაზე მრავალჯერ შემდეგი სიტყვებით ლოცვის შესრულებას: „აღ ყოიუნ, ყარა ყოიუნ, ბაშიმი იერე ყოიუმ", რაც, ქართულად ნიშნავს: „თეთრი ბატკანი, შავი ბატკანი, ჩემი თავი მიწაზე დავდე, მიწას შევახე". აღსანიშნავია, რომ ეს გამოთქმა საინგილოს თურქულენოვან ქართველებში და მუღალებში, როგორც მომთაბარე ეპოქის შორეული გამოძახილი, დღესაც ცოცხლობს!). თემურ ლენგის მეთაურობით, შუა აზიაში, ამავე საუკუნის 60-70-იან წლებში დაამკვიდრეს თავიანთი ვრცელი იმპერია. ეს სახელმწიფო აღმოცენდა ილხანთა (მონღოლურ-თურქული) სახელმწიფოს მრავალ პოლიტიკურ ერთეულებად დაშლის შედეგად. ირანში გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისით, ფეოდალური არეულობითა და შუა აზიაში ჩინგიზ-ხანის მემკვიდრეთა დასუსტებისა და მათთან ბრძოლის პირობებში პოლიტიკურ ასპარეზზე ამოტივტივდა თემურ-ლენგი, რომელმაც მავერანნაჰრში თავისი პოზიციების განმტკიცებისთანავე ირანის ვრცელი პროვინციების დაპყრობას მიჰყო ხელი.

იგი მალე მოადგა ამიერკავკასიას და მრავალჯერ შეესია საქართველოს. მისი გამანადგურებელი შემოსევების მატერიალური და მორალური ზარალი განუზომლად დიდი იყო ქართველი ხალხისათვის. თემურლენგი იყო ის პირველი მტაცებელი, რომელმაც ძარცვა-გლეჯისა და ხოცვა-ჟლეტის გარდა ჩვენს ხალხს თავისი კუთვნილი მიწა-წყალიც წაართვა — განჯა-



შაჰს მხრიდან. მან საქართველოს საბოლოოდ ჩამოაცილა: სომხეთი, შაქს ქვეყანა და საქართველოს ისეთი კუთხეც კი, როგორიც იყო ლორე, „სადაც ადგილობრივი მიწისმფლობელთა კლასი უმთავრესად მომთაბარეთა არისტოკრატიამ შეცვალა... ქართველი აზნაურობა იძულებული იყო მიწისმფლობელობა თურქმანებისათვის დაეთმო და მამაპაპისეულს გასცლოდა". (ნ. ბერძენიშვილი, სის VI, გვ. 135). ამასთან ერთად, სწორედ თემურ-ლენგის მიერ ისლამის დროშით მოწყობილი გამანადგურებელ ლაშქრობათა შედეგად მაჰმადიანდებიან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შაქი-შირვანისა და რანის უკანასკნელი ქრისტიანი ფეოდალებიც (ი. პეტრუშევსკი, Азербаиджан в XV веке, ССН, стр. 186-187) და დასავლეთ დაღესტანთან ერთად კახეთ-ჰერეთის სამხრეთ კავკასიონის ქართული მოსახლეობა.

თემურ-ლენგი, რომელიც ქართველთა და არამუსლიმ კავკასიელთა დაუზოგავი მტერი იყო, დაპყრობილ ქვეყანაში „მაჰმადიანური" პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო. იგი ადგილობრივი მაღალ-ფეოდალური კულტურის მოშლისათვის და მის ადგილზე აღმოსავლურ-ბარბაროსული-ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისათვის იბრძოდა. (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი" № 6, 1954. გვ. 126-127).



1410 წლიდან ჩამოყალიბდა ყარა-ყოინლუს ანუ შავბატკნიან თურქმანთა შიიტური სახელმწიფო ბაჰარლუს ტომის ბელადის ყარა იუსუფაის მეთაურობით. იგი ბატონობდა აზერბაიჯანში (თავრიზის მხარე), ყარაბაღში, სომხეთში, ქურთისტანში და ერაყში. მათ არდებილის სულთანთან ერთად რამოდენიმეჯერ დალაშქრეს საქართველო. 1440 წ. თბილისიც აიღეს და ხალხს ხარაჯა შეაწერეს. ცოტა მოგვიანებით შავბატკნიანების გვერდით, ბაინდურის ტომის თაოსნობით, აღმოცენდა მომთაბარე თურქმან თეთრბატკნიანთა ანუ ალ-ყოინლუს სუნიტური სახელმწიფო. ესენი ერთმანეთისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი. თეთრბატკნიანები განსაკუთრებით გაძლიერდნენ უზუნ-ჰასანის (1453-1478 წწ.) დროს. მან შავბატკნიანებს სომხეთი, ქურთისტანი, სივასი და ერზინჯანი წაართვა. მას მთავარ საძარცვავ ობიექტად საქართველო მიაჩნდა, რომელიც ამ დროისათვის თურქთა საუკუნოვანი დარტყმების შედეგად უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო.

თურქეთის სულთანი მეჰმედ II, რომელიც ბალკანეთში და ტრაპიზონის საკეისროში დაპყრობით ომებს ეწეოდა, 1473 წ. მდ. ტიგროსთან შეება უზუნ ჰასანს და იგი სასტიკად დაამარცხა. ამ მარცხის შემდეგ უზუნ ჰასანმა ისევ ალაფობას მიჰყო ხელი საქართველოში და მის მოსაზღვრე პროვინციებში. უზუნ ჰასანის მემკვიდრე იაყუბიც (1478-1490 წწ.) ძარცვის მიზნით ხშირად იჭრებოდა საქართველოში. მან ქვემო ქართლში, დებედას ხეობაში 1480 წ. ააშენა (გაამაგრა) ციხე, დაასახლა მის მიდამოებში მომთაბარე თურქმანები, ხოლო ციხეში ჩაყენებულ ხანებს დავალებული ჰქონდათ საქართველოზე კონტროლი. (ქართლის ცხოვრება, IV, 1973 წ., გვ. 385).

მაგრამ თეთრბატკანიანთა სახელმწიფოში გამწვავებულმა სოციალურ-ეთნიკურ-რელიგიურმა მოძრაობამ ფრიად დაასუსტა თეთრბატკანიანები. შიიზმის დროშით გაშლილმა რელიგიურმა მოძრაობამ, რომელსაც არდებილელი შეიხ-ფეოდალსეფევიდები ჩაუდგნენ სათავეში, შიიზმის დროშით დაამხო თეთრბატკნიანები, მათ აიღეს თეთრბატკნიანთა დედაქალაქი თავრიზი და 1502 წლიდან საფუძველი ჩაუყარეს სეფიანთა ყიზილბაშურ-შიიტური მტაცებლური სახელმწიფოს არსებობას. ამიერიდან შიიზმი ირანის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამით აღმოსავლეთის მხრიდან სუნიტურ ოსმალო-თურქებს ძლიერი მეტოქე გაუჩნდა არა მარტო კავკასიაზე და საქართველოზე კონტროლის მხრივ, არამედ ქურთისტანში, ერაყში და აღმოსავლეთ ანატოლიაში ბატონობის მხრივაც. ამ ორ მტაცებელს შორის ომი გარდუვალი გახდა. (1518 წ. ჩალდირანის ველზე (თავრიზის გზაზე) მოხდა ომი თურქეთის სულთან სელიმ I-სა და ყიზილბაშური ირანის შაჰ-ისმაილ I-ის ჯარებს შორის, სადაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სულ-

გაგრძელება მერვე გვერდზე

# ერთად ვუშველოთ ქვეყანას! ანუ რაღას ველოდოთ?! SOS! „მეფე შიშველია"!

*მესამე გვერდიდან*

გარკვეული მარიონეტული სულისკვეთების, მთლიანობაში არასრულყოფილი სახელმწიფოებრიობის დამამკვიდრებელი ცალკეული საკონსტიტუციო მუხლები, რომლებიც თითქოსდა უკანდასახევი მიწისქვეშა პლაცდარმებიაო ნაცნობი ძველი მონსტრის კონფედერაციული საბურველით სავარაუდო აღორძინებისაკენ... (სხვათა შორის არასრულფასოვნების სინდრომი, ერის სახელით ყოვლად გაუმართლებელი თვითგვემის მოდით გატაცება, გაბატონებული პოზიციაა ჩვენს დღევანდელ უმაღლეს ეშელონებში და იგი ხშირად ზღვარდაუდებელ სულმდაბალ კეკლუცობაში თუ დაუფარავ გულისამრევ კაპიტულანტურ რეციდივებში გადადის. ერის სახელით საუბრის, მითუმეტეს თვითგვემის უფლებას თავს ადრე ისეთი ბუმბერაზები თუ აძლევდნენ, როგორებიც ჩვენში ილია, რუსეთში ბერდიაევი იყვნენ და დღეს კი რა ხდება, ვინღა არ უბნობს ერის სახელით?!).

სასწრაფოდ შესატანია დღევანდელობიდან გამომდინარე ცალკეული აუცილებელი კონსტიტუციური შესწორებანი აღმასრულებელი ხელისუფლების ხაზითაც და სხვ. დღეს უმეტესად არავინ არაფერზე აგებს პასუხს. ეს უნიკალური მოვლენაა. ამასთანავე, არაერთ პიროვნებაზე აგებული მყარი კონსტიტუციური სახელმწიფოებრივი სამთავრობო სტაბილობის გარანტიები ძირშივე გამორიცხავს ამ გახშირებული ყოველგვარი ტერაქტების მცდელობებსაც, როგორც უპერსპექტივოს.

შეგნებულად უხერხემლო სახელმწიფო საკადრო პოლიტიკასთან ერთად (ასე „დახელოვნებული ცრუ ყოჩებით") ჩვენში ხშირად უჩივიან აბსურდულ სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას თავისი „თვითმყოფადი" ანტისახელმწიფოებრივი საგადასახადო, საბაჟო ბერკეტებით და გაუთავებელი ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისით, რაც დღეს თუ ხვალ აუცილებლად ააფეთქებს ქვეყანას. ეს მხოლოდ ლოგიკური შედეგია ასეთი პოლიტიკისა. ე. ი. არ გაგვაჩნია ქვეყნის მოწყობის საკუთარი მყარი ეკონომიკური მოდელი (მიზანმიმართულად ვჯახირობთ გარედან თავსმოხვეულისა და სასურველის რაღაც სუროგატულ ნაზავში და გარდუვალად ვიძირებით), რაც საეჭვოს ხდის, თუ როგორ წარმოგვიდგენია ქვეყნის აღმშენებლობა, აქვს თუ არა მას რაიმე საერთო ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურულ-ეკონომიკურ ან სახელმწიფოებრივ ტრადიციებთან და როგორები (როგორ) ვხვდებით აბრეშუმის ძველი გზის დღეს უკვე რეალობად ქცეულ აღორძინებას? ისევ სხვისი კარნახით უსინდისო თამაში უფსკრულის ზღვარზე!..

ჩვენი ქვეყანა ხომ მის რეგიონალური, ძალზე ფაქიზად რეაგირებული კომპონენტებით ერთიან ინტეგრირებულ ზარჭურჭლად უნდა წარმოვიდგინოთ. პოლიტიკური მოწყობის კონსტიტუციურ ვაკუუმზე უკვე ითქვა. აქვე ისმის კითხვა: რას ვთავაზობთ რეგიონებს ეკონომიკურად? ხომ არ არის ეს ყოველივე მცოცავი გრაფიკით მოსახლეობის თანმიმდევრული და სრული დაბეჩავების, გაძარცვისა და თვითგენოციდის კურსი! დავუმატოთ ამას ჩვენში კატასტროფულად მწვავე ეკოლოგიური პრობლემები და სხვა.




ეს ის საკითხებია, რომელთაც ზოგი რეგიონი დღეს შეეჩვა მწვავედ და უკვე რეაგირებს, ზოგიც „თავის დროს" ელოდება...

ხელისუფლება უსასრულოდ თავს იმართლებს, ასახელებს სიძნელეებს... ახსნა ყველაფრის შეიძლება, გამართლება — არა!

...და თუ ისევ აჭარას მივუბრუნდებით — აჭარა ხომ უკანასკნელი იმედიანი გამოსახედიცაა ჩვენს დღევანდელ საზღვრებს გარეთ დარჩენილ მილიონობით ჩვენებურისათვის (სხვათა შორის, თავის ავტონომიითაც), ეს უნდა გვახსოვდეს!

ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობის საკითხები (წამოჭრილი პრობლემები) საკანონმდებლო თუ სხვა ინიციატივათა გზით ქვეყნის უმაღლეს ინსტანციაში და პრეზიდენტის გარემოცვაშია გადასაწყვეტ-გადასახედი. გარემოცვას იმიტომ ვახსენებთ ხაზგასმით, რომ პრაქტიკულად ჩვენი სინამდვილისათვის გადამწყვეტია პიროვნული ფაქტორები ამ გარემოცვაში...




პოლიტიკა ერთნაირად ვერ ითმენს თანადგომა-მხარდაჭერისა თუ ნებისმიერი დაპირისპირების (თუნდაც უმნიშვნელოსი) იგნორირებას, უყურადღებობას, უპატივცემულობას. ეგ არა მარტო აღიზიანებს პარტნიორსა თუ ოპონენტს და ძაბავს ურთიერთობას, საფუძველს საერთოდ აცლის ნდობის ფაქტორს შემდგომი თანამშრომლობისათვის. ლაპარაკია ქვეყნის შიგნით ურთიერთობებზე. აქ ალბათ ცენტრიდან პირდაპირი და ადექვატური კოლეგიალური კონკრეტული რეაგირებაა უპრიანი და არა რაღაც იწილო-ბიწილო პრე-



სისა და სხვა საინფორმაციო საშუალებათა ენაკვიმატ მოჯირითეთათვის. ამით შესანიშნავად სარგებლობენ ქვეყნის არაკეთილმოსურნენი. ეს, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, ქვეყნის ბედ-ილბლით თამაში გამოდის. თუ იმასაც გავისიგრძეგანებთ, რომ ასეთ ჟურნალისტურ ურთიერთდისკრედიტაციაში ჭარბად გაეცნობით მთელ რიგ ზესაიდუმლო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მასალებს თუ „კონფიდენციალურ" ინფორმაციებს, არა გვგონია ეს ყოველთვის „შემთხვევით" ხდებოდეს. მტერი გვაბითურებს ჩვენივე „დიდი ერისკაცების" სულმდაბალი ხელშეწყობითა და უსინდისო თანადგომით...

ვფიქრობთ, ყოველმხრივ (მოქალაქეობრივი თუ საერისკაცო პოზიციებიდან), გასაგებია დღემდე შენარჩუნებული ის გულისტკივილი, რასაც აჭარის ლიდერი, ბ-ნი ასლან აბაშიძე ხშირად იხსენებს მაშინდელ ამბებთან დაკავშირებით, როცა უარყვეს მისი წინადადება გუდაუთის რეჟიმის წარმომადგენელ პირველ პირთა და ცენტრს შორის აჭარაში შეხვედრა-მოლაპარაკების მოწყობის თაობაზე. მას დღესაც სწამს, რომ დაიკარგა შანსი და შეხვედრა აუცილებლად ქვეყნისათვის სასიკეთოდ შედეგიანი იქნებოდა. ძნელია არ დაეთანხმო მას, რომ ბობოყვათში შესაძლო შეხვედრები შესაძლო შედეგებით ბევრად მისაღები უნდა ყოფილიყო, ვინემ ის დამამცირებელი და უსაგნო ე. წ. მოლაპარაკებანი მოსკოვსა, სოჭსა, ჟენევასა თუ გაეროში (მათ შორის ე. წ. „უმაღლეს დონეზე" და თუნდაც საქართველოს ე. წ. „მეგობარი ქვეყნების" მონაწილეობით. თუმცა გაუგებარია, რატომ ვანიჭებთ მათ აპრიორი ამ წოდებას სწორედ საქართველოსთან მიმართებაში. ე. ი. „იმათი" რაღაა? ამით ხომ თავიდანვე საეჭვოდ წარვუდგენთ მათ ჩვენს ოპონენტებს თუ დაპრიისპირებულ დაინტერესებულ მხარეებს. თუ ფაქტობრივი შედეგებით გავიაზრებთ, ეს უკვე ჩვენთვისაც საეჭვო მოვლენად იქცა, იგივე „ეუთოს" რიგში ვიოაჟისა არ იყოს!). ვთვლით, რომ ბობოყვათის შემთხვევაში პრეზიდენტის მაშინდელი ოფიციალური გარემოცვაა ბრალში და ეს „შეცდომა" სერიოზული დანაშაულია ქვეყნის წინაშე. ნურავინ გააუბრალოებს ბობოყვათის ამ არშემდგარი შეხვედრის როლს. აქ მოხდებოდა აჭარის მაშინაც უკვე მზარდი, მნიშვნელოვანი ფაქტორის და მისი ლიდერის ნების დემონსტრირება-რეალიზება ერთიანი საქართველოს აღორძინების გზაზე. ამბობენ, რომ იმ „ოფიციალური გარემოცვის" წარმომადგენლებს არც პრობლემის გადაწყვეტა, არც ასლანის ასეთი „გაქაჩვა-წარმოჩინება" აწყობდათო. ამაშია ჩვენი უბედურება, თანაც რომ არ შეგვიძლია კონკრეტულად ვაგებინოთ ვინმეს პასუხი!

ეს შეიძლება დაკარგული შანსიც იყოს, მაგრამ არა კერძოდ ასლან აბაშიძის შანსი, არამედ ქვეყნის შანსი, იგივე ქვეყნის პრეზიდენტის შანსი და ეჭვიც არ გვეპარება, რომ ბ-ნი პრეზიდენტი დღეისათვის რომ დროულად თვლიდეს, სწორედ ასე შეაფასებდა ჩვენს მიერ მოყვანილ შემთხვევას. მოვა ამის დროც... თუ ამის გამართლებაც შეიძლება.

არა გვგონია ზემოთნათქვამით (მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება) ვინმემ ასლან აბაშიძის აპოლოგიაში შეძლოს დაგვდოს ბრალი, მეტსაც ვიტყვით, თუნდაც რაიმე უმართებულო ნაბიჯი, ქმედება ან შეცდომა თუ გადაცდომა რომ ჰქონოდა ბ-ნ ასლანს, (რისგანაც ჯერაც არცერთი მოკვდავი არ ყოფილა დაზღვეული), ყველა იმ პოზიტიურით, რასაც მიაღწია, მაინც გადაჭრით მოვითხოვდით საქვეყნო საქმისათვის მისი ენერგიული, გაბედული ინიციატივების დღესვე ამო-

გაგრძელება მეცხრე გვერდზე

თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს «საქართველო» – მერაბ კოსტავას საზოგადოება»!
ბლოკში გაერთიანებულნი არიან:
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი

# რას ვაშენებთ — ისევ ბაბილონის გოდოლს, თუ ეროვნულ სახელმწიფოებს?

მეექვსე გვერდიდან

და სტაბილიზაციას ვინარჩუნებთ. მეტი აბა, რაღა უნდა ვქნათ ან ჩვენ, ან იმათ?

არ შევეგუებით და კარგ ჩიტსაც დავიჭერთო — ამას უკვე ჩვენ თვითონვე ვფიქრობთ ასე. აღარ არის საშველი, ესე იგი.

გამარჯვებულნი არ განისჯებიანო, ამბობენ და, ცხადია ასე იქნება ეს ამ შემთხვევაშიც, დამარცხებულებს, ანუ ხელმოცარულებს კი თავიანთ უკანასკნელ თავშესაფარში უქმნიან დისკომფორტს — სირცხვილია პატრიოტობაო.

თავიდან, გახსოვთ, ალბათ, ჩვენი ეროვნული ხელისუფლების ლიდერები გვაიმედებდნენ — იმას მოვესწარით, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, ანი ძალით ვერავინ ვერაფერს გახდება, ჭკუით კი აბა, სად ჩვენ და სად ისინი, რუსებს როგორ მოვატყუებინებთ თავსო. მიამიტობა იყო, ცხადია, ეს და მოვტყუვდით მწარედ. მერე ის იყო — ამათზე ნაკლები ქართველების დედაო — ვინც ამას ამბობდა, იმ ადამიანებმა შევარდნაძე ჩამოიყვანეს — პელეა, ხალხო, პელე, გაიგეთ, ამისი არ გამოყენება როგორ შეიძლებაო. ვინ ვინ გამოიყენა, საიდან სად ჩამოიყვანა და საიდან სად წაიყვანა, დავინახეთ ყველამ. ვხედავთ იმასაც, რომ შევარდნაძე მართლა პელეა პოლიტიკაში, მაგრამ ვერც ამ ჭკუით ვატყუებთ ვერავის და იმიტომ არის, სასოწარკვეთილნი ხანდახან უკადრებელსაც რომ ვაკადრებთ ხოლმე ჩვენს მართლა ძალიან ბევრის შემძლე პრეზიდენტს.

პოლიტიკა, სამწუხაროდ, ისეთი რამ არის, რომ სიმართლეს ბოლომდე ვერასოდეს ვერ იტყვი კაცი. ბოლომდე თუ ვერ იტყვი, ესე იგი ნახევარს ამბობ, ნახევარი სიმართლე კი, უკეთეს შემთხვევაში, ნახევარი ტყუილია. აი, ამ ნახევარ-ნახევარი სათავისო სიმართლეებით ცდილობენ პატიოსანი პოლიტიკოსები ეშმაკის მოტყუებას. ეშმაკი, ცხადია, არა ტყუვდება და ამ „კეთილი სურვილებით ჯოჯოხეთის გზები იკირწყლება" მიწყივ.

ეშმაკის მოტყუება იმიტომ არის შეუძლებელი, რომ ეშმაკობა სხვა არა არის რა, თუ არა ტყუილი. ტყუილს თუ ამბობ, ეშმაკი ხარ უკვე, ან, უკეთეს შემთხვევაში, ეშმაკის კერძი, რადგან იმის საქმეს აკეთებ. სხვა მეტი არც არაფერი უნდა შენგან ეშმაკს, დანარჩენი ყველაფერი თვითონ იცის.

ქრისტიანული მრწამსით, მაგალითად, ბოროტი საერთოდ არ არსებობს ამ ქვეყანაზე და ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთისაგან მოკლება, მაგრამ აბა, ვის დააჯერებ დღეს ამას? არადა, სულ იოლი ასახსნელია ეს ქარაგმა — ის, რაც საერთოდ არ არსებობს, რა თქმა უნდა, ტყუილია, მაგრამ ტყუილი არსებობს, სამწუხაროდ, თავისთავად და იგი ყოველთვის ნაკლულევანი სიმართლის შესამოსელია, ანუ ტყუილია, რომ ბოროტი ადამიანი არსებობს საერთოდ ამ ქვეყანაზე, ყველა ადამიანი ღმრთისაგან კეთილია, მაგრამ ტყუილი არის ბოროტება და აი, ეს ტყუილი, ვითარცა ნაკლულევანი სიმართლის შესამოსელი, არის სწორედ „სიკეთისაგან მოკლება."

ქართველებს არცა გვაქვს სხვა სიტყვა, მაგალითად, რუსული „ხიტროსტის" შესატყვისი, გარდა ეშმაკობისა.

დასავლეთში ინტელექტუალები საერთოდ არ ერევიან პოლიტიკაშიო — სამაგალითოდ გვისახავენ ამას დღეს ჩვენ პოლიტიკაში გარეულები. რატომ არ ერევიან? არ ერევიან, თუ არა რევენ? რა მოიგო მერე ამით დასავლეთმა? პოლიტიკოსი ინტელექტუალი თუ არ არის, აბა, მაშ ვინ არის? ბევრ შემთხვევაში ვიცით, რა თქმა უნდა, ვინც არის, მაგრამ ის ბევრი შემთხვევა ხომ სწორედ იმის შედეგია, რომ ინტელექტუალები არ ერევიან პოლიტიკაში და პოლიტიკოსისათვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, რომ ინტელექტუალი იყოს? ასე ხომ საბჭოთა დირექტორებმა იცოდნენ ლაპარაკი, ახლაც ყურში მესმის ზოგიერთის ხმა — გენიოსები მე არა მჭირდება, აქ მე ვარ გენიოსი, თქვენ თქვენი საქმე უნდა აკეთოთო. დირექტორები რომ იყვნენ ყოველთვის გენიოსები და ჩვენ რომ ჩვენ საქმეებს ვაკეთებდით, იმიტომ იყო კარგად ჩვენი საქმე.

უჩარობის ჩარააო — არსებითად აი, ამას ამბობდა დემოკრატიის გამო, თუ არ ვცდები, ჩერჩილი — დემოკრატია კარგია იმდენად, რადენადაც უკეთესი ჯერ არაფერი მოუგონია კაცობრიობასო. ეშმაკობაა, ესე იგი, ესეც და „სიკეთისაგან მოკლება" — ამისი თქმა მინდა. რას იზამ, ასეა მოწყობილი ეს ცხოვრებაო — ამას ერთი კაცი რომ იტყვის და შეეგუება, ეს იმ ერთი კაცის სიკეთისაგან მოკლებაა და ამით, ცხადია ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ საით მიდის ეს გზა, როგორც გზა, რომელი ტაძრისაკენ?

მოგონებით, კაცობრიობას რაღა არ მოუგონია იმისათვის, რომ „აკრძალული ხილის" ჭამა გაემართლებინა და ამ „აკრძალული ხილის" მომხმარებელთა უფლებების დაცვა უზრუნველეყო საიმედოდ ყველა დროში ცივილიზაციის განვითარების დონის კვალობაზე. არც დემოკრატიაა, მოგეხსენებათ, მთლად ახალი გამონაგონი. ცივილიზაცია კულტურის დროშით დააბიჯებს ყოველთვის, კულტურის ანექსიას ახდენს და ეს ამბავი დღესდღეობით იმდენად საყოველთაოა უკვე, რომ ველარც ვარჩევთ ერთს მეორისაგან. ერთი და იგივე გვგონია ეს.

ქართულშიც და ქართველურშიც არის ამისი კვალი, მაგრამ ბევრმა ენამ დღემდე შემოინახა ორი სიტყვა, ამ ნაცვალსახელის — „ჩვენ" — აღსანიშნავად. ერთი „ჩვენ" გულისხმობს „ჩვენს" უთქვენოდ, მეორე კი — უკვე თქვენთან ერთად. ენათმეცნიერები ამას „ექსკლუზივსა" და „ინკლუზივს" ეძახიან. სამი კაცი თუ ვდგავართ, მაგალითად სადმე, ერთ შემთხვევაში მარტო ორნი ვიქნებით „ჩვენ" და მესამეს არ ვიგულისხმებთ, მეორე შემთხვევაში კი უკვე სამივე ერთად ვიქნებით „ჩვენ". ჩვენა ვართ ყველა — მე და შენ, ჩვენი ოჯახი, ჩვენი დედმამიშვილები, ჩვენი სანათესაო, ჩვენი სამეზობლო, ჩვენი სამეგობრო, ჩვენი სოფელი, ჩვენი ქალაქი, ჩვენი კუთხე, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი კავკასია (მაგალითად — ჩვენს შემთხვევაში), ჩვენი ევროპა, ჩვენი აზია, ჩვენი ევრაზია (ისევ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს შემთხვევაში და რუსების შემთხვევაშიც, აგრეთვე უწინარეს ყოვლისა. საქართველო-რუსეთისა და, უფრო ზოგადად, კავკასია-რუსეთის მოკავშირეობის მისტიკური საფუძველი, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ამ სიბრტყეზეა სავარაუდებელი. მხოლოდ ამ სიბრტყეზეა შესაძლებელი და აუცილებელიც ჩვენი მოკავშირეობა მომავალშიც), და ბოლოს ჩვენი დედამიწა და ჩვენი კაცობრიობა.

აი, ამ განსხვავების უგულვებელყოფა, რაც ამ ორ „ჩვენს" შორის არსებობს უკლებლივ ყველა საფეხურზე, პირდაპირი გზაა სოდომისა და გომორისაკენ.

იქნება ყველას არ გახსოვთ, ან არ მიგიქცევიათ ყურადღება, მაგრამ ბიბლიის მიხედვით ღმერთიც სწორედ „ჩვენ" არის და არა „მე". „ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისაო", „და აჰა ადამ, იქცა ვითარცა ერთი ჩვენგანიო" — ამას ღმერთი ამბობს. აი, ეს ღვთაებრივი „ჩვენობა" ირღვევა სწორედ მაშინ, როდესაც ადამი და ევა „აკრძალული ხილს" იგემებენ და ერთიმეორისა შერცხვებათ, ანუ თავიანთ სხვადასხვაობასა და, ესე იგი, მეობას გაიცნობიერებენ. აი, ამის მერე ხდება ადამი „ერთი ჩვენგანი". ეს არის პირველი აქტი თავისუფლებისა და იგი, უწინარეს ყოვლისა, ღმრთისაგან თავისი უფლების დაცვას გულისხმობს. აი, იმ „აკრძალულ ხილს" როცა შესჭამთ, თვალები აგეხილებათ და იქმნებით, „ვითარცა ღმერთნიო" — ამ სიტყვებით აცთუნებს გველი დედაკაცს და სულაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ სწორედ აქ და სწორედ გველის პირით წარმოითქმება პირველად ღმერთის სახელი მრავლობით რიცხვში. ღმერთი, რა თქმა უნდა, „ჩვენ" არის, მაგრამ იგი ერთია და ერთადერთი, ანუ ყოველი „ჩვენ" მაშინ არის „ხატი ღმრთისა" და „სრულ", ვითარცა ღმერთი, როდესაც ის ღმერთივით ერთია და განუყოფელი. უკეთუ გაყოფილია და თავად არის „ვითარცა ღმერთნი", იგი „ერთი ჩვენთაგანია" და ღმრთისაგან „თავის უფალი". ასე უნდა ვიგულისხმოთ ალბათ, რომ დღესაც ყველას, ვინც ამბობს — ღმერთი ჩემშიაო — აი, ის, გველის დანაპირები „ვითარცა ღმერთობა" სწადია და უარს ამბობს მის ხატად ყოფნაზე.

ძალაუფლება ყოველგვარ ხიბლს კარგავს მისი ბოროტად გამოყენების გარეშეო — ამბობდა პოლ ვალერი. გულზე ხელი დავიდოთ ყველამ — ბევრი გვეგულება ჩვენს გარეირგვლივში „თავის უფალი" „ერთი ჩვენგანი" ამ ხიბლის ტყვეობაში რომ არ იყოს?

ღმერთი ყოველთვის ჩვენშია და არა ჩემში, რადგან „ღმერთი არს სიყვარული" და არა „თავის უფლება". აკრძალული ხილი იმიტომ არის აკრძალული, რომ მისი ჭამა დანაშაულია და მჭამელი დამნაშავე. იქ, სადაც ყველა „ერთი ჩვენგანი" თავისი უფლებების დაცვას ლამობს, უმოწყალოდ ითელება ფეხქვეშ უფლება უკლებლივ ყველა საფეხურის ჩვენობისა.

**მამუკა ცეცხლაძე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# თურქ-სელჩუკ-ოღუზები და საქართველო

## (ისტორია და შედეგები)

მეშვიდე გვერდიდან

თან სელიმ I-მა და შაჰის ჰარამხანაც მის დედიანად ხელში ჩაუვარდა თურქებს).

ამიერიდან საქართველოს აღმოსავლეთის მხრიდან „გაუმეზობლდა" სეფიანთა ყიზილბაშური, თურქულ-ირანული სახელმწიფო, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან კი ოსმალო-თურქები. XVI ს-ის შუა ხანებში სეფიანთა შაჰებმა თავის პროვინციებად გაიხადეს შირვანი და შაქი. (**История Азербанджана. т. I, стр. 234**). ამასთან ამ ოლქებში ყიზილბაშ მომთაბარეთა ჩამოსახლებასაც მიჰყვეს ხელი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სელჩუკთა მოზღვავებიდან XV ს-ის ბოლომდე — 400 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, საქართველოს მეზობლად იქმნებოდა სხვადასხვა სახელწოდებების მოუსვენარი თურქული პოლიტიკური ერთეულები. ყველა ესენი ბარბაროსულ მტაცებლურ კონგლომერატებს წარმოადგენდნენ. რომელიმე თურქული გაერთიანება როცა დაიშლებოდა, ამით საქართველოს არ ეხსნებოდა თურქული საშიშროება, ვინაიდან თურქთა ერთი სახელმწიფოს მაგივრად, წარმოიშობოდა სხვა რამდენიმე ძლიერი თურქული გაერთიანება, რომელიც ისევ განაგრძობდა თავისი წინამორბედის აგრესიას ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ; რადგან ყოველი თურქული სახელმწიფო იყო ნამდვილად სამხედრო სახელმწიფო, რომელსაც დაპყრობილ ქვეყნებში მოწინავე ტექნიკა და კულტურა კი არ მიქონდა, არამედ თვით დაპყრობითი ომებითა და ძარცვით არსებობდა.

თურქულ-მომთაბარულ ყიზილბაშური ელემენტი ჰერეთს, კახეთსა და ქვემო ქართლს თუ აღმოსავლეთის მხრიდან გამუდმებით ჯიჯგნიდა, თურქ-ოსმალები მე-15 ს-ის 60-იანი წლებიდან (ტრაპიზონის სამეფოს დაცემის შემდეგ), გამუდმებით აოხრებდნენ როგორც სამცხე-საათაბაგოს, ასევე ქართლისა და იმერეთის სამეფოსაც. თურქ-ოსმალებიც საქართველოს აცლიდნენ თავის ისტორიულ მიწა-წყალს და მასზე ასახლებდნენ თურქულენოვან მოსახლეობას, რათა ქართველი მოსახლეობა სწრაფად გამუსლიმებულ-გათათრებულიყო. ასეთი ვითარება შეიქმნა სამცხე-საათაბაგოში და ქვ. ქართლში XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე (მაგალითისათვის: 1578 წ. ირანელ ყიზილბაშებსა და თურქ-ოსმალებს შორის გაჩაღებულ ომში, სადაც მესხი ქართველებიც თურქების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ყიზილბაშები და ქართველები დამარცხდნენ. ათასობით ყიზილბაშ ტყვეებს თურქებმა, როგორც შიას მიმდევარ



მუსლიმებს, შეღავათი მისცეს — თავები დააყრევინეს, ხოლო ასობით ტყვე ქართველები, როგორც ქრისტიანები, კოცონზე ცოცხლად დაწვეს! აქედან იწყება და მთელ საუკუნეებში გრძელდება სამცხე-საათაბაგოელ ქართველთა კიდევ უფრო ბარბაროსული, სისხლიანი მეთოდებით გამაჰმადიანება.


თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს «საქართველო» – მერაბ კოსტავას საზოგადოება»!

14

ბლოკში გაერთიანებულნი არიან:

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი


მოკლედ, აღმოსავლეთის ანუ ირანელი მბრძანებლები დაწყებული თოღრულ ბეგიდან და დამთავრებული აღა-მაჰმად-ხანით (XVIII ს-ის ბოლომდე) დღენიადაგ ზრუნავდნენ ქართველი ერის მოსპობა-გადაშენებისათვის და ქართული მიწაწყლის (როგორც ეს ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში ჩრდილო ირანს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, სომხეთს, ერაყს, მცირე აზიას გაუკეთეს) თურქმან-მომთაბარეთა ჯოგების, ნახირებისა და ფარების საზაფხულო საძოვრებად და საზამთრო სადგომებად გადაქცევისათვის. მაგრამ სწორედ საქართველო იყო წინა აზიაში ის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც თურქ-მომთაბარეთა 700 წლიან მოწოლას, მართალია, დიდი მსხვერპლის ფასად, არა მარტო გაუძლო და გადარჩა, არამედ სახელმწიფოებრიობასთან ერთად ტერიტორიის დიდი ნაწილიც შეინარჩუნა. დღეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან აღმოსავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ანუ კავკასიონის მთების კალთებიდან შავი ზღვის სანაპირომდე 150-350 კმ. სიგანის ეროვნული ტერიტორია აქვს დაკარგული. შემდეგშიც უფრო კი, XVI-XVII საუკუნეებში როდესაც ირანში პოლიტიკური სტაბილობა სუფევდა, შაჰებს ახსენდებოდათ „ასათვისებელი" საქართველო და ყოველი საშუალებით ცდილობდნენ მის სახანოებად გადაქცევასა და მომთაბარე თურქმენთა ტომების ჩასახლებით, გათათრებას. ასეთი იყო შაჰ-აბასი, რომელმაც ყიზილბაშების წინააღმდეგ თავგამოდებით მებრძოლი საქართველოს მოსპობა-გადაშენებისათვის ბრძოლა გადაუდებელ საქმედ დასახა. ფრიად გაძლიერებულმა აბასმა 1602 წლიდან ოსმალეთთან განაახლა ომი და თან ქართლის სამეფოს ქვემო ქართლში წაართვა ლორეს მხარე და დებედას ხეობა, სადაც გადმოასახლა მომთაბარე თურქმანთა ტომები და ასე შექმნა (აღადგინა) ქართულ მიწაზე ირანის სახანოები. „აღადგინას" იმიტომ ვამბობთ, რომ, ჯერ კიდევ თემურ-ლენგმა საქართველოში რვაგზის გამანადგურებელ ლაშქრობათა შედეგად შაქის ქვეყანა წაილო — მომთაბარეებით გაავსო, ხოლო განჯიდან დასავლეთით ლორე-დებედამდე, ძალიან გაამეჩხერა ეს ვრცელი მხარე ქართველი მოსახლეობისაგან და აქაურობა მომთაბარე ფეოდალთა საძოვრებად და ყიშლაღებად აქცია. იაყუბ შაჰმა კი აქ საქართველოს წინააღმდეგ ციხე-სიმაგრე აღჯა ყალაც გაამაგრა. ბუნებრივია, ქართლის მეფეები, როგორც კი დროს იგდებდნენ ხელში, სწმენდნენ ქართულ მიწას. აღნიშნული ვრცელი მხარეების ქართლის სამეფოსაგან „ძლვნად მირთმევის" შემდეგ, შაჰმა კახეთ-ჰერეთის სამეფოს ჩამოართვა შაქიდან



დასავლეთით მონაპირე მხარე და მისთვის დაქვემდებარებული სასულთანო შექმნა! ჯერ კიდევ შაჰ-აბასამდე ნახევარი საუკუნით ადრე შაჰ-თამაზის ბრძანებით, ხურჩინლუს ყიზილბაშური ტომის ერთი ნაწილი ყარაბაღში, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოში ჩამოუსახლებიათ. (ნარკვევები მახლ. აღმ. ისტორიიდან. გვ. 327)... 1602 წ. ოსმალეთთან ომის განახლებით, შაჰ-აბასმა თურქებს კარგი დრო შეურჩია: ამ დროს ანატოლიაში ყარაიაზიჯისა და დელი ჰასანის მეთაურობით გრანდიოზული ანტიფეოდალური გლეხთა აჯანყება მიმდინარეობდა. ამიტომ ოსმალეთმა რაიმე დახმარება ვერ გაუწია ქართლისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებში ჩაყენებულ ციხიონებს და შაჰ-აბასს გაუადვილდა 1602-1607 წლებში თავრიზის, სომხეთის, შირვანისა და რანის მხარეების ოსმალო ციხიონების აღება. შაჰს დანებდნენ აგრეთვე ლორეს, დმანისის, ალჯაყალასა და თბილისის ოსმალთა ციხიონებიც. შაჰს ქართლ-კახეთის ვასალური დამოკიდებულება აღარ აკმაყოფილებდა, მას უნდოდა ქართლ-კახეთის სამეფოების და ქართველი მოსახლეობის მოსპობა, ტერიტორიის ირანის სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანება და მომთაბარე თურქმან-ყიზილბაშური ტომების ჩამოსახლება. 1614 წ. დამდეგს ცეცხლითა და მახვილით შაჰ-აბასი, თავისი გეგმის განხორციელებისათვის შემოესია აღმ. საქართველოს. 1614-1617 წლებში შაჰის მრავალგზის შემოსევებმა საშინლად გააპარტახა აღმოსავლეთი საქართველო, განსაკუთრებით განადგურდა კახეთი, რომელმაც გაჟლეტილთა, ირანში ტყვედ გარეკილთა და ლტოლვილთა სახით თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა. აჯანყებულმა ქართველებმა ერთ წელიწადს თავდადებით იბრძოლეს, მაგრამ მტრის სიმრავლემ სძლია ხალხის გმირობას. აჯანყებული ჰერები და კახელები დამარცხდნენ, მაგრამ შაჰ-აბასმა საბოლოოდ თავისი განზრახვა მაინც ვერ შეისრულა და აოხრებულ ქვეყანაში მან თურქმანთა ჩასახლება გადაწყვიტა.

**ვახტანგ ნადირაშვილი**

*გაგრძელება იქნება*

# სომხები საქართველოში
## (უძველესი დროიდან დღემდე)

მეექვსე გვერდიდან

...ბაზე გადაყავდა ისინი. სომეხ მელიქთა და მდიდარ ვაჭართა ლოლიავს ერეკლემ ქვემო ქართლი კინალამ გადააყოლა (იხ. შ. ლომ-



საძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე). „მეცნიერება", თბ., 1975, გვ. 344.).

ერეკლე II სარწმუნოების საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით არ ექცეოდა. ქართველი მართლმადიდებელი კათალიკობას თუ სომხურ გრიგორიანულ რჯულს მიიღებდა, მისთვის სულ ერთი იყო. სარწმუნოებისადმი ზერელე დამოკიდებულებას მოხერხებულად იყენებდნენ ტერტერები. მათ მხარს უმაგრებდა და აფინანსებდა ეჩმიაძინის სინოდი. იშვიათი როდი იყო, რომ ოსმალეთსა და სპარსეთში გატაცებულ ქართველ ტყვეებს ყიდულობდნენ, საქართველოში ჩამოჰყავდათ და სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე აქცევდნენ; სომეხი ქართველ ქალს რომ შეირთავდა, არა მარტო შვილი ინათლებოდა სომხად, არამედ ცოლიც სომხდებოდა. ქართველი კაცი სომეხ ქალს თუ შეირთავდა, იგი პირობას ჩამოართმევდა საქმროს, რომ ზოგი შვილი მის რჯულზე მოენათლა. ამასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი წერილში „ჩემი ალსარება", რომელიც 1911 წელს გაზეთ „თემის" მერვე ნომერში გამოქვეყნდა, საინტერესო ცნობას გვაწვდის: „ერეკლე მეორეს იმერელი, შამშე გამყრელიძე ახლდა, რომელიც ძალიან უყვარდა ვაჟკაცობისათვის. ერთხელ უბრძანა მეფემ: შამშე, მოწყენილი რათა ხარო!

— ქალი მიყვარს! — მიუგო დარცხვენით.

— მერე რატომ არ შეირთავ?

— ქალი არ შვრება!

— როგორ? რა დაგიწუნა, რომ არ უყვარხარ, თვალტანადობა თუ ვაჟკაცობა?

— არც ერთი, შენი ჭირიმე! მაგრამ სომხის ქალია და ჩემს რჯულს ერიდება.

— მეტი არაფერი? არა იცი, რომ ისინი ქრისტიანები არიან? თუ ის არ გადმოდის, შენ გადადი იმათ წესზე და დაიწერე ჯვარიო". მეფის ბრძანება ასრულდა და მათი ნაშიერები სომხებად დაეწერნენ.

ამავე დროს, როგორც ამას აკადემიკოსი პაატა ბუგუშვილი მიუთითებს, შესაძლოა ცარიზმის აგენტებისაგან ჩაგონებულმა მელიქებმა — ჯიმშიდმა და ფრიდონმა ქართლ-კახეთის მეფეს გვერდი აუქციეს და ყარაბაღელი მელიქების სახელით საიდუმლო არზა გააგზავნეს პეტერბურგში.

უმადური სომეხი მელიქები პავლე I-ს თხოვდნენ, დაესახლებინათ ისინი გუგარქში (გოგარენე). ისინი წერდნენ, რომ აქ მიწა, მართალია, მთაგორიანია, მაგრამ ბუნებრივი საბადოებით მდიდარიაო. შეიძლებოდა მოპოვებულიყო ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და სხვა. მოითხოვდნენ ამ ადგილებში თურქეთიდან სომხების ჩამოსახლებას34. დაბეჯითებით ითხოვდნენ, რომ რუსეთის იმპერატორს ისინი მიელო თავის ქვეშევრდომებად და დაესახლებინათ საქართველოში ან რუსეთში35. „უეჭველია, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, — ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელი განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდნენ, მადლობის მაგიერ კი — საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობასა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება ჰსურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს"36.

------

34. იხ. 637.

35. იხ. იქვე, გვ. 375.

36. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები... გვ. 38.

------

რუსეთმა ისინი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო. იმპერატორმა პავლე I-მა გეორგიევსკის ტრაქტატის ქართლ-კახეთის „მფარველობისა" და შინაგან საქმეებში „ჩაურევლობის" საფუძველზე გიორგი II-ს „თხოვა", სომეხი მელიქებისათვის გამოეყო მამულები ხელსაყრელ პირობებში37. „ამის წყალობით სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ წადილს მიაღწიეს: სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთ გაბატონების ურთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს"38.

-----

37. პლატონ იოსელიანი გიორგი II-ის შესახებ წერს: „მეფის-ძესა გიორგის არ უყვარდა სომეხნი, ვითარცა დამკარგველი ძველადვე მეფობისა, ვითარცა არღა მქონი და სხვა ენათა ზედა ცუდად მოუბარნი, ვითარცა გაბნეულნი ადრითვე მართლმადიდებლის ეკლესიისადმი, ერი ესე ახალ ისრაილად წოდებულ იქნა. ვაჭარი მსყიდავი, ცრუ, მტყუანი, უპირო და უპირო ერთგული მისი, ვისგანაც აქვს გამოსარჩენი და რომელი-



ცა მას შეიყიდის ანუ ფულითა, ანუ პატივითა, ანუ სხვითა საჩუქართა" (იხ. პლატონ იოსელიანი. „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება". , ტფ., 1895, გვ. 177).

38. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები... გვ. 39.)

-----

ცარიზმის დიპლომატია საკმაოდ შენიღბულად მოქმედებდა, მაგრამ ფაქტობრივად ქართლ-კახეთის მიწებს არიგებდა39. გიორგი II-ის კარზე რუსეთის ელჩის პ. კოვალენსკის მითითება ეძლევა, რომ სასურველია სომეხთა თემები „იმყოფებოდნენ საქართველოსაგან მხოლოდ ვასალურ დამოკიდებულებაში და მეფეს უხდიდნენ ხარკს და ეხმარებოდნენ ქვეყნის დაცვის საქმეში"40.

-----

39. საუკუნის „კომუნისტმა მელიქმა" საბჭოთა სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ 1990 წელს საქართველოს მაშინდელი მთავრობის გვერდის ავლით საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რიჟკოვისადმი გაგზავნილ წერილში მოითხოვა საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთისათვის საჭირო ობიექტების მშენებლობა. (გაზსადენი). ამ დროს სომხეთს ქართლის შუაგულში, მუხრანის ველზე ეკავა 157 ჰექტარი ფართობი. ამ ფართობზე მათ მოჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ლენინგრადისათვის, აშენებდნენ სალორეებს, დგამდნენ ფინურ სახლებს, ვაგონებს, სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებს და დაუნდობლად ანადგურებდნენ გარემო ბუნებას (იხ. ახალგაზრდა ივერიელი, 1990, 14 ივლისი; მამული, 1990, № 14, ივლისი).

40. АКАК. т. I, с. 195.

----

მელიქ აბოვმა პ. კოვალენსკის მფარველობის შედეგად „თავის ქვეშევრდომთა რიცხვს" (400 კომლი) კიდევ მიუმატა სომეხთა 300 ოჯახზე მეტი. ცარიზმის დიპლომატია ვარაუდობდა, რომ ამ სომხების გამოყენება შეიძლებოდა აქ პოლიტიკური გართულებების დროს. ამ უცხო ტომთა საქართველოში გამრავლების მიზნით პეტერბურგიდან პ. კოვალენსკის ავალებდნენ, საქართველოს მეფეს აგრძნობინოს ის, თუ რამდენად სასარგებლო იქნება „ქრისტიანული თემების დამკვიდრება საქართველოს ტერიტორიაზე მაჰმადიანთა საზღვრების გასამაგრებლად"41.

-----

41. АКАК. т. I, с. 195

----

რუსეთის „იდუმალმა ქვეშევრდომებმა" როცა თავიანთ სანატრელ მიზანს მიაღწიეს, ამით აღარ დაკმაყოფილდნენ. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ თანდათან ქართული მიწები გორამდე „ისტორიულად" სომხეთის ტერიტორიად მიიჩნიეს, საბჭოთა რუსეთის და გაყალბებული რუკების მასობრივი გადმოცემით იდეოლოგიური დივერსია გაშალეს.

**შოთა თეთვაძე,**
**ოთარ თეთვაძე**

გაგრძელება იქნება

# ერთად ვუშველოთ ქვეყანას! ანუ რაღას ველოდოთ?! SOS! „მეფე შიშველია"!

მეშვიდე გვერდიდან

ქმედება-გამოყენებას. იგი საქვეყნო მუხტით ჭარბად დამუხტული პოლიტიკოსია, ნათლად დაამტკიცა, რომ ხელეწიფება მართვის სადავეების მტკიცედ პყრობა, „დსთ"-სა თუ უფრო შორეული საზღვარგარეთის სივრცეშიც აქვს ძლიერი ნებისყოფის, გაწონასწორებული დიპლომატის, გამოცდილი ხელმძღვანელ-ორგანიზატორისა და, ასე ვთქვათ, სიტყვის კაცის იმიჯი. არა გვგონია, ამ რანგის პიროვნებათა სიჭარბე გვქონდეს დღეს საქართველოში. სწორედ რომ პირიქითაა. მომრავლდა „ბუგულის ბარტყები".

საერთოდ, ცრუყოჩობა საქართველოში პოლიტიკურ პროფესიად იქცა. ამ საუკუნეში ცრუ ყოჩების სია ჩვენში, საკუთარი გვარის რატომღაც იტალიური წარმომავლობით მოკეკლუცე, ნოე ჟორდანიამ გახსნა; სწორედ მან „მოამწიფა" თანმიმდევრულად ქვეყანა იმპერიისათვის ჩასაბარებლად; (არ არის გამორიცხული, რომ 1920 წლის მაისის ფარსი ხელშეკრულებაც ამ მუხანათური ფარული პირობით — ასე ვთქვათ, ზეპირი ჯენტლმენური შეთანხმებით იქნა გაფორმებული ლენინთან). ...და ბოლოს კი, იარაღით გამოტენილი არსენალის პატრონმა, ერის ამ თავკაცმა (იდეოლოგიური სოლიდარობის სიბეცით შეპყრობილმა) უთოფო ახალგაზრდობა (ბავშვები) და ინტელიგენცია შეაწყვიტა მტერს. ამავე დროს მან ისევ მოტყუებით, ნელნელა გაინაპირა და საერთოდ გაიპარა ქვეყნიდან. სხვათაშორის, საქართველოში ახლადდაბრუნებულმა ბ-მა ედუარდ შევარდნაძემ ერთხელაც, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, რომელიღაც მიტინგზე ზღვარგადასული ლანძღვით უკიდურესად თავგაბეზრებულმა, თავი ველარ შეიკავა და... „თუ ასეთი ვაჟკაცები იყვნენ, ფეხშიშველ ჯარისკაცებს (მე-11 არმიას გულისხმობდა) როგორ დაუთმეს 1921 წელს ქვეყანაო", რაღაც ამგვარი წყნარად წამოაყვედრა ოპონენტებს.

ვეთანხმებით ბ-ნ ედუარდს და ახლა ჩვენთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ისტორია აღარ განმეორდეს!

ნ. ჟორდანიას უახლოესმა „ტახტის მემკვიდრეებმა" სისხლის წვიმები დაადინეს ქვეყანას... ხოლო უფრო შორეულმა კოლეგა — ცრუ ყოჩებმა, თავისი მონური ფსიქოლოგიით, გაუგონარი მკრეხელობა ჩაიდინეს — საქართველოში ჩერნობილის მომაკვდინებელი შედეგები დაუმალეს თავის დროზე საკუთარ ხალხს, რაც ვინ იცის სად დაარტყამს ჩვენს მომავალს და საერთოდ, მთლიანად ქართულ გენს. დიახ, საკუთარ ხალხს მოუსპეს შესაძლო აუცილებელი პროფილაქტიკის შანსი და ისევ ე. წ. რესპუბლიკის უბადრუკი „პირველი სავარძლის" დაკარგვის შიშით.

ვიმეორებთ, აჭარის მზარდი ფაქტორისა და მისი გამოცდილი ლიდერის ამ საბედისწერო ჟამს ქვეყნის ინტერესებისათვის მაქსიმალური ეფექტურობით ამოქმედება-გამოყენება პირველ რიგში შეუძლია მხოლოდ თავად ქვეყნის პრეზიდენტს, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს... ეს მან დროზე უნდა გადაწყვიტოს, მას ყოველთვის ძალუძდა სერიოზული, არაორდინარული გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა!

თუ ქვეყნისათვის სასარგებლო იქნებოდა, ეშმაკთანაც მივუჯდებოდით მაგიდას, რაღაც ამის მსგავსი ბ-ნ ედუარდს აქვს უკვე ნათქ-



ვამი და ბატონი ასლანი ეშმაკ-სატანისაგან ხომ ძალზე შორსაა! მოსახლეობის ნაწილი კი კვლავ იმედით ცოცხლობს — ჩვენი პრეზიდენტი იპოვისო გამოსავალს. ვიფიქროთ, იქნებ სწორედ ეს ჩვენი წინადადება იყოს გამოსავალი. დავეხმაროთ პრეზიდენტს და ვუშველოთ ქვეყანას, რომლის ყოფნა-არყოფნის საკითხი ბეწვის ხიდზე ჰკიდია. ...თორემ მომავალი უჩვენოდაც გარდუვალად განსჯის — აუცილებლად და უმკაცრესად შედგება ე. წ. „სინდისის სახალხო ტრიბუნალი".

რაც შეეხება თავად ბ-ნი ასლანის რეაქციას ასეთ გადაწყვეტაზე, გვჯერა, რომ იგი ერისკაცობიდან გამომდინარე ადეკვატური იქნება, ოღონდ ნუ შევთავაზებთ მას ე. წ. „უწყლო აუზში" თავით გადაშვებას...

...და ბოლოს, ბ-ნი ასლანის ერთი განცხადება: ჩვენ დღესაც შეგვიძლია 1000-ჯერ უკეთ ვაცხოვროთო ხალხი. როგორ შეიძლება არ დაინტერესდე ასეთი განცხადებით, არ გაიგო რას გულისხმობს ეს ადამიანი. იგი ხომ სულაც არ არის შემთხვევითი პიროვნება ჩვენს დღევანდელობაში. არ იქნება მთლად ღირსეული საქციელი, ლამაზ სიტყვებზე დაიჭირო კაცი, მაგრამ მიეცი საშუალება და მოთხოვე 10-ჯერ უკეთესით მაინც დაიწყოს. თავის დროზე ყველა ქალაქსა თუ რაიონში რომ წელიწადში 1 ქარხანა-ფაბრიკა მაინც ალგვედგინა-აგვემუშავებინა, ეს ხომ ნამდვილად შეგვეძლო! — ვის ჯიბეში წავიდა და მიდის ეს მილიარდობით კრედიტ-დახმარებანი?! ვინ და რატომ დააკონსერვა და წლების განმავლობაში გაძარცვა ჩვენი სოფლისთვის შემოტანილი ათასობით მინიტრაქტორი. ქუთაისში ვინ აგო პასუხი?! ვის ჭკუაზე ვცხოვრობთ!!! ვისწავლოთ ერთი ჩვენი მეზობლისაგან მაინც.

ცინიზმი და უკიდურესი ზნედაცემულობაა, უკიჟინო დღეს საქართველოში 10, თუნდაც 30 ლარიანი შემოსავლის ოჯახს, გადასახადის გადახდის კულტურა გაკლიაო... აბსოლუტური უმრავლესობა კი ასეთ დღეშია: აკადემიკოსი, მწერალი, კომპოზიტორი, ინჟინერი, ექიმი და იგივე მეტალურგი, მშენებელი, მძღოლი, ხარატი, გლეხი... შიმშილით იხოცება ამ მართვად ჯოჯოხეთში. ეს ფაქტობრივი სტატისტიკაა. ხელისუფლება თითქოს ყველაფერს აკეთებს ჩვენი მტრის ჯერჯერობით აუხდენელი ოცნების ხორცშესასხმელადშესაქმნელად — უქართველო საქართველოს შესაქმნელად და ვინც გადარჩა, მათი იძულებითი თუ ნებაყოფლობითი განდევნისათვის ან სრული დეგრადირებისათვის... ოთხიათასწლოვან უმაღლესი კულტურული ტრადიციების ქვეყანაში ეს დანაშაულია უკვე მთელი კაცობრიობის წინაშეც.

სახელმწიფო მოწყობა-აღმშენებლობას, მის დაცვას სჭირდება ნიჭი, სიმტკიცე და ძალისხმევა, თორემ შენზე გასავლელ „დერეფანს" და „გზას" შენი უთაურ-უსუსურობის შემხედვარე გათავხედებული დაინტერესებული მომხდური თავად, შენს უკითხავადაც გაიკვალავს და გადაგჯეგავს — არც აინტერესებს და ფეხებზე ჰკიდია შენი ისტორია (უნებურად გაგონდება ჩვენს ისტორიაში ავადსახსენებელი ასპაგურის — იგივე სულით ცვედანი ვარაზბაკურის პერიოდი).

ჩვენი „ღრმუცელა" ვაიპოლიტიკოსების ფილოსოფიით ისინი საქართველოში ახალ შვეიცარიას ნატრობენ და შვეიცარიას კი ქართველები და მისი კულტურა თუ ისტორია ნამდვილად არაფრად სჭირდება. დაუჩემებიათ რაღაც უსახური ინტერნაციონალიზაცია-გათქვეფა, ნაცვლად საკუთარი სახელმწიფოებრივი ფუძის (საძირკვლის) გაძლიერება-განმტკიცებისა პრინციპული (კონსტრუქციული (დინამიური) ნეიტრალიტეტის, პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით.

დიახ, ჩვენს აღზევებულ პროვინციულ უმეცრებას ზღვარი ჭეშმარიტად არ უძევს... და იგი თანამედროვე „ჰუმანურ ინტერნაციონალურ აზროვნებად" მოგვეწოდება. გვავიწყდება, რომ ერისა და ადამიანის უცილობელ ძირითად უფლებად სწორედ არსებობისა და მისი თვითმყოფადი კულტურის განვითარების უფლება ითვლება! ჩვენ კი თურმე გვეკრძალება ამისათვის ბრძოლა(?!).

...ალბათ, ამიტომაც, თავად ენერგიულად ვატარებთ მომაკვდინებელ რეფორმებს განათლების (მეცნიერების, კულტურის), ჯანმრთელობის „დაცვის" (განადგურების) და სხვა სფეროების მიმართებით, რომ აღარაფრის უნარი და თავი აღარ შეგვრჩეს. ადგილს საბოლოოდ ვუცლით გახელისუფლებულ შინაურ და გარეშე მაფიოზურ კლანებს. უკვე ვართ სახელმწიფო სამთავრობო კორუფციის მწვერვალზე. თითქოსდა შეგნებულად ვაქეზებთო ხალხში რევანშისტულ განწყობას!

რაღას ველოდით?! SOS! „მეფე შიშველია!"

კარგად ვიცნობთ ბ-ნ ასლანსაც და კარგად ვიცნობთ ბ-ნ ედუარდსაც. დღეს ბევრგან და ბევრისთვის საოცნებო მათი დაპირისპირების ბოლომდე რეალიზება დაღუპავს ქვეყანას. საბედნიეროდ, ბ-ნი ასლანი ამას არ ესწრაფვის, არც ბ-ნი ედუარდი. გამოსავალი მათი ძალისხმევის დღესვე სასიკეთოდ შეჯერებაშია. საჭიროა ბ-ნი ასლან აბაშიძის და მთელი აჭარის სწორედ დღესვე აქტიურად გამოყვანა საშინაო (და არა მხოლოდ საშინაო) პრობლემათა გადაწყვეტის არენაზე. ყველანი ერთად საქართველოსთვის და ვერ იქნებოდა ვერავინ მძლეველი ჩვენი! ეს კონსტიტუციურ შესწორებებს მოითხოვს!

ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, არც ზოგიერთი კარის, ასე ვთქვათ, გამოუჯახუნებლად გამოხურვას გამოვცრიხავთ (პრეზიდენტი პრეზიდენტობისას უპარტიო სჯობს!), ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

პრეზიდენტს უნდა შეეძლოს ქუდზე კაცს უხმოს ქვეყანაში და შესძლოს, შეიძლოს გამოცხადდეს ქუდზე კაცი!

ოპონენტებს კვლავ უმორჩილესად ვთხოვთ, ღრმად ჩაწვდნენ რეალობას და ამაღლდნენ პირადულზე — საქართველო უპირველეს ყოვლისა! ჩვენ დიდი ყურადღებით მოვისმენდით სხვათა წინადადებებს და საჭიროებისას გავაგრძელებდით ჩვენს არგუმენტაციას. ისედაც გაგვიგრძელდა. უსასრულოდ დაგროვებულა სათქმელ-სამდურავი. ცუდია ეს — ე. ი. ვერ მუშაობს ქვეყანა, ჩვენ ვერ ვამუშავებთ!

ერისკაცობა და საერთოდ კაცობა, უწინარესად საკუთარი ქვეყნის ინტერესების სამსახურია და იგი წმიდათაწმინდაა უკუნისი უკუნისამდე. ჩვენ ამის ქადაგად ვრჩებით და გამგებმა დღეს გაგვიგოს. ხვალ-ხვალ გვიან იქნება!

**დავით ტაბიძე**

14

**თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს «საქართველო» - მერაბ კოსტავას საზოგადოება»!**

**ბლოკში გაერთიანებულნი არიან:**

**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია**
**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**
**მერაბ კოსტავას საზოგადოება**
**საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი**

# რას ხედავს დღევანდელ საქართველოში მწერალი რევაზ მიშველაძე?




— **ბატონო რევაზ! გვაპატიეთ, რომ რუსთაველის პრემიით დაჯილდოებას დაგვიანებით გილოცავთ, ამავე დროს, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ყველაზე მაღალი ჯილდო — რუსთაველის პრემია, თქვენ ბოლო წლებში აქტიური, შემოქმედებითი მოღვაწეობით დაიმსახურეთ. თქვენი ნოველების წიგნი „ასი ახალი ნოველა", შეიძლება ითქვას, დღევანდელი საქართველოს პირუთვნელი მემატიანეა. თქვენ ერთგან ამბობთ: „გადავძვრები ღობეზე, ავიპარები სამრეკლოზე და ბებერ მიძინებულ ზარებს დავარისხებ: სანამ პირში ეს გაძაღლებული სული მიდგასო". თქვენი სამრეკლოს გადასახედიდან რას ხედავს დღეს მწერალი რევაზ მიშველაძე და რაზე შესტკივა გული?**

— მე ვფიქრობ, XX საუკუნე საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე უღბლო და უბედური საუკუნე.

ვხედავ არაერთ გაწბილებულ პოლიტიკოსს, რომლებიც ქადაგებდნენ, ჩვენ ავაყვავებთ ქვეყანას, ამ საუკუნეშივე დავუბრუნებთ საქართველოს ოდინდელ დიდებასო.

ასევე ვხედავ იხტიბარგატეხილ არაერთ წარმომადგენელს ჩვენი ხელისუფლებისა, უნიჭო არტისტის დონეზე რომ ცდილობს ხალხის მოტყუებას.

მე თქვენ ახალ ამბავს გეტყვით. ყველამ კარგად იცის, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე ხელი უნდა მოეწერათ 9 ოქტომბერს. მე თვითონ მქონდა შემთხვევა ალ. ყაზბეგის იუბილეზე მესაუბრა პრეზიდენტთან. მაშინ ჩვენი პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ ალიევი, დემირელი და შევარდნაძე ამ პროექტს ხელს მოაწერდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში სულ სხვა ფუნქციას შეიძენს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ამის შემდეგ იზრუნებს არა მარტო საქართველოს უნიათო ხელისუფლება და მისი თითქმის ულიმლამო ჯარი, საიდანაც ჯარისკაცები შიმშილის გამო გარბიან, არამედ იზრუნებენ ასევე ის ქვეყნებიც, რომლებიც ამ პროექტით დაინტერესებულნი არიან.

პრეზიდენტი ბრძანებდა, სასწაული უნდა მოხდეს, რომ 9 ოქტომბრის ხელმოწერა ნავთობსადენის პროექტზე გადაიდოსო. ეს სასწაული უკვე მოხდა ჩვენი უბედური ბედის გამო და ასევე იმის გამოც, რომ ხანდახან არ შეგვიძლია სალი თვალით ვუყუროთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, არ შეგვიძლია შევაფასოთ ჩვენი მეზობლების მზაკვრული გეგმები საქართველოს მიმართ.

მერე შეგვატყობინეს, რომ ამერიკის კონგრესი წინააღმდეგი ყოფილა ბაქოდან ჯეიჰანში ნავთობსადენის გაყვანისა ამ პროექტის სიძვირის გამო და იგი ემხრობა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გაყვანას. ეს ნიშნავს, რომ თურქეთის მხარე ამოვარდება ამ პროექტიდან, რაც ერთ ძლიერ მტერს დაგვიმატებს, თითქოს მტერი რუსეთის სახით გვაკლდა. აზერბაიჯანს და საქართველოს რეგიონში მათზე ბევრად ძლიერი თურქეთის მეგობრობა ჰაერივით სჭირდებათ, ამიტომ 29 ოქტომბერს ანკარაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, სადაც ისინი გამოხატავენ თავიანთ სურვილს და კეთილ ნებას ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის მიმართ.

ასე რომ, ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის პროექტის სიავკარგე საქართველოსთვის ჯერ კიდევ გაურკვეველია და ჩვენი მომავლის იმედების მხოლოდ მასზე დამყარება თავის მოტყუებაა.

მე დავიღალე ბრალდებების წაყენებისაგან, რადგან ის, რაც მე უნდა გითხრათ, ეს ყველაფერი გაზეთებშიც წერია. ვერ მართავს ქვეყანას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ისე, როგორც საჭიროა. შეიძლება თვითონ ჰგონია, რომ კარგად მართავს, ან შესაძლოა თავისი ვიწრო წრისათვის სასურველად მართავს, მაგრამ საქართველოს რომ სიკეთე მოუტანოს, ისე ნამდვილად ვერ მართავს. ამას უამრავი მიზეზი აქვს, მაგრამ უმთავრესი ალბათ ახალი ცხოვრებისათვის ალღოს აღების უუნარობა, ახალი პოლიტიკური აზროვნების დეფიციტია. რამდენიც არ უნდა იძახონ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონიდან, რომ ეს ტერმინი ჩვენია და ახალი პოლიტიკური აზროვნების მამები ჩვენ ვართო, ჯერ-ჯერობით საქართველოს ბედის გაუმჯობესებაში მათი ახალი პოლიტიკური აზროვნების შედეგი ვერ დავინახე.

მარცხს, როგორც მწერალი, ადამიანურად ვუყურებ. ვაპატიებ, რომ ვხედავდე ხელისუფლების სურვილს, ცდას ქვეყნის ფეხზე დაყენებისა. მგონი, თქვენ წერდით ერთგან, რომ თუ ქვეყნის ხელმძღვანელობას სურვილი არა აქვს უშველოს ქვეყანას, მაშინ იმ ქვეყანას არაფერი ეშველებაო. და მე დღეს თანდათანობით ვრწმუნდები, რომ ამ ხელისუფლებას მართლა არა აქვს სურვილი რაღაც შეიცვალოს უკეთესობისაკენ. რა თქმა უნდა, არის შეცდომები, რომელშიც მარტო ხელისუფლებას ვერ დაადანაშაულებ, რადგან მათ ობიექტური მიზეზები გააჩნიათ, მაგრამ იმას რა უდგას წინ, რომ შენ ქვეყანას უთხრა სიმართლე, რათა შენი ხალხის ფიქრი ქვეყნის ჭირს არ ჩამოაშორო. ჩვენი მდგომარეობა ძლიერ ჰგავს საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ხანებს, როცა ზარ-ზეიმი არ წყდებოდა ქვეყანაში. მახსენდება მშვენიერი სიმღერის ტექსტი: „ასეა თუ ისეა, იძირება გემი, მაგრამ ყველაფერი რიგზეაო". ასე იძირება საქართველოს ხომალდი, ჩვენ კი მილიონებს უაზრო, უფუნქციო ზეიმებში ვხარჯავთ.

ამას წინათ თბილისობაზე გავედი, მაგრამ არა საზეიმოდ, არამედ, მინდოდა მენახა სადამდე მივიდოდა ზეიმის მომწყობთა გამომგონებლობა. ერთის მხრივ ხელისუფლების სურვილი შეესრულებინათ და არც ხალხისთვის შეეყარათ თვალში ნაცარი. ტელევიზიის კორესპონდენტმა მკითხა: ბატონო რევაზ, რა აზრის ბრძანდებით თბილისობის ზეიმზეო. მე ვუპასუხე: როცა 40 ათასი ქართველი დღეს ზუგდიდში კარვებში ცხოვრობს და მშიერი კვდება, საქართველოს არ უნდა ეზეიმებოდეს-მეთქი. ჩემდა გასაოცრად, სრულიად არ ველოდი საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელებისგან (მე რომ ვიცი მათი დამოკიდებულება ქართველი მწერლების აზრისადმი), რომ ეს სიტყვები შეკვეცის გარეშე გადასცეს „ალიონში". ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ჩვენს „ოფიციალურ" ტელემაუწყებლობაში ყინული დაიძრა.

ვერაფერს უშველი შენს პატარა ქვეყანას, პატარა ქვეყნის პატარა პრეზიდენტი, რომელსაც სულ ტყუილად მოგაქვს თავი, რომ თითქოს შენს აზრს და სიტყვას ელოდება მსოფლიო და თითქოს შენ მსოფლიოში რაიმეს შეცვლა შეგეძლოს, ვერ უშველი. ხომ ხედავ, თვით თურქეთსაც კი გაუკეთეს იგნორირება დიდი ნავთობსადენის პროექტში. მაგრამ ის, რომ ქართველ კაცს ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა წაუშალე პასპორტში, ეს როგორ გაპატიო, ამაზე როგორ დაგიდგე გვერდით, ეს ხომ მაინც შენი გადასაწყვეტი საქმე იყო? რა მოხდა, პირადობის მოწმობაში ხომ გიწერიათ ეროვნება ქართველიო. აქაც მოგვატყუეს. ამ ორი წლის წინ ქურდულად პირადობის მოწმობიდანაც ამოიღეს ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა. არ არის ეს წაშლა საქართველოს ეროვნული სახისა? როგორ, რუსთაველის და სვეტიცხოვლის პატრონი მე და თქვენ უფრო ვიქნებით, თუ სტუმარი ერის წარმომადგენელი, რომელსაც უმცირესი გამონაკლისის გარდა ფეხებზე ჰკიდია შენი რუსთაველიცა და სვეტიცხოველიც? თავს იმით იმართლებენ, რომ ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში პასპორტში ეროვნება არ უწერიათო. საქართველოს, რომელსაც ახრჩობს ეთნიკური სიჭრელე და არის საშიშროება, რომ 50 წელიწადში ჩვენი ეროვნული სახე წაიშალოს, მაშინ, როცა სომხეთში არ ცხოვრობს არცერთი აზერბაიჯანელი, ხოლო აზერბაიჯანში არცერთი სომეხი, ხოლო ამ დროს საქართველოში ცხოვრობს ნახევარი მილიონი სომეხი, ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი და ნახევარი მილიონი რუსი, ნუთუ ვერ უნდა ხვდებოდეს საქართველოს ხელისუფლება, რომ საჭიროა სხვაგვარი ეროვნული პოლიტიკა? თუმცა ჩვენს „ინტერნაციონალურ" ხელისუფლებას ისე აქვს წარმოდგენილი, რომ საქართველო არის ინტერნაციონალური ლაბორატორია, კურორტი და რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ერი იქნება აქ უმრავლესობა. აი ეს არის ეროვნული მტრობა, თან პასუხსაც რომ არავინ აგებს ამაზე.

ახლა იმაზე აღარ არის ლაპარაკი, თუ როგორ დავუმალეთ ომი ქვეყანას და როგორ მივაღწიეთ საქართველოს დამარცხებას ამ ომში, მერე როგორ გადავწყვიტეთ ერთპიროვნულად შეგვეყვანა ქვეყანა სნგ-ში, რომელიც იმპერიის აღდგენის მცდელობაა, და რომელიც ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, ბოლოს როგორ მივაღწიეთ, რომ 6 წლის განმავლობაში ქვეყანა დავამშიეთ და არცერთი ქარხანა არ აგვიმუშავებია.

თქვენ მკითხეთ, როგორ შეცქერით დღევანდელ საქართველოსო. მე გიპასუხებთ — დღევანდელ საქართველოს მე შევცქერი იმ გულდამდუღრული შვილის თვალებით, რომელიც, სამწუხაროდ, ხედავს, როგორ ღუპავს ქვეყანას თავისი მმართველი ელიტა.

— **ერთგან ამბობთ: „ქართველობა მარტოოდენ ეროვნულობის აღმნიშვნელი სიტყვა არ არის, ქართველობა ბედისწერააო". თქვენი აზრით, რა უნდა ქნას დღეს ქართველმა ხალხმა, რომ თავისი ღირსება დაიბრუნოს?**

— ბატონო გია, რამდენიც არ უნდა ვარისხოთ ჩვენი ზარები, ამით ჯერ-ჯერობით არაფერი შეიცვლება. სულ ტყუილად ეშინია ხელისუფლებას, არიქა, ხალხი ქუჩაში არ გამოვიდესო. ოციოდე ზვიადისტი გამოვა ქუჩაში და მაშინვე კისერში დაუშვენ რეზინის ჯოხებს, „ნეიტრალური მასა" არ შეუერთდესო. არავითარ შემთხვევაში ეს არ მოხდება.

თქვენ ხომ შეხედეთ, არც ელიავას მხარეს გამოსულა 5 ათასი მშიერი პენსიონერი და უხელფასო პედაგოგი და არც მეორე მხარეს გამოუდვია თავი. ამიტომ ნურავის ეგონება, რომ ხალხის მხარდაჭერამ გაამარჯვებინა ხელისუფლებას 19 ოქტომბერს.

ჩვენ ჩვენს მონაპოვარს არ დავთმობთ, სიმართლე ჩვენს მხარესააო, რომ ამბობს ხელისუფლება, ეგ კიდევ საკითხავია: სიმართლე ელიავას მხარეს შეიძლება უფრო მეტიცაა, რადგან ის ამბობს — 6 წლის წინ რომ წამართვი იარაღის ძალით, ახლა იმის დასაბრუნებლად გამოვედიო. ითქვა კიდევაც მათი მხრიდან: ჩემი მოქმედება თუ უკანონობაა, მაშინ 1991-92 წლებში თქვენი მოქმედება არ იყო უკანონობაო? მე, მწერალი რევაზ მიშველაძე, ვთვლი, რომ ორივეს მოქმედება უკანონოა, არ შეიძლება იარაღით ხელისუფლებისთვის ბრძოლა. ამიტომ არის საჭირო 1991-92 წლების უკანონობის შეფასება და ყოველგვარი ძალადობის დაგმობა, ხოლო ფრაზა — ამ თაობას ვერ ვეტყვი სიმართლეს და ამიტომ ვერ ვაძლევ შეფასებას 1991-92 წლების მოვლენებსო, ეს არის უსუსური თავის მართლება. როგორ მეუბნები, თქვენ რომ ჩახვალთ საფლავში, მერე ვეტყვი სიმართლეს თქვენს შვილებსა და შვილიშვილებსო, ე. ი. ისევ იმ ყურბანებად დარჩით, რაც იყავითო, მაშინ, როცა ხალხი ბრძენია და ყველაფერი კარგად იცის. არავის ეგონოს, რომ ხალხი რახან ქუჩაში არ გამოდის და ქვას არ ისვრის, ამას დღევანდელი ხელისუფლების სიყვარულით აკეთებს, არამც და არამც. არც იმიტომ, ზოგიერთი პოლიტიკოსი რომ აცხადებს, დაიღალა ხალხიო. ხალხი ყოველთვის თავის საუკეთესო გამოვლენაში — მოაზროვნე ადამიანებით ჩანს და არა მაუზერიანი ყაჩაღებით. ხალხი ფიქრობს, მე ვხედავ ძალიან კარგად, რაც ხდება, მაგრამ მტერს არ გავაცინებ, სისხლიან კალოს არ მოვაწყობ და მშვიდობიანად ვეცდები ხელისუფლების შეცვლასო.

— **არჩევნები კარზეა მომდგარი. რა იმედებს ამყარებთ ამ არჩევნებზე?**

— მე მიმაჩნია, რომ ქეშმარიტი არჩევნები არ იქნება, უფრო მეტიც, უკვე წინასწარ განაწილებულია ყველაფერი, რადგან ჩვენი საარჩევნო კომისია ხელისუფლებ-

(გაგრძელება მე-12 გვ.)

თუ გსურთ ერის გაერთიანება, თითოეული მოქალაქის, ოჯახისა და ხალხის კეთილდღეობა, საქართველოს ძლიერება, ხმა მიეცით ერთადერთ ეროვნულ საარჩევნო ბლოკს «საქართველო» – მერაბ კოსტავას საზოგადოება»!

ბლოკში გაერთიანებულნი არიან:

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი

# იჩქერია ერთიანი კავკასიის მომხრეა

პანკისის ხეობაში რამდენიმე სოფელი ქისტებითაა დასახლებული. აქაურ მცხოვრებლებს რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე სოციალური ვითარების გამო ოჯახის ბიუჯეტის შესავსებად ხშირად უწევთ სამუშაოს ძებნა სხვადასხვა ქვეყნებში. პანკისის ხეობის მკვიდრთ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ იჩქერიის რესპუბლიკასთან. ისინი ცხადად გრძნობენ ცოცხალ ურთიერთობაში ჩეჩენი ხალხისა თუ მათი ხელმძღვანელების დამოკიდებულებას საქართველოსადმი. ამ საკითხზე გვესაუბრა პანკისის ხეობის სოფელ დუისის მცხოვრები — სოფლის უხუცესი, ბატონი **რამაზ მარგიშვილი**.

— აფხაზების გვერდით საქართველოს წინააღმდეგ გროზნოდან ჩასული „ბოევიკები" ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ და ამან გარკვეული უნდობლობა და მტრობაც წარმოშვა ქართველ და ჩეჩენ ხალხებს შორის. ეს უდიდესი შეცდომა იყო. შამილ ბასაევის მოადგილესთან, შამაევთან ჩემი პირადი საუბრისას ხშირად ფიგურირებდა ის აზრი, რომ ეს ომი დიდი შეცდომა იყო. ყოველივეს კავკასიის კონფედერაციის ხელმძღვანელობა აწყობდა, ჩვენ კი დაგვარწმუნეს, რომ აფხაზების ბრძოლა იყო სამართლიანი, რომ ისინი თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. დღეს მივხვდით, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და თუ ბრძოლა დაიწყება საქართველოს ერთიანობისთვის, ჩეჩნები მოხალისეებად ქართველების მხარეს იომებენ და თავიანთ წარსულ შეცდომებს ამით გამოასწორებენო, მითხრა შამაევმა.

ნ. გოგოხია ტყვედ ჰყავდათ აფხაზებს და დახვრეტა მიუსაჯეს, მის გათავისუფლებაში დიდი როლი ითამაშა შამაევმა. ენგურზე გადმოსვლისას გოგოხიას მისთვის უკითხავს, როდის დავბრუნდები ჩემს მიწაზე, ჩემს სახლშიო. შამაევს უთქვამს: ერთად ბრძოლით დავბრუნდებითო.

როგორც ჩანს, ჩეჩენმა ერმა გვიან, მაგრამ მაინც გაიგო, რომ საქართველოს უკანონოდ ჩამოსცილდა და ძირძველი მიწა აფხაზეთის სახით. ამის დასტურად ისიც გამოდგება, ალბათ, სოხუმში ე. წ. აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" 5 წლისთავის ზეიმზე ჩეჩნებმა მონაწილეობა რომ არ მიიღეს...



ქართველი და ჩეჩენი ხალხის მეგობრობა ორივე სახელმწიფოსთვის სასჯელია. იჩქერიას აქვს ნავთობი, რომლის ექსპორტიც მას ეკონომიკურად ფეხზე დააყენებდა, მაგრამ დღეს იჩქერია რუსეთის მიერ ბლოკადაში იმყოფება. ჩეჩნეთს არა აქვს ზღვაზე გასასვლელი და მხოლოდ საქართველოს საშუალებით შეუძლია სხვა ქვეყნებთან დაკავშირება. ერთადერთი გამოსავალია გზა საქართველოსკენ. ამ გზის მშენებლობა უკვე კარგა ხანია დაიწყო. 12 მეტრის სიგანის გზა თავისი ხიდებით და კომუნიკაციებით უკვე აშენებულია. დარჩენილია 8 კმ-ის მონაკვეთი, რომელიც შატილზე გადმოვიდოდა. გზები შატილის მხარესაც გაფართოვდა, მაგრამ ის 8 კმ-ის მონაკვეთი აღარ დაამთავრეს. არადა, ამ გზის დამთავრება ბევრად შეუწყობდა ხელს ორი ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას. ამ გზით შევიდოდა ჩეჩნეთში ტვირთი, იქედან წამოსული ტვირთიც გაივლიდა საქართველოს და მოხვდებოდა სხვა ქვეყნებში, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებდა ტვირთბრუნვას ჩვენს რესპუბლიკაში, მნიშვნელოვანი თანხები შევიდოდა საქართველოს ბიუჯეტში.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენში არავინ ფიქრობს ამ გზის დასრულებას, რაც უნებლიედ ხელს არ უწყობს ჩეჩნებისა და ქართველების ურთიერთობას. დამტკიცდა, რომ საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმის დროს მოკლული ტერორისტი (იყო კი ნამდვილად ტერორისტი?!) იჩქერიის მოქალაქე არ იყო, არამედ იგი დაღესტანში ცხოვრობდა. ვიღაცას აწყობდა, რომ ამ თავდასხმაში ჩეჩენი ხალხის სახელი ფიგურირებულიყო... ანალოგიური შემთხვევა გროზნოშიც მოხდა. პრეზიდენტზე თავდასხმის დროს... მავანს აწყობს ჩეჩნებსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდება...

ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რადგან იგი ორივე ქვეყანას სიკეთეს და სიმდიდრეს მოუტანს. ასე რომ, კავკასიის გაერთიანება ერთობ სასწრაფო და საშური საქმეა.

**თემურ თიანელი**
**პანკისის ხეობა**

# ინტერნეტი და საქართველო

**გაეროსთან აფხაზეთის ორგანიზაცია**

**„მოქალაქეთა და მომავლის ხალხის“ საზოგადოება**

**აბხაზეთის მოსახლეობის დამოკიდებულება ქართველებისა და აბხაზების კონფლიქტის საკითხთან**

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით ნათელია, რომ აბხაზეთის მცხოვრებლები მოუთმენლად მოელიან ქართულ-აბხაზური კონფლიქტის მოგვარებას. კავკასიაში ძველთაგანვე მოქმედებს დაპირისპირებული მხარეების მორიგება მესამე მხარის მიერ. მოსახლეობა მომრიგებელი მხარის ქმედებასაც გულისყურით ადევნებს თვალს და მშვიდობიანი მორიგების იმედი აქვს.

სსრკ-ს სხვა რეგიონებში დაპირისპირება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო; მათგან განსხვავებით აბხაზებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ ტოტალიტარულ პეროდში ამოტივტივდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ კონფლიქტი აბხაზეთში ერთდროულად პოლიტიკურიც არის და ეთნიკურიც. ეს ეთნიკური შემადგენელი ნაწილი იწვევს მუდმივ, მდგრად უარყოფით სტერეოტიპებს ორივე მხრიდან — როგორც ქართველებში, ისე — აფხაზებში. ქართველი ფსიქოლოგების გამოკვლევებიც ამას ნაწილობრივ ადასტურებს. დღესაც კი, ომის სასტიკი გაკვეთილის შემდეგაც, გამოკითხული ლტოლვილების მხოლოდ 14% მიიჩნევს მისაღებად კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაწყვეტას, ხოლო 20 წლამდე ახალგაზრდების 80% პოლიტიკური გზით კონფლიქტის მოწესრიგებას მცდარად მიიჩნევს (კ. პატარაია, „კონფლიქტის და მოლაპარაკების ბიულეტენი“, თბილისი, № 9, 1996).

ეროვნულ თვითშეგნებას ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ „მოქალაქეთა ინიციატივის“ საზოგადოების სახით გამოკითხვა ჩავატარეთ სამ ჯგუფში:

1) სოხუმის მოსახლეობაში (906 ადამიანი; 444 აბხაზი; დანარჩენები, ქართველების ჩათვლით 462).

2) გალში დაბრუნებული ლტოლვილები (100 ადამიანი).

3) მოლაპარაკებებში მონაწილე პირები, პარლამენტის წევრები, მეცნიერები, ლტოლვილების საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლები (ექსპერტების ჯგუფი).

სულ 1026 ადამიანი გამოვკითხეთ (1995 წ. დეკემბერში).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართველების შეხედულება განსხვავდება დანარჩენი ეროვნებების შეხედულებებისგან. მოპასუხე ლტოლვილების 36% აბხაზეთის საქართველოსთან დაბრუნებას უჭერს მხარს, 32% აბხაზეთის და საქართველოს თანასწორუფლებიანი კავშირის მომხრეა, დანარჩენი ნაწილი აბხაზეთის და საქართველოს ნებისმიერ ურთიერთობას მიუღებლად მიიჩნევს. ამ მომენტში აბხაზეთის მოსახლეობა ერთნაირად არის განწყობილი რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებისადმი (45%) და დამოუკიდებელი აბხაზეთისადმი (45%). ექსპერტების შეხედულებით აბხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იყოს. გამოკითხული ლტოლვილების 21%, უმეტესად მეგრელები, დამოუკიდებელი აბხაზეთის იდეას უჭერენ მხარს; ეს არ გამოხატავს მათს ნამდვილ მისწრაფებას, თუმცა შეიძლება ამ რიცხვის ახსნა იმით, რომ ისინი ამ ვითარებაში იძულებულნი არიან ასე უპასუხონ და მეორე — გალის რაიონის მეგრელების უმრავლესობას თავი აბხაზად მიაჩნია; მათ ჯერ კიდევ შერჩათ აბხაზური გვარები, თუმცა უკვე აღარ საუბრობენ აბხაზურ ენაზე; მესამე — მათ ახსოვთ როგორ ჩაგრავდნენ მეგრელებს ქართველები — მეგრელების საქმე 1930-იან წლებში, როცა მეგრული ენა აკრძალეს, ასევე 1992 წელს მეგრელების წინააღმდეგ რეპრესიები, მეოთხე — ქართველი ბანდიტების ჯგუფები წამდაუწუმ აფრთხობენ, თავზარს სცემენ გალის რაიონის მცხოვრებლებს, მიუხედავად მშვიდობისდამცველთა და გაეროს დამკვირვებლების იქვე ყოფნისა, მათ მთლიანად დაატყვევეს რამდენიმე ოჯახი და მძევლად აიყვანეს, ახლახან კი აბხაზი ეროვნების მძევლები ჩააბარეს საქართველოს მართლმსაჯულების ორგანოს, როგორც ომის დამნაშავეები. ამგვარ ვითარებაში, მოსახლეობა მხარს დაუჭერს აბხაზეთის დამოუკიდებელი ქვეყნის სახით არსებობას წესრიგის დამყარების მიზნით.

ლტოლვილების დაბრუნებას გამოკითხულ (სოხუმელთა) აბხაზთა 90%, რუსთა 87%, ქართველთა 54% ასე უყურებს: ჯერჯერობით ლტოლვილების მასობრივი დაბრუნება — როცა პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ — გამოიწვევს ომის განახლებას. ექსპერტების ჯგუფში გამოკითხული პირებიც ასე ფიქრობენ. კითხვაზე, თუ ვინ უნდა აგოს პასუხი — ვინც ომში მონაწილეობდა, თუ ვინც ომის დროს დანაშაული ჩაიდინა — პასუხობენ, რომ მათს შორის განსხვავება არ არის. გამოკითხულთა 88% აბხაზეთის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანების სისხლის სამართლის კანონით დასჯას მოითხოვენ. მათგან განსხვავებით, ლტოლვილების 4% თვლის აუცილებლად დამნაშავეთა მართლმსაჯულებისათვის გადაცემას, ხოლო 5%-ს მიაჩნია, რომ თითოეული შემთხვევა ცალკე უნდა განიხილონ. ლტოლვილთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა თავისთავად გამოიწვევს ურთიერთმიტევებას და შერიგებას. ჩვენი გამოკვლევის, ქართველების და ევროპელების მასალების გათვალისწინებით ვფიქრობთ, ჯერ ნაადრევია ლტოლვილების მასობრივად დაბრუნება. ურთიერთსიძულვილის აღმოსაფხვრელად ჩვენი საზოგადოება რამდენიმე პროექტს ამუშავებს.

მოამზადა
**ნათელა ფოფხაძემ**

# „ხელები შორს ქართული მიწის ხელყოფისაგან“

## დავით აღმაშენებლის პარტიის განცხადება

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, დღევანდელ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს ქართველი ერის მიერ სისხლით მოპოვებული და შენარჩუნებული, მარჩენალი მიწის გაყიდვა უცხო პირებზე.

პარლამენტში უკვე განსახილველად გამოიტანეს კანონპროექტი ქართული მიწების გაყიდვა-გასხვისების უფლების შესახებ, განურჩევლად მყიდველის ეროვნული ნიშნით კუთვნილებისა.

ყოველივე ეს ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ერის ინტერესებს. მასში ჩადებულია ქვეყნის ფარული, შენიღბული უსიტყვო ანექსია, რადგანაც ქართველები დღეს ყველაზე უფრო გაჭირვებულ პირობებში არიან. ელემენტარულად, პურისა და ჩასაცმელ-დასახურავის ფული არა აქვს ხალხს, მათ ერთადერთი მარჩენალი მიწაც უნდა გაუყიდონ რაღაც იოტისოდენა თანხაში, ხოლო მდიდარი უცხოელები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაისაკუთრებენ ქართულ მიწებს და ეროვნულ ქონებასაც. ქართველი კაცისთვის თავის სამშობლოში ადგილიც არ დარჩება საცხოვრებლად და იძულებული იქნება ასიათასობით სხვა თანამემამულესავით დატოვოს მშობლიური ქვეყანა.

გამომდინარე აქედან, დავით აღმაშენებლის პარტია ამ ფაქტით უკიდურესად აღშფოთებულია და აცხადებს მტკიცე პროტესტს ასეთი, ქვეყნის დამაქცევარი კანონის მიღების გამო. ეს იქნება საკუთარი ერის წინაშე უდიდესი დანაშაული, ღალატის ტოლფასი.

დავით აღმაშენებლის პარტია ეროვნულ ძალებთან ერთად ყოველნაირი საშუალებებით წინ აღუდგება ამ დანაშაულებრივ ქმედებას და ყოველ ღონეს მიმართავს მის ასაკვეთად.

შორს ხელები ქართული მიწების ხელყოფისაგან.

# სასამართლოს გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდად არ უნდა დარჩეს, ანუ გაამრუდებს თუ არა სამართალს აღმასრულებელი ხელისუფლება?

(მე-5 გვერდიდან)

**— ბატონო ომარ! ბუნების დაცვის საზოგადოების წარმატებებმა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დავაში შეჰქმნა რეალური წანამძღვრები საზოგადოების მყარი ფინანსური პერსპექტივის უზრუნველსაყოფად. ამასთან სულ უფრო ძლიერდება საზოგადოების თვითაღდგენის პროცესიც. რომელი ეკოლოგიური პრობლემებით აპირებთ დაიწყოთ განახლებული საქმიანობა?**

— დავიწყებთ მთავარით. საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ (განედური ადგილსამყოფელი, ხმელთაშუა და შავი ზღვების სიახლოვე, კონტინენტური კლიმატის რეგიონების მეზობლობა) განაპირობა როგორც ჰავის, ისე ბუნების მრავალგვარობა და სახეობათა უჩვეულო სიუხვე. ამასთან, რელიეფისა და კლიმატური პირობების ჰარმონიულმა შეთანაწყობამ, ცივი და თბილი კლიმატის დროში თანდათანობითმა მონაცვლეობამ, აგრეთვე ბარისა და მარად დათოვლილი თუ ამწვანებული მთების კონტრასტების სიუხვემ განსაზღვრეს საქართველოს ბუნების მიმზიდველი თავისებურებები და გამორჩეული სილამაზე. ეს და კიდევ მრავალი, მრავალი სხვა მორალურ უფლებას გვაძლევს დასაბუთებულად ვამტკიცოთ — საქართველო, როგორც ბუნების უნიკალური ტერიტორია, მთლიანად იმსახურებს მიენიჭოს ბუნებათსარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმის რესპუბლიკის სტატუსი.

ბუნებათსარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმი არის ყველა სახის დაცული ტერიტორიებისა (ნაკრძალები, აღკვეთილები, ეროვნული პარკები და სხვა) და ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიის (ეგრეთწოდებული „განვითარებული არე“) ერთიანი ორგანიზაციული სისტემა. სისტემა, რომელიც თავის თავში შეიცავს ბიოსფეროს კომპლექსურად მართვის პრინციპებს (და არ შემოიფარგლება მხოლოდ ლანდშაფტებისა და სახეობათა კონსერვაციით), ბუნებათსარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმი არ გულისხმობს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის ამოღებას ინტენსიური სამეურნეო ბრუნვიდან ან, თუ ეკოლოგების ენით ვიტყვით, ინტენსიური ბუნებათსარგებლობის სფეროდან. ამ რეჟიმის დროს იცვლება მხოლოდ ბუნებათსარგებლობის ფორმები, რათა დაცული ტერიტორიის მიღმა, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე („განვითარებულ არეში“) ეკოლოგიური დატვირთვები შეიზღუდოს იმდენად, რომ უზრუნველყოს ცხოვრებისათვის ჯანსაღი პირობების შენარჩუნება და ეკოლოგიური წონასწორობის მდგრადობა. ამასთან ეს დატვირთვები („განვითარებულ არეში“) ვერ უნდა ახდენდეს უარყოფით გავლენას მომიჯნავე, დაცული ტერიტორიების საერთო ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ბუნებათსარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმის ეს ერთ-ერთი განმსაზღვრელი პრინციპი ძირითადად მიიღწევა უნარჩენო, რესურსო და ენერგომზოგავი, აგრეთვე მეცნიერება და შრომატევადი ტექნოლოგიების ფართომასშტაბური დანერგვით.

ბუნებათსარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმის რესპუბლიკის სტატუსი ჩვენს მიერ მოიაზრება, როგორც მუდმივი ან ტრადიციული ნეიტრალიტეტის (შვეიცარია ან ავსტრია) სახელმწიფოს განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის მსგავსი რამ (ეკოლოგიური კუთხით), რომელიც ალბათ გაეროს ან სხვა რომელიმე ანალოგიური საერთაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი აქტით იქნება მინიჭებული საქართველოსათვის. უფრო ფართოდ ეს საკითხები დამუშავებულია ჩვენი საზოგადოების მიერ 1989 წელს ეკოლოგიურ კონცეფციაში. დავძენთ, რომ ამ იდეის გაფართოება შეიძლება და სასურველიცაა კავკასიის მთლიანი რეგიონის მასშტაბით; გარდა იმისა, რომ კავკასია წარმოადგენს ერთ მთლიან ეკოსისტემას, ყოველივე ზემოთქმულის განმეორება (ბუნების შესახებ) სავსებით სამართლიანად შეიძლება კავკასიის მთელ რეგიონზეც.

მეორე დიდი პრობლემის არსი, რომელიც ჩვენი საქმიანობის მიზანია, შემდეგშია: დღეს იქნება თუ ხვალ, საქართველომ დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს თავისი საკუთარი ადგილი თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ, კულტურულ, ისტორიულ და ყოფიერების სულიერ თუ მატერიალურ მსგავს გამოხატულებათა საგანძურში. გზამკვლევად ამ რთული ლაბირინთიდან თავის დასაღწევად შეიძლება წარმოვადგინოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური მოდელი. ასეთი მოდელის შექმნა არ არის ერთი ან თუნდაც რამდენიმე უწყების (ისიც თანამედროვე უწყების) საქმე. ეს არის ქართველი ხალხის, უფრო სწორად კი საქართველოს მთელი ინტელიგენციის, ან, თუ კიდევ უფრო დავაზუსტებთ, ინტელიგენციის ნაკრების, სპეციალისტთა რჩეული გუნდის, თუ გნებავთ, სპეციალისტთა პალატის (მრჩეველთა სტატუსით) საქმე. ასეთ ანალიტიკურ, ზემასშტაბური ინტელექტუალური პოტენციალის ორგანოს ხელეწიფება არამარტო ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური მოდელის შექმნა, არამედ (მასზე დაფუძნებით) კანონშემოქმედებითი საქმიანობაც; აგრეთვე სახელმწიფო სტრუქტურების დახვეწა (მოვლენების კვალდაკვალ), ამ სტრუქტურების ფუნქციათა სანიერის შემოფარგვლა და მრავალი სხვა, რომელსაც სპეციალისტთა პალატა შემდგომ პარლამენტს წარუდგენს დასამტკიცებლად. კონცეპტუალური მოდელის შექმნაცა და სპეციალისტთა პალატის დაარსებაც ბევრჯერ ყოფილა ავტორის საგაზეთო სტატიების მთავარი თემა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე.

ზემოთქმულის გარდა სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს აგრეთვე ხატის ტყის ინსტიტუტის დამკვიდრება, საზოგადოებრივი ექსპერტიზის აღდგენა, სამკურნალო მცენარეთა კულტივირება და მრავალი სხვა.

**— ზემოთ ახსენეთ ხატის ტყე. როგორი ურთიერთობა გაკავშირებთ ეკლესიასთან?**

— სამწუხაროდ, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, მიუხედავად მოჩვენებითი კეთილდღეობისა, ისევე, როგორც სრულიად საქართველო, მეტად რთული პროცესების გავლენის ქვეშ იმყოფება. მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ღვთისმსახურთა კორპუსის, ჩვენი ფიქრით, უსპეტაკეს ნაწილთან, რომელთან ერთობლივად დიდი საქმეების კეთების იმედი გვაქვს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ბუნების ნამდვილი ქომაგი ხომ ჭეშმარიტი ღვთისმსახურია და პირიქით, რამეთუ ღმერთისკენ მიმავალი ჭეშმარიტი გზა გადის მხოლოდ ტაძარზე და ბუნებაზე.

**ესაუბრა კობა კაპანაძე**

— ტრაგიკომედია —

# შავი იუმორი

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ „ელიზი“-„ომეგას“ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე 1997 წლის 15 მარტიდან წარმოებული გამოძიება 1997 წლის ივლისში ორად გაიყო:

ერთზე, რომელშიც 12 ბრალდებული „ელიზელია“ გაერთიანებული, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება 1998 წლის აპრილში დაამთავრა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველად წარმართულ საქმეზე 1998 წლის 20 აგვისტოს დამდგარ განაჩენს კარგად იცნობს საზოგადოება.

მეორე საქმე ჯერ ცალკე წარმოებად იქნა გამოყოფილი ბანდის ორგანიზატორობაში ბრალდებულ ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილისა და სხვათა მიმართ, ხოლო შემდეგ საერთოდ შეაჩერეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 1997 წლის 16 მაისის იმ დასკვნის საფუძველზე, რომელშიც ბრალდებულ თამაზ ელიზბარაშვილს „ბრონქალური ასთმისა და ეპილეფსიის“ დიაგნოზი დაუსვეს. ავად არის და სანამ არ გამოჯანმრთელდება, ვერ დავკითხავთო, — განაცხადეს კანონის დამცველებმა და აღნიშნული საქმის წარმოებით შეჩერების დადგენილების ბეჭედიც დაარტყეს თავიანთ სიტყვას.

„ომეგას“ ადვოკატებმა, „ელიზი“-„ომეგას“ სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ოთხი თვის მანძილზე ბევრი უტრიალეს ამ დადგენილებას, მაგრამ მისი გაუქმება კი არა, შინაარსის გაცნობაც კი ვერ მოახერხეს, — არაა მაგი თქვენი საქმეო, — პასუხობდნენ აღნიშნული დადგენილების გამომტანნი.

თამაზ ელიზბარაშვილი კი, რომელიც დიდუბის რაიონის სასამართლომ იმიტომ გაუშვა თავდებში, რომ მას სტაციონარში ემკურნალა მაღალკვალიფიციურ ექიმებთან, თავისი ფირმის საქმიანობის ხელმძღვანელობას დაუბრუნდა და ბიზნესით გართულს ექიმები მაშინ ახსენდებოდა, როცა ავადმყოფობის ცნობა იყო წარსადგენი სასამართლოში, — ისეთ მდგომარეობაშია, ჩვენების მიცემას ვერ გაუძლებსო.

ნაღდად არ ვიცი, ვინ დაესხა თავს ავადმყოფ ელიზბარაშვილს და ვინ სცემა იგი საგადასახადოსთან მარტო შთენილი ღამის 3 საათზე, მაგრამ შედეგით თუ ვიმსჯელებთ, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ის, რაც წელიწადზე მეტ დროში მკურნალობით ვერ მოახერხეს მაღალკვალიფიციურმა ექიმებმა, მათმა მუშტებმა რაღაც წუთებში შეძლეს — ისე გაუუმჯობესეს ელიზბარაშვილს ჯანმრთელობა, რომ მან ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამებისათვის დაწვრილებით მოახერხა აეხსნა, როგორ მოიყოლა ქვეშ ერთი ხელის გაქნევით „ომეგას“ პრეზიდენტი თავის დაცვის ბიჭებთან ერთად!

ეს ფაქტი ისეთი უნიკალურია, რომ მხოლოდ მისი გადმოცემა კმარა იმისათვის, რათა ირონიად ჩაითვალოს და, ამიტომ, გთხოვთ, მე ნუ ჩამითვლით უადგილო ხუმრობად.

ამრიგად, თამაზ ელიზბარაშვილი ამჟამად ორ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს:

ერთში დამზარალებელია, ბანდის ორგანიზატორი, მაგრამ მის მიმართ გამოძიება შეჩერებულია, რადგან ჩვენების მიცემის თავი არა აქვს, ისე ავადაა.

მეორეში დაზარალებულია, გამოძიება მიმდინარეობს და გამომძიებლებს კი არა, ჟურნალისტს არ ტოვებს, თავისი გასაჭირი რომ არ გააგებინოს.

ვიცინო თუ ვიტირო, აღარ ვიცი.

ვინ ჰყავს ამ კაცს, ნეტავ, ასეთი მრჩეველი ადვოკატი, რომელიც ყოველთვის ისეთ რამეს აკეთებინებს, რასაც გაურბის იმას, რომ აახლოებს?

თან კიდევ, ისეთი სიტუაცია შექმნეს, რომ ან ორივე საქმეზე უნდა აწარმოონ გამოძიება, ან ორივე უნდა შეაჩერონ.

სხვანაირად, ელიზბარაშვილსა და პროკურატურას შორის ასეთი დიალოგი შეიძლება გაიმართოს:

**საქმე I**

— ბატონო თამაზ, გეკითხებით, როგორც „ელიზელთა“ ბანდის ორგანიზატორს, რა და როგორ მოუწყვეთ „ომეგას“? — წლინახევრის წინ დასასმელ კითხვას ახლა იხსენებს პროკურორი.

— ხომ ხედავთ, საუბარი არ შეუძლია, — იცავს ელიზბარაშვილს ადვოკატი.

**საქმე II**

— ბატონო თამაზ, გეკითხებით როგორც დაზარალებულს, როგორც ბიუჯეტისათვის 800 ათასი ლარის დამალვით მისი შევსებისათვის მზრუნველს, ვინ გცემათ? — დაავიწყდა პროკურორს, მისი დაკითხვა რომ არ შეიძლება.

— წელიწადნახევარია „ომეგას“ ვამხელ, სად არ დავწერე და სად არ განვაცხადე ამის შესახებ, ყველა ყველაფრის საქმის კურსში ჩავაყენე, სათქმელი რომ აღარაფერი დამრჩა, მაშინ გაბრაზდნენ და მცემეს, რათა გავჩუმებულიყავიო, — პასუხობს განკურნებული ელიზბარაშვილი.

ვგრძნობ, შავ იუმორად ჩამეთვლება, რაც დავწერე, მაგრამ რა ვქნა, მე, ამ შემთხვევაში, ფოტოგრაფივით ვარ და ტრაგი-კომიკური სიტუაციის სურათი გადავიღე, მისი სიშავისათვის პასუხი კი იმათ მოპკითხეთ, ვინაც აქამდე მიიყვანა საქმე.

**თამაზ ძველაძე**

# რას ხედავს დღევანდელ საქართველოში მწერალი რევაზ მიშველაძე?

(მე-10 გვერდიდან)



ის მიერაა დანიშნული და მის წინაშე ანგარიშვალდებული, ხოლო პოლიცია და უშიშროება მოქალაქეთა კავშირის ხელშია. ამიტომ, ზარზეიმით გაიმარჯვებს მოქალაქეთა კავშირი, მაშინ, როცა 100 კაცი რომ გააჩერო ქუჩაში, 99 გეტყვით, რომ მოქალაქეთა კავშირს ხმას არ ვაძლევო. ახლა დასკვნა თქვენ გააკეთეთ.

**— და მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად, ბატონო რევაზ, ქართველი ერის მომავლის იმედი თუ გაქვთ. რა ვქნათ, რას გვირჩევთ, ფარ-ხმალი დავყაროთ, თუ ბრძოლა გავაგრძელოთ?**

— ერთად რომ შეეცადოს საქართველოს მოსპობას ყველა იმპერია, ამას ვერ შეძლებს. უბრალოდ, გული მტკივა, რომ XX საუკუნემ ყველაზე დიდი დარტყმები მიაყენა საქართველოს, რადგან 111 ათას კვ. კმ-ით შევხვდით XX საუკუნეს და ახლა 45 ათასი კვ. კმ. გვაქვს შენარჩუნებული. ე. ი. ამ საუკუნეში დავკარგეთ ყველაზე მეტი ტერიტორია, ვიდრე უკანასკნელი 800 წლის განმავლობაში. ამ საუკუნეში მოხდა ჩვენი ერის ყველაზე დიდი გენოციდი, როცა რუსეთმა კომუნისტური მმართველობის დროს ეროვნების წართმევა მოგვინდომა, ხოლო შემდეგ აფხაზეთი მთლიანად გაწმინდა ქართველობისაგან. რა იქნება მომავალში, ამას ვერცერთი პოლიტიკოსი ვერ განჭვრეტს, რადგან გამოუცნობი სფინქსივითაა მსოფლიოს ბედი. მაგალითად, ბევრს ეგონა, რომ რუსეთი ისევ შეეცდებოდა იმპერიის შეკოწიწებას და ამაში ბევრი ჩვენი თანამემამულეც ეხმარება. სხვათა შორის, ერთი სერიოზული კაციც, რომლისაც მე მჯეროდა, აცხადებს, რომ ჩვენი ხსნა ისევ რუსეთის უკანალში თავის შეყოფაა, მაგრამ იცით რა, რუსეთმა ველარ მოახერხა წელში გამართვა და ისეთ პატარა ქვეყანასთან ომშიც დამარცხდა, როგორიც ჩეჩნეთია. ახლაც არაერთი ქვეყანა ისე არ ბარბაცებს, როგორც რუსეთი, საქართველოც კი, თავისი უნიათო ხელისუფლების ხელში. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, ყველაფერს აკეთებს ქართველი ხალხის მოსატყუებლად. პატარ-პატარა საკითხებში ხელისუფლება აკრიტიკებს რუსეთს, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაგალითად, რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანაზე, მაშინვე უკან იხევს. გვიმტკიცებენ, ჩვენ როცა მოვინდომებთ, მაშინ გავიყვანთ რუსეთის ჯარს საქართველოდან, ერთი სიტყვის თქმა გვინდა, მაგრამ ჯერ საქართველო მზად არ არის ასეთი ნაბიჯის გადასადგმელადო. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გაბრაზდეს რუსეთის ჯარი და გავიდეს, მერე რა გვეშველებაო. სანამდე შეიძლება სტანდარტულად გაყინული პოლიტიკით ქვეყნის მართვა? სხვათაშორის, რუსეთის ბაზები საქართველოში უკანონოდ იმყოფება და ამაზე ხმას არ იღებს საქართველოს ხელისუფლება. ეს ხომ ნიშნავს ქვეყნის ოკუპირებას და დაპყრობას? ნურავის ეჩვენება, რომ საქართველოს ხელისუფლება უპირისპირდება რუსეთის პოლიტიკას.

**— ბატონო რევაზ, ცხოვრების კანონია, რომ სუსტს ყველა ჩაგრავს, ამიტომ, ქართული სახელმწიფოს ძლიერების საფუძვლად ქართული ჯარი უნდა გახდეს. არის თუ არა შანსი, რომ საქართველოს ჰყავდეს ბრძოლისუნარიანი არმია?**

— ჯარი ჩვენ თვითონ არ უნდა გავაცვედნოთ. როდესაც 300 პოლიციელით არძინბამ 40 ათასი ქართველი გამოყარა გალიდან, ჩვენ ჩავიყვანეთ 2000 ჯარისკაცი ზუგდიდში და ეიფორია იყო, რომ ქართული ჯარი გვერდით დაუდგებოდა სახლკარგადამწვარ ლტოლვილებს და არძინბას ხროვას პასუხს გასცემდა. 2000 ჯარისკაცი დააყენეს ენგურთან და აყურებინეს, როგორ გამორბოდნენ გაუპატიურებული ქალები, ნაცემი მამაკაცები, ილაჯგანყვეტილი მოხუცები და გასცეს ბრძანება, აქ შეიძლება ფართომასშტაბიან კონფლიქტში ჩაგვაბანო, და აბა, მამაცო ქართველო ჯარისკაცებო, ზურგისაკენ!

დიახ, ქართველ ლტოლვილებს გვერდით არ დაუდექ, ქართული მკლავის ძალა არ აჩვენე არძინბას და სამაგიეროდ, ჩვენს მამაც მხედრობას ბრძანება მიეცი ცეცხლი გაეხსნა ელიავას ნაწილისათვის, რომელიც უკვე უკან იხევდა გახოკიძე-შაშიაშვილთან მოლაპარაკების შემდეგ.

ნუ მაფიქრებინებ მე, რომ ქართული ჯარი გჭირდება არა დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად და ნაძირალა სეპარატისტებთან საბრძოლველად, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გამოგონილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წლისთავს ზეიმობენ, არამედ ეს ჯარი თურმე გჭირდება შენი მონაპოვრის დასაცავად და ეს მონაპოვარი კი არის 1991-92 წლებში ზვიად გამსახურდიასთვის იარაღის ძალით წართმეული ძალაუფლება. სანამდე გინდა ასე ცეცხლითა და მახვილით დაიცვა ეს ძალაუფლება, არის ეს სამართალიანი და სწორი?

ელიავას ტელევიზორში ვუსმენდი, ძალა ვართ აქეთ, ძალა ხართ მაქეთ, მოდით და ვილაპარაკოთო, ქუთაისის დანგრევას ჩვენ არ ვაპირებთო. და დღეს გმირად ნურავინ გვაჩვენებს თავს, ჩემმა ლოგიკის ძალამ [illegible] როლიო. ჩანდა, რაც [illegible], რომ ის ბიჭები „ქუთაისის" დასანგრევად არ მოდიოდნენ და შე კაი კაცო, დიდი გმირობა გააკეთე, რომ შეტრიალებულ ტანკებს ესროლე, ცეცხლი გაუხსენი? მე ვერავის მივულოცავ ქართული ჯარის პირველ წარმატებულ ოპერაციას თავისი ხალხის წინააღმდეგ. ახლა წარმოიდგინეთ, ელიავას რომ გაეცა ბრძანება, ცეცხლს ცეცხლით უპასუხეთო, ხომ დაინგრეოდა ქუთაისი? ელიავასთან ხომ 200-მდე პროფესიონალი ოფიცერი იდგა დიდძალი ტექნიკით. ასე რომ, სალმა აზრმა გაიმარჯვა, ეს სალი აზრი მთლად აქეთა მხარეს არ უნდა იყოს. სულ ადვილია ახლა მკვლელად, მოღალატედ გამოაცხადო ელიავა და სდიო კუდში, აბა რომელ მაგიდასთან მოტეხავს მჭადს და როდის შევა ისევ დასამალად ცივ ტყეში.

არ არის ეს დიდი ვაჟკაცობა, წააწყდე სადმე ელიავას, ესროლო ზურგში და გამოაცხადო, მან სროლა დაგვიპირა და წინააღმდეგობის დროს შემოგვაკვდაო. ნუ ვმტრობთ ქართველები ერთმანეთს, ნუ ვესვრით ქართველები ერთმანეთს, ნუ შევჭამთ ქართველები ერთმანეთს! თუ თავი გვაქვს (კინალამ სხვა ადგილი წამომცდა), სჯობს, საქართველოზე შემოსეული მტრებისკენ მივმართოთ მახვილი, თორემ, ერთხელაც იქნება, ჩამოგვართმევს ქართველი ერი ამ იარაღს და გადაგვამტვრევს თავზე.

ესაუბრა
**გია თვალავაძე**

# აუცილებელი შენიშვნები

თუმცა გაზეთის რედაქცია პასუხისმგებელი ვერ იქნება ავტორთა შეხედულებებზე, იგი ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას ცილისწამებაზე მის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ანუ ისეთი ამბების შეთხზვაზე ან განმეორებაზე, რომლებიც პიროვნების ღირსებას ლახავს ან, მითუმეტეს, მას დანაშაულს მიაწერს. „რეზონანსის" 1998 წლის 23 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდენტთან, ბატონ ვ. ბოჭორიშვილთან, შეიცავს სიტყვა-სიტყვით შემდეგ ტექსტს:

„ვითომ ვაპირებდით ბლოკში შესვლას გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიასა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან, შევედით კიდეც, მაგრამ ჩვენი წამყვანი რეგიონების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წინააღმდეგი წავიდა: არ შეგვიძლია, კოალიციაში შევიდეთ იმ ხალხთან, რომელმაც განახორციელა სამხედრო გადატრიალება, მითუმეტეს მასთან, რომელიც იარაღით იბრძოდა და ხოცავდა ჩვენს ხალხსო.

მართალია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის იარაღით გამოსვლა არ დაუწამებიათ, მაგრამ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მიმართ, ნათაძის ხელმძღვანელობით, ასეთი ბრალდება წაყენებულია **ხალხის** მიერ. მე, როგორც არმონაწილე ამ ამბებისა, უფრო ლოიალური ვარ, მაგრამ სხვების გამო, ვისაც ასეთი რამ საკუთარ თავზე უწვნევიათ, იძულებული გავხდი, გამოვსულიყავით არჩევნებიდან."

ნათაძეს რომ არანაირი სამხედრო გადატრიალება არ განუხორციელებია და იარაღით არ უბრძოლია თუნდაც ერთი ქართველის წინააღმდეგ, იმანაც უნდა იცოდეს, ვინც თავს ჩემი განკითხვის უფლებას აძლევს. ეს ღმერთმა იცის და თუ ვინმეს სურს, საწინააღმდეგო ამტკიცოს იმან, თუ მოწმეს ვერ მოიყვანს, ის მაინც უნდა დაასახელოს, კონკრეტულად ვისგან, სად და როდის სმენია ესა თუ ის ჭორი. ცილისწამება, რომელსაც რესპონდენტი იმეორებს და გაზეთი ბეჭდავს, შეთხზულია გამწარებული ადამიანების მიერ, რომელთაც მოთხოვნილება აქვთ ვიღაცას მკვლელისა და მოღალატის დამღა დაადონ, რათა გული მოიოხონ მისი დაგმობით, ან სპეცსამსახურების იმ ყველაზე ბინძური ნაწილის მიერ, რომელსაც სსრკ-ს არსებობის დროიდან დღემდე უცხო ქვეყნის სამსახური არ შეუწყვეტია და თავის სპეცდავალებად ქართველ პატრიოტთა შორის სიძულვილის ჩამოგდება და მათი დისკრედიტაცია აქვს. ანონიმური „ხალხის" დამოწმება ადამიანისთვის ამგვარი მომაკვდინებელი ბრალდების წასაყენებლად ზნეობრივი მხრივ დანაშაულია, ხოლო სამართლებრივი მხრივ — დანაშაულიც და აბსურდიც. რომელი „ხალხისგან" მოისმინა ბატონმა ვ. ბოჭორიშვილმა ეს ცილისწამება? ვინ მნახა მკვლელის ან სამოქალაქო ომის მონაწილის (თუნდ პირდაპირის და თუნდ არაპირდაპირის) როლში? სად მნახა და როდის მნახა? თუ ზემოხსენებული ცილისწამების „მოწმე" ან კონკრეტული ბრალდების წამომყენებელი მაინც გამოჩნდება, მე მეცოდინება, ვის ველაპარაკო. მაგრამ ასეთი არ არის (და ვერც იქნება), ანონიმურ „ხალხს" კი მე საპაექროდ ვერსად შევხვდები.

როცა ცილისწამებას სპეცსამსახურები თხზავენ და ავრცელებენ, ეს მათი პროფესიაა. როცა მას ამ სპეცსამსახურთა სამსახურში მყოფი დედაკაცები იმეორებენ, ეს მათი დავალებაცაა და მათი ბუნებაც. მაგრამ, როცა მას მამაკაცი იმეორებს, თუნდაც სხვისი უკრიტიკო დამოწმებით, ეს ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებაა, რომელსაც, ვიმეორებ, მძიმე ზნეობრივი და სამართლებრივი პასუხისმგებლობა ახლავს.

ბატონი ვ. ძაბირაძე (გაზ. „ახალი საქართველო", №95) თვლის, რომ ყოფილმა სახალხო ფრონტმა „რატომღაც იუკადრისა სახალხო ფრონტელობა" და ამიტომ ჰქვია დღეს „საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას" დღეს ეს სახელი. განვმარტავ. სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია და „ქარტია-91" 1994 წელს გაერთიანდნენ „გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის" სახელით. სახალხო ფრონტის მხრიდან ეს იყო მისი თბილისელი წევრების დიდი ჯგუფის ინიციატივის შედეგი. ყოფილი რესპუბლიკური პარტიის წევრთა თითქმის მთელი შემადგენლობის (რამდენიმე ათეული წევრის) გასვლა გრპ-დან მოხდა ჩემი ინიციატივით, ყოფილი „ქარტია-91"-ის წევრთა მთელი შემადგენლობისა - მათი ინიციატივით. ყოფილი „რესპუბლიკური პარტიის" წევრებს გაჰყვა რომან გოცირიძეც (მისი ინიციატივით). მაგრამ ეს იყო წევრთა ინდივიდუალური გასვლა. პარტიის გაყოფა არ მომხდარა და, ამდენად, არც მისი სახელის შეცვლა. ჯერჯერობით ეს სახელი ამ პარტიას რჩება ინტეგრაციის იმ გარდუვალ პროცესთა მოლოდინში, რომლის გარეშეც, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის მიზანს ვერ მიაღწევს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ როცა ერთ-ერთმა უცხოურმა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ახსნა გვთხოვა, თუ რატომ ეწოდება გაერთიანებულ პარტიას „რესპუბლიკური" და მე, იმ დროს ამ პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ, ბუნებრივია, ამ ახსნის დაწერა ყოფილი „რესპუბლიკური პარტიის" წევრებს ვთხოვე, მათ ეს ვერ შეძლეს და ამ მცირე სამუშაოს შესრულება ისევ მე მომიხდა. მაგრამ მე ეს სახელი დღესაც **იდეალურად არ მიმაჩნია**. საქართველოს ეროვნულ ორგანიზაციათა ერთობლივი ახალი სახელი, ჩემის აზრით, სხვა უნდა იყოს.

ბატონი ირ. გოცირიძე („იბერია-სპექტრის" რედაქტორი) თვლის (27.10-ის ნომერი), რომ ნ. ნათაძეს და თ. ჩხეიძეს (ბლოკი „საქართველო") შეეხარბათ ბლოკის „XXI საუკუნე-ერთიანი საქართველო" სახელი და იგი უკანონოდ მიიკუთვნეს. განვმარტავ. სიტყვა „XXI" ბლოკში მოიტანა მხოლოდ „კ. გამსახურდიას საზოგადოების" პრეზიდენტმა, ბატონმა ვ. ბოჭორიშვილმა, როცა ამ საზოგადოებამ „საქართველოსთან" ბლოკი შექმნა და ამ ბლოკს, ბატონ ვ. ბოჭორიშვილის ინიციატივით „XXI-საქართველო" დაერქვა. რამდენიმე დღეში ეს ახალი ბლოკი დაიშალა (იმავე ინიციატივით) და სახელიც „XXI" იმან გაიყოლა, ვინც იგი მოიტანა. არც ბატონ ირ. გოცირიძის ბლოკის სახელი, არც მისი პოლიტიკური წონა და მითუმეტეს, ბატონ ირ. გოცირიძის ჟურნალისტური და პოლიტიკური ბიოგრაფია არავის შეჰხარბებია.

ვსარგებლობ შემთხვევით, დავადასტურო ბატონ ირ. გოცირიძის განცხადება „სპექტრის" ამავე ნომერში, რომ ბლოკი „XXI საუკუნე" 1995 წლის არჩევნებში მართლაც გასული იყო ხუთპროცენტიანი ბარიერის მიღმა და მისი დღეს პარლამენტში არყოფნა მხოლოდ უსირცხვილო თაღლითობის შედეგია. თუ იქნება შემოპასუხება იმ დროს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მხრიდან, მზად ვარ პასუხი გავცე.

**ნოდარ ნათაძე**

დაბადების დღეს ვულოცავთ და ბედნიერებას ვუსურვებთ ციალა ბრეგვაძეს, ბრწყინვალე მამულიშვილს, დიდებული ეტიუდების ავტორს, ჟურნალისტს, მწიგნობარს.
მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით
**ალმანზორ თავაძე.**

ქალბატონ ლია კაპანაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ზღვა სიხარულს და ბედნიერ ცხოვრებას საყვარელ ოჯახის წევრებთან ერთად.
**გაზეთ „საქართველოს" რედაქცია**

## ნათია ბარამიძეს



„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე."

ეს შენი საყვარელი სადღეგრძელოა და მაინც შენმა სიკვდილმა შენ დაბადების დღეს უსწორა ნათია, ჩვენო პატარა ნათია, შენზე პატარააო არასოდეს არავის უფიქრია, მაგრამ 13 წლის შემდეგ მართლაც პატარა ჩანხარ. 22 წლის წახვედი ჩვენგან და დარჩი 22 წლის მომღიმარ, მომღერალ და ცხოვრებაზე უზომოდ შეყვარებულ გოგონად. ჩვენ კი, დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი და მონატრება, რასაც ნათია ბარამიძე ჰქვია.

მეცამეტე თბილისობა მოვიდა, რაც შენ და შენი საყვარელი მამიკო წახვედით ჩვენგან. მეცამეტედ შევიყრებით უშენოდ შენი მეგობრები 27 ოქტომბერს და ისევ 22 წლის გვეგონები და კიდევ ერთხელ ვიტყვით უშენოდ — „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ"....

**შენი მეგობრები**


მიირთვით ხორბლის საუკეთესო არაყი „გომი", „ბაგრატიონი", „ლიმონის არაყი".












მთავარი რედაქტორი
**სერგო ჯანაშია**

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), გიორგი ლალიაშვილი (განცხადების სამსახური), კორესპონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია.
კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444